

Ciao, Torino!

A6



საქართველოს ნაკრები მალტაზე დაისეტყვა

A6



პრესომბუდსმენი

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 27 თებერვალი, 2006 წელი. №41 (1193) — ფასი 50 თეთრი

## რევიუ

### ორმაგი მასკარადი



უკვე რამდენიმე დღეა, რაც ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯუზეპე ვერდის "ბალ-მასკარადის" დირიჟორ გოგი ჭიჭინაძის მიერ აღდგენილი წარმოდგენა მიმდინარეობს. წამყვან პარტიებს საოპერო დასის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ასრულებენ.

A7

## რევიუ

### არომატი ხელოვნებაა



როგორც იქნა, საფრანგეთის სასამართლომ მსოფლიო პარფიუმერიისთვის ძალზე სასიხარულო გადაწყვეტილება გამოიტანა. სურნელება და მისი არომატები საბოლოოდ დაემორჩილება საავტორო უფლებებს.

A7

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 27/02 | 28 /02 |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | 15 |
| ტყიბული | 15 | 16 |
| სოხუმი | 13 | 16 |
| დმანისი | 7 | 8 |
| გორი | 11 | 12 |
| ონი | 6 | 9 |
| ზუგდიდი | 17 | 18 |
| ახმეტა | 11 | 15 |
| გაგრა | 10 | 13 |
| სამტრედია | 17 | 18 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8199 |
| ევრო | 2.1655 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1790 |
| რუბლი | 0.0646 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
ეკონომიკა A 4
სამართალი A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
პრესომბუდსმენი A 8
თვალსაზრისი B 1-B2
ტენდერი B 3-B4

# რა ვუყოთ რუსეთს?

## ვაშინგტონის არჩევანი

*თეთრი სახლი რუსეთის მიმართ პოლიტიკის გადახედვას გეგმავს. ამისათვის ამერიკელებს საბაბი ნამდვილად არ აქვთ საძებარი – კრემლი აძლიერებს ზეწოლას, როგორც ქვეყნის შიგნით ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე, ასევე მეზობელ ქვეყნებზე. მოკლედ, როგორც ვაშინგტონში ამბობენ, "რუსეთმა დემოკრატიის გზიდან გადაუხვია" და აუცილებელია, მის მიმართ რაღაც მოიმოქმედონ.*

*გუშინ საინფორმაციო საშუალებები ცდილობდნენ, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ აშშ-ში რუსეთის მიმართ ორგვარი დამოკიდებულება არსებობს: პირობითად პრორუსული - კონდოლიზა რაისის მომხრეთა, და ასევე პირობითად ანტირუსული - რიჩარდ ჩეინის ბანაკის. ბუნებრივია, ეს განსაზღვრებები მხოლოდ და მხოლოდ შედარებითია. როგორც ერთ, ასევე მეორე ბანაკს პირველ რიგში აშშ-ს ინტერესების წარმატებით განხორციელება აღელვებს, ისევე, როგორც რუსეთის მიმართ აშშ-ს მიდგომების განსხვავებულობის შესახებ მთხრობელ "ვაშინგტონ პოსტ"-ს, რომელიც ყოველთვის აშშ-ს ოფიციალური პოზიციის გამომხატველი იყო.*

ნიკა თარაშვილი

გავლენიანი ამერიკული გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი" იტყობინება, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაციაში რუსეთის მიმართ ამერიკის პოლიტიკის სამომავლო პრიორიტეტების შესახებ მსჯელობა მიმდინარეობს. ნიშანდობლივია რომ, ერთი შეხედვით, სტატიას ინფორმაციული მოტივაცია აკლია. მაგრამ, თუ თეთრ სახლთან "ვაშინგტონ პოსტ"-ის მჭიდრო კავშირებსაც გავიხსენებთ, ნათელი ხდება, რომ აღნიშნულ სტატიაში მოყვანილი მოსაზრებები გარკვეული "გზავნილებია" ვიღაცის გასაგონად.

სტატიაში ნათქვამია, რომ ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი, მათ შორის ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ჩეინი, მხარს უჭერს ამერიკის პოზიციების გამკაცრებას, რუსეთში მიმდინარე შიდაპოლიტიკური პროცესებისა და მეზობელი ქვეყნების მიმართ მისი დამოკიდებულების გამო. ანონიმური წყაროების თანხმად, გასულ თვეში ჩეინიმ რუსეთის სპეციალისტები თავის კაბინეტში კონსულტაციებისთვის მიიწვია, ხოლო აშშ-ს ეროვნული დაზვერვის სამსახურის უფროსს ჯონ ნეგროპონტეს სთხოვა, დამატებითი ინფორმაცია მიეწოდებიან იმის შესახებ, "თუ საით მიემართება რუსეთი".

გაგრძელება A3 გვერდზე

# თურქმენბაშიმ უკრაინა კუთხეში მიიმწყვდია

დიმიტრი ავალიანი

*უკვე შემოდგომაზე, შესაძლოა, რუსეთი და უკრაინა იძულებულნი გახდნენ, უკრაინისათვის გაზის მიწოდების შესახებ კონტრაქტს გადახედონ. ეს კონტრაქტი, დიდი სკანდალის შემდეგ, 4 იანვარს დაიდო.*

საქმე ისაა, რომ თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი, იგივე თურქმენბაში, არცთუ საიმედო პარტნიორი გამოდგა - იგი რუსეთისათვის მიწოდებული გაზის, რომელიც შემდგომ უკრაინას მიეწოდება, გაძვირებას აპირებს. თუ ეს ასე მოხდა, უკრაინას გაზის შესყიდვა მოუწევს არა 95 დოლარად, ათას კუბურ მეტრში, რასაც არსებული კონტრაქტი ითვალისწინებს, არამედ 130 დოლარად. ექსპერტთა აზრით, ეს უკრაინის ეკონომიკას არაკონკურენტუნარიანს გახდის.

გაგრძელება A3 გვერდზე



გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ახალი მისამართია:
გამრეკელის ქ. №51
(შესასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან)
ტელ: 20-24-24, 31-93-90, 31-93-91, 31-93-86




# აჭარაში შინაური ფრინველების განადგურება დაიწყო

*ხელისუფლებამ ფრინველის გრიპის თავიდან აცილების მიზნით, ვირუსის დაფიქსირების ეპიცენტრიდან 3-კილომეტრიან რადიუსში შინაური ფრინველის მასიური განადგურება დაიწყო. შექმნილია მობილური ჯგუფები, რომლებიც მოსახლეობას ფრინველს ართმევენ და ადლიის ტერიტორიაზე, მდინარე ჭოროხის შესართავთან მდებარე ნაგავსაყრელზე ანადგურებენ. ტერიტორიაზე აიკრძალა ჟურნალისტების შეშვება და გადაღებები. არაოფიციალური ინფორმაციით, ევრონიუსზე გასული კადრების გამო, საქართველოს ხელისუფლებამ ნაგავსაყრელის მდგომარეობისთვის შენიშვნები მიიღო. მოსახლეობის ერთი ნაწილი კი სასიკვდილო ვირუსს არ უფრთხის. არის ფრინველის გადამალვის შემთხვევები, უფრო ხშირად კი მოსახლეობა განადგურებამდე მოიხმარს მას.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

აჭარაში ფრინველის ვირუსის დაფიქსირების შემდეგ, გრიპთან მებრძოლი შტაბის ხელმძღვანელობა ლევან ვარშალომიძემ აიღო თავის თავზე. 25 თებერვალს, დილით, მან ბრიფინგი გამართა და საზოგადოებას შტაბის გადაწყვეტილება გააცნო: **"ვირუსის დაფიქსირების შემთხვევის ადგილიდან 3 კილომეტრის რადიუსში უნდა განადგურდეს ყველა შინაური ფრინველი. ჯერ-ჯერობით მთავრობა კომპენსაციას არ იძლევა. მოხდება ფრინველის აღრიცხვა და შემდეგში, თუ მთავრობას ექნება შესაძლებლობა, მოსახლეობას ზარალს აუნაზღაურებს".**

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის ედუარდ ფუტკარაძის განცხადებით, ეს რადიუსი ხელვაჩაურის რაიონის 16 სოფელს მოიცავს, სადაც დაახლოებით 7500-მდე კომლი ცხოვრობს: **"ამჟამად ნახევარი შემოწმებულია. ამოღებულია 1100-ზე მეტი ფრინველი. მოსახლეობა გაგებით ეკიდება შექმნილ ვითარებას, თუმცა, სამწუხაროდ, ფრინველის გადამალვის ფაქტებიც დაფიქსირდა. მასობრივი ამოღების შემდეგ, გონიოში, სადაც უკვე ჩვენი სამსახურის წარმომადგენლები ადრე იყვნენ მისულები, ფრინველი კვლავაც აღმოჩნდა. ისეთი ფაქტის შემთხვევაში, როცა მოსახლეობა ფრინველის ჩაბარებას ეწინააღმდეგება, ჩვენ შევეცდებით პრობლემა ცივილიზებული მეთოდებით აღმოვფხვრათ".**

გაგრძელება A2 გვერდზე

# სასამართლო დამოუკიდებელი არ არის

## უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის აღიარება

*უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის განცხადებით, სასამართლო სიტემაში დაწყებული რეფორმების დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი. მესამე ხელისუფლებაში არსებული პრობლემების უკეთ გაცნობის მიზნით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ რეგიონული გასვლები დაიწყო და რეგიონის მოსამართლეებთან ერთად სარეფორმო გეგმებზე საუბრობს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

კოტე კუბლაშვილს მიაჩნია, რომ სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი საუკეთესო გზა ასეთი სახის შეხვედრებია. **"თუმცა, ვერ გეტყვით იმას, ეს სისტემა იქნება თუ არა ბოლომდე დამოუკიდებელი. არადა, ამის დიდი სურვილი გვაქვს,"** - ამბობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

თუ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩატარებულ ხმაურიან სასამართლო პროცესებს გადავავლებთ თვალს, უნდა ითქვას, რომ მოსამართლეების მიერ გამოტანილ განაჩენს, ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლების, პოლიციის და პროკურატურის ინტერესები უდევს საფუძვლად. კახეთის რეგიონში ბოლო ასეთი ფაქტი თელავის რაიონულ სასამართლოში მოხდა, როცა, სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო, ტელეკომპანია "თანამგზავრის" დირექტორის ენრი კობახიძის მიმართ საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა და სასამართლო თავდაპირველად მისთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებასაც კი ცდილობდა. მაგრამ, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის მხარდაჭერის შედეგად, საზოგადოებრივი ზეწოლით მოსამართლემ საბოლოოდ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო და ტელეკომპანიის ხელმძღვანელი გაათავისუფლა.

კოტე კუბლაშვილმა "24 საათთან" საუბარში დაადასტურა, რომ განაჩენის გამოტანის დროს მოსამართლეები, ხშირ შემთხვევაში, ტენდენციურ გადაწყვეტილებებს იღებენ, თუმცა განაცხადა, რომ, წინა წლებთან შედარებით, ამ მხრივ, საქართველოში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, ოღონდ, მისი აზრით, სასამართლო სისტემის ბოლომდე დამოუკიდებლობა შეუძლებელია.

გაგრძელება A5 გვერდზე

# წავაგეთ!!!

## რუმინეთი - საქართველო 35:10

კახა ფარუაშვილი

წავაგეთ!!! ახლა შეიძლება ბევრი მიზეზი დავასახელოთ - ცუდი ამინდი, პეტრე მიტუ, რომლის კომპლექსიც "ბორჯღალოსნებმა" ვერ მოიშორეს, ატალახებული მინდორი და ასე შემდეგ, მაგრამ ყველა ეს მიზეზი მხოლოდ მეორეხარისხოვანია და მათზე ყურადღების გამახვილება დიდი შეცდომა იქნებოდა. მთავარი მიზეზი ის არის, რომ საქართველოს ნაკრებმა შეტევაში თამაში არ იცის - ეს იყო ჩვენი აქილევსის ქუსლი დასაბამიდან დღემდე და ეს არის ახლაც.

დღემდე "ბორჯღალოსნებს" ერთადერთი კოზირი აქვთ შეტევაში - შერკინების მოთამაშეთა პერმანენტული დარტყმები, მეტოქის დაცვის გარღვევა და ლელოს გატანა. ამ ტაქტიკას ხშირად გაუმართლებია ერთა თასის გათამაშების მატჩებში ისეთ გუნდებთან, როგორებიც არიან რუსეთი, ესპანეთი, ჩეხეთი და მათი დონის მეტოქეები, მაგრამ უფრო მაღალ საფეხურზე აღმოჩნდა, რომ ეს პრიმიტიული ხერხი აღარ ჭრის. ქართველთა არსენალში კი, სამწუხაროდ, სხვა ილეთი არ არსებობს. ამიტომ ჩვენი გუნდი მარცხდება თავმოყვარე სარაგბო ქვეყნის გუნდებთან თამაშში.

გაგრძელება A6 გვერდზე

## ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ხელვაჩაურის რაიონში, ფრინველის გრიპის შემთხვევის გამოვლენის გამო, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რომლის მოქმედების ვადა 2006 წლის 1 ოქტომბრამდე განისაზღვრა.

ბრძანებულების მიხედვით, ფრინველის გრიპის შემთხვევების გამოვლენის, შესაბამისი ვეტერინარულ-სანიტარიული, საკარანტინო და სხვა სახის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების, დაავადების გავრცელების კერების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით, საქართველოს მთავრობამ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ კოორდინირებულად უნდა უზრუნველყონ მოსახლეობისათვის და საწარმოებისათვის ფრინველისა და ფრინველის პროდუქტების ჩამორთმევა და განადგურება; ასევე, ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე გარეულ ფრინველებზე ნადირობის აკრძალვა და მოსახლეობისათვის სანადირო იარაღის დროებით ჩამორთმევა; ფრინველისა და მისგან წარმოებული პროდუქტებისა და ფრინველისათვის განკუთვნილი საკვების რაიონის ტერიტორიიდან გატანისა და შემოტანის აკრძალვა; რაიონის ტერიტორიაზე შემოსული სატრანსპორტო საშუალებების გასინჯვა და დეზობარიერების მოწყობა;

საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების კოორდინაციისა და შესრულების კონტროლის მიზნით, საორგანიზაციო შტაბის შექმნა დაევალა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების მზადყოფნა ადამიანების შესაძლო ინფიცირების შემთხვევაში, მათი სათანადო სამედიცინო მომსახურების მიზნით;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა დაუყოვნებლივ აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.

ბრძანებულება ორ დღეში საქართველოს პარლამენტს წარედგინება დასამტკიცებლად.

*ინტერპრესნიუსი*

## რუს სამშვიდობოებს არ სურთ, ქართული მხარის მოთხოვნას დაემორჩილონ

დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ აფხაზეთში სამშვიდობო ძალების სტატუსის ნებისმიერი ცვლილება მხოლოდ მოლაპარაკებების გზით უნდა მოხდეს. „ეს ეხება სავიზო რეჟიმსა და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მიერ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასაც," - ნათქვამია კოლექტიური სამშვიდობო ძალების პრესსამსახურის განცხადებაში.

განცხადების თანახმად, დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლის სახელზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის უფროსის ალექსანდრე სუხიტაშვილის წერილი მივიდა. წერილში ქართული მხარე კატეგორიულად აფრთხილებს საქართველოს ტერიტორიაზე მოსამსახურე რუს მშვიდობისმყოფელებს, რომ 10 მარტამდე მათ საქართველოში ყოფნის ლეგალიზება უნდა მოახდინონ, ანუ ვიზები აიღონ. „ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ქართული მხარის ცალკეული წარმომადგენლები, საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების გვერდის ავლით, თავისთავზე იღებენ პასუხისმგებლობას, გარკვეული ბრძანებებით, სამშვიდობო ძალებს წესები დაუწესონ. სამშვიდობო ძალების მოქმედების წესს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განსაზღვრავს სახელმწიფოთაშორისი დოკუმენტები, რომლებსაც უმაღლეს დონეზე მოეწერა ხელი," - ნათქვამია განცხადებაში.

აფხაზეთში დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალები განთავსებული არიან „ცეცხლის განუახლებლობისა და დაპირისპირებული ძალების დაშორიშორების" ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, სამშვიდობოების ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მშიდობისმყოფელთა საკითხი სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებებით უნდა მოგვარდეს. **მედიანიუსი**

## ნატო შავ ზღვაზე პატრულირებას გეგმავს

ნატო, პოლიტიკური და სამხედრო თავლსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია, რადგან დედამიწაზე არსებული სერიოზული პრობლემების გადაწყვეტა შეუძლია, - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა კურტ ვოლკერმა.

მისი თქმით, 26 ერის ალიანსი 2005 წელს 8 ერთობლივ ოპერაციაში ჩაერთო და ახალ მისიებში მონაწილეობის მიღებას მიმავალშიც გეგმავს. ნატო ამჟამად ევრაზიის 30 ქვეყანასა და ახლო აღმოსავლეთის 22 ქვეყანასთან თანამშრომლობს.

ვოლკერმა საერთაშორისო ორგანიზაციის მიმდინარე ტრანსფორმაციაზეც ისაუბრა. "ცივი ომის დროს ნატო თავისი წევრი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობაზე იყო ორიენტირებული, ახლა ავღანეთში, პაკისტანში, ერაყსა და დარფურში ატარებს ოპერაციებს," - განაცხადა მან.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, რუსეთი უკვე დათანხმდა, ნატო-ს საზღვაო ანტიტერორისტულ ქმედებებს შეუერთდეს. ამ პროცესში მონაწილეობის მისაღებად სამხრეთ აფრიკული ქვეყნებიც არიან მიწვეულნი. "ნატო დაინტერესდება წარმატებული ხმელთაშუაზღვისპირა საპატრულო გემების გავრცობით შავ ზღვაზე, თუმცა შავი ზღვის აუზის ქვეყნებს ამ საკითხზე განსხვავებული აზრი აქვთ. ზოგიერთი მეტი ენთუზიაზმით ეკიდება, ზოგი – ნაკლებით," - განაცხადა მან.

ვოლკერმა ისრაელის ნატოსთან ინტეგრაციაზეც გააკეთა კომენტარი. მისი თქმით, ვიდრე ებრაულ-პალესტინური პრობლემა ოდნავ მაინც არ მოგვარდება, ამ საკითხს არ განიხილავენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## უკრაინამ საქართველოზე ზეწოლის მცდელობა დაგმო

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეშფოთება გამოთქვა "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გამწვავების გამო და დაგმო "საქართველოზე ძალისმიერი ზეწოლის ნებისმიერი მცდელობა". უკრაინის საგარეო პოლიტიკური უწყება საქართველოზე ზეწოლის მცდელობად ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევას და მის საზღვრებთან მანევრების ჩატარებას მიიჩნევს.

გარდა ამისა, კიევი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ "ვენაში სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე 20-21 თებერვლისთვის დაგეგმილი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ჩაიშალა". უკრაინა მხარეებს მოუწოდებს, "გააგრძელონ მოლაპარაკების პროცესი შერეული საკონტროლო კომისიის მეშვეობით ამ კონფლიქტის მშვიდობიანი და ურთიერთმისაღები მოგვარებისთვის საჭირო პრაქტიკული გზების შესამუშავებლად" 2005 წლის დეკემბერში ლუბლიანაში ეუთოს მინისტერიალზე მიღებული სამშვიდობო გეგმების საფუძველზე.

"უკრაინა კიდევ ერთხელ აღნიშნავს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობას, საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის და სუვერენიტეტის პრინციპების დაცვის, ასევე მისი სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის საფუძველზე," - ნათქვამია უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. **ინტერპრესნიუსი**

# აჭარაში შინაური ფრინველების განადგურება დაიწყო

პირველი გვერდიდან



მობილური ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელი არაოფიციალურ საუბარში შტაბის დაუფინანსებლობაზე საუბრობს: **"ჯგუფს ხშირად აქვს საწვავის პრობლემა. დღედაღამ გამოძახებებზე გავდივართ, საკვები არავის მოაქვს. სარისკო და დამატებითი სამუშაო დროის მიუხედავად ანაზღაურებას არ გვიზრდიან".**

აღნიშნულ ბრალდებებთან დაკავშირებით ფუტკარაძე აცხადებს, რომ შტაბს აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დამატებით 15 ათასი ლარი გადაერიცხა: **"ეს ძირითადად საწვავისათვის. ჯგუფებს აქვთ შესაბამისი ტექნიკა, აღჭურვილობა, მედიკამენტები. ისინი ძირითადად დედაქალაქიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მივიღეთ".**

მობილური ჯგუფები შინაურ ფრინველს ცელოფნის პარკებში ათავსებენ, მანქანებით მდინარე ჭოროხის შესართავთან მდებარე ნაგანვსაყრელის ტერიტორიაზე მიაქვთ და იქ ორმოში წვავენ. ამჟამად აღნიშნული ტერიტორია მკაცრად კონტროლდება სამართალდამცავების მხრიდან.

ფრინველის გრიპის ეპიცენტრში შინაური ფრინველის ძალზე მცირე რაოდენობა აღმოჩნდა. ამის მიზეზად თურქეთში განვითარებული მოვლენების დროს გამოწვეული პანიკას ასახელებენ.

სოფელ ადლიის მცხოვრები, თენზილე გაბროშიძის მტკიცებით მათ ფრინველს არაფერი სჭირს. **"შევჭამეთ და არაფერი დაგვმართნია. მე თვითონ დავიჭერ და გავანადგურებ,"** - ამბობს იგი.

**"კომპენსაციას მაინც არავინ გვიხდის. როგორც ცნობილია, ვირუსი 70 გრადუსზე კვდება. ამიტომ ფრინველის ჩაბარებას სჯობია თავად გამოვიყენოთ,"** - ამბობს ახალსოფლელი თამარ დავითაძე.

ფრინველის ვირუსის დაფიქსირებასთან დაკავშირებით აჭარაში მობილიზებულია ჯანდაცვის სისტემაც. ბათუმის ინფექციურ საავადმყოფოში აქტიური მზადება მიმდინარეობს. სასწრაფოდ რემონტდება პალატები, რომლებიც მასიური შემთხვევბის დროს 10-20 პაციენტისათვის იქნება განკუთვნილი. თუმცა ინფექციონისტები გრიპის ადამიანებზე გავრცელებას ჯერ არ მოელიან.

აფთიაქებში მომარაგებული აქვთ პრეპარატი ტამიფლუ. ექიმების განცხადებით, დაავადების შემთხვევაში იგი მხოლოდ 10%-იან გარანტიას იძლევა. **"პრეპარატი ტამიფლუ ქსელში არის. უკვე საკმაოდ ხშირად კითხულობენ მას, მაგრამ ექიმების რეცეპტის გარეშე ის არ გაიცემა,"** - აცხადებს ფირმა პსპ-ს ფარმაცევტი ნაზი მიქელაძე.

# მიმართვა მეზობელ ქვეყნებს

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია გამოდის ინიციატივით, შეიქმნას პარლამენტის სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობას წარმართავს ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, უკრაინასთან, "დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის" სხვა ქვეყნებთან და თურქეთთან, რუსეთის მიერ საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ანექსიის აღიარების მიზნით. "ეუთოს შეხვედრებში მონაწილე სახელმწიფოებმა არაერთხელ გამოთქვეს ღრმა შეშფოთება ეთნიკური წმენდის, მოსახლეობის, განსაკუთრებით, ქართველთა თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნის და უდანაშაულო მოქალაქეთა დიდი რაოდენობით დაღუპვის გამო," - განაცხადა შოთა მალაშხიამ.

მას მაგალითისთვის მოჰყავს 1994 წლის 6 დეკემბრის ეუთოს ბუდაპეშტის შეხვედრის რეზოლუცია, 1996 წლის 2-3 დეკემბრის ეუთოს უმაღლესი დონის ლისაბონის შეხვედრის დეკლარაცია და ეუთოს 1999 წლის 19 ნოემბრის უმაღლესი დონის სტამბულის შეხვედრის დეკლარაცია. გარდა ამისა, ევროპარლამენტის 2001 წლის 18 იანვრის რეზოლუციაში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ საქართველოს მოქალაქეების მიმართ მოქმედი სავიზო რეჟიმიდან სეპარატისტული რეგიონების - ცხინვალისა და აფხაზეთის - გამოყოფა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფად აღიქმება. ევროპარლამენტმა მოუწოდა რუსეთის ფედერაციის მთავრობას, გადაესინჯა ეს გეგმები და გაეთვალისწინებინა, რომ შესაძლებელია მათი აღქმა საქართველოს უდავო ტერიტორიების დე ფაქტო ანექსიად.

"პარლამენტმა, 15 თებერვლის დადგენილებით, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში განლაგებული სამშვიდობო ძალების მიერ მანდატის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა შეაფასა მკვეთრად უარყოფითად, ხოლო რუსეთის ფედერაციის ქმედებები - ამ რეგიონის ანექსიის პერმანენტულ მცდელობად. აუცილებელ პირობად მიგვაჩნია საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება როგორც ქართული, ასევე უცხოური საადვოკატო ფირმების მონაწილეობით, რის საფუძველზეც სახელმწიფო კომისიის მიერ დადგენილი ზარალის ანაზღაურების მიზნით შესაძლებელი იქნება, მომზადდეს როგორც სახელმწიფოთაშორისი საქმე ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად, ისე ინდივიდუალური განაცხადი ამავე კონვენციის 34-ე მუხლით," - აცხადებს შოთა მალაშხია. **მედიანიუსი**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

„საქართველოს ტელეკომმა" დაიწყო ახალი პროექტი

„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის".

თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).

ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის" უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.

ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.

ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე 8-10

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

### მოკლედ

#### ცხინვალში ოსებმა რუსების წინააღმდეგ აქცია გამართეს

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის იმ მოქალაქეებმა, რომლებიც საქართველოს რაიონებში შეძენილი ხილის ბიზნესით არიან დაკავებულნი, ცხინვალის მთავრობისა და სამხრეთ ოსეთში მყოფი, რუსეთის წარმომადგენლების წინააღმდეგ აქცია გამართეს.

ხმაურიანი აქცია ცხინვალის ცენტრში შედგა. ხილით მოვაჭრეები რუსული მხარის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის საფუძველზეც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ქართული ხილის შეტანა აიკრძალა. ამ აკრძალვის მიზეზად რუსულმა მხარემ ნიტრატებით გაჯერებული ხილი დაასახელა.

აქციის მონაწილეთა თქმით, ზამთრის განმავლობაში ქართველი გლეხობიდან მათ ტონობით ხილი შეიძინეს და იმ შემთხვევაში, თუ რუსული მხარე გადაწყვეტილებას არ შეცვლის, ისინი იზარალებენ.

აქციის მონაწილეები ადგილობრივმა სპეცდანიშნულების რაზმმა დაარბია. წინააღმდეგობის გაწევისას, აქციის რამდენიმე მონაწილე სასტიკად სცემეს, სამი მათგანი ცხინვალის საავადმყოფოშია მოთავსებული. **ინტერპრესნიუსი**

#### ჩრდილოეთ ოსეთში მკვდარი გედი იპოვეს

ჩრდილოეთ ოსეთის მთავარი ექიმი-ვეტერინარის ზაურ ტოტიკოვის განცხადებით, ვლადიკავკაზის ცენტრალურ ბაზარში ნაპოვნია მკვდარი გედი, რომელიც, სავარაუდოდ, "ფრინველის გრიპის" ვირუსით მოკვდა. ტოტიკოვმა აღნიშნა, რომ მკვდარი ფრინველი გაყინული იყო. მართლა "ფრინველის გრიპის" ვირუსით გარდაიცვალა თუ არა გედი, კრასნოდარის მხარეში გადაგზავნილი სინჯებით დაადგენენ. "ჩრდილოეთ ოსეთში ფრინველის მასობრივი დაცემა არ დაფიქსირებულა, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო. თითო-ოროლა მკვდარ ფრინველს კი აქამდეც ვპოულობდით. ამდენად, ეს შემთხვევა მოსახლეობაში პანიკის საფუძველს არ იძლევა," – აღნიშნა ტოტიკოვმა, თუმცა ისიც დაუმატა, რომ დაღესტნის რამდენიმე რაიონში დაფიქსირებული "ფრინველის გრიპის" შემთხვევები მშვიდად ყოფნის საშუალებას არც ჩრდილოეთ ოსეთის ვეტერინარებს აძლევს.

ცნობისთვის, დაღესტნის 10 რაიონში დაფიქსირებული "ფრინველის გრიპის" შედეგად განადგურდა 150 ათასი ფრინველი. სტავროპოლის მხარეში შპაკოვსკის რაიონში ოციდან ოცდაექვსი თებერვლის ჩათვლით დაახლოებით 2 ათასი შინაური ფრინველი დაიხოცა. კრასნოდარის მხარეში კი, მეფრინველეობის ფაბრიკა "თბილისურში" კვლავ გრძელდება ფრინველების დაცემა. გარდა ამისა, კრასნოდარში ნაპოვნია რამდენიმე მკვდარი გარეული ფრინველიც.

ჩრდილოეთ ოსეთის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სადეზინფექციო საშუალებებისა და სპეც.ტანსაცმლის შესაძენად თანხა გამოიყო. ასევე, დამატებითი ღონისძიებები გატარდა მეფრინველეობის ფაბრიკებში ჩრდილოეთ ოსეთის მთელ რესპუბლიკაში.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, თბილისში "ოკუპაციის მუზეუმი" გაიხსნება. ამის შესახებ განცხადება პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააკეთა. "ოკუპაციის მუზეუმში თავს მოიყრის საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებული მასალები," – აღნიშნა პრეზიდენტმა 1921 წელს წითელ არმიასთან ბრძოლაში დაღუპულ ქართველ იუნკერთა მემორიალის მონახულების დროს. იგი მიიჩნევს, რომ "საქართველოში დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც სამშობლოს გადარჩენაზე საუბრობენ და, ამავდროულად, თავად ამზადებენ ახალ ორჯონიკიძეს". "ჩვენს შორის არიან ისეთი ქართველებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ იქნებ სჯობს, არსებულ ვითარებას შევეგუოთ და ხმა აღარ ამოვიღოთ... სწორედ არსებულ ვითარებასთან შეგუებამ განაპირობა საქართველოს გასაბჭოება, ძველი შეცდომების განმეორებას ჩვენ არ ვაპირებთ," – დასძინა პრეზიდენტმა.

*24 საათი*

■ ■ ■

**ვაშინგტონი.** ვაშინგტონში, ამერიკული ლეგიონის წარმომადგენლების წინაშე გამოსვლის დროს, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დემოკრატიული რევოლუციების შესახებ მორიგი განცხადება გააკეთა. პრეზიდენტის თქმით, რიგ ქვეყნებში მომხდარი დემოკრატიული რევოლუციების სერია მსოფლიოში თავისუფლების გავრცელების მხოლოდ დასაწყისია, რაც აშშ-ს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება. „ჩვენ გავხდით ტიტების, კედრების, მეწამული და ნარინჯისფერი რევოლუციების მოწმენი. მთელ მსოფლიოში თავისუფლების მარში დაიწყო და ვერ მოვისვენებთ მანამდე, ვიდრე თავისუფლებას მსოფლიოს ყველა მცხოვრები არ შეიგრძნობს. ეს ჩვენს ეროვნულ ინტერესებში შედის," - აცხადებს ჯორჯ ბუში.

*მედიანიუსი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# რა ვუყოთ რუსეთს?

## ვაშინგტონის არჩევანი

პირველი გვერდიდან

კიდევ უფრო საინტერესოა მეორე პასაჟი აღნიშნული სტატიიდან – კონდოლიზა რაისს თურმე განსხვავებული პოზიცია აქვს (ანუ ცდილობს, რუსული დემოკრატიის მდგომარეობაზე გამოთქმული შეშფოთების პარალელურად, მოსკოვთან "პრაგმატული პარტნიორობის" გზებიც გამოძებნოს ისეთ საკითხებში, როგორიცაა, მაგალითად, ირანის ბირთვული პროგრამა).

ამერიკული გამოცემის თანახმად, რაისმა, ვიცე-პრეზიდენტის მსგავსად, თათბირი გამართა მრჩევლებთან, რაშიც ზოგიერთმა ბუშის ადმინისტრაციიდან ჩეინის ნაბიჯებისთვის შეწინააღმდეგების მცდელობა დაინახა. ვაშინგტონის ოფიციალური პირები კატეგორიულად უარყოფენ რაიმე სახის გახლეჩის არსებობას ადმინისტრაციაში. თუმცა, იქვე მიანიშნებენ, რომ ჩეინისა და რაისის მიდგომებში განსხვავებებიც არსებობს.

შესაძლოა, ბოლო დროს ვაშინგტონში რუსეთისადმი ინტერესის გაზრდის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყოს, რომ წელს "დიდ რვიანს" სწორედ პუტინი თავმჯდომარეობს. შეგახსენებთ, G-8 გახლავთ განვითარებული, ინდუსტრიული დემოკრატიების ფორუმი, სადაც, ბევრის აზრით, რუსეთის ადგილი არ არის (იგი არც განვითარებულია და არც დემოკრატიული).

კრიტიკოსები ირწმუნებიან, რომ "დიდ რვიანში" რუსეთის წევრობა ამ ორგანიზაციას სასაცილოს ხდის. ზოგიერთი კი, მაგალითად, რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი, ღიად მოუწოდებს აშშ-ს სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილი სამიტის ბოიკოტირებისკენ. გარდა ამისა, ევროპელთა ნაწილიც საკმაოდ ბევრს ფიქრობს იმაზე, თუ პუტინის მეთოდების "შემწყნარებელთა" იარლიყი როგორ აიცილონ.



"ვაშინგტონ პოსტი" წერს, რომ "დიდი რვიანის" მომავალი შეხვედრის წინ, ბუშის ადმინისტრაცია განიხილავს, როგორ წარმოაჩინოს თავისი შეშფოთება რუსეთში არსებულ დემოკრატიულობის ხარისხთან დაკავშირებით. ბუნებრივია, ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად უკვე კარგად აპრობირებული, ადამიანის უფლებათა დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ღია მხარდაჭერის დემონსტრირება და მათი შეხვედრის ორგანიზება განიხილება.

გაზეთის ინფორმაციით, მარტში რუსეთთან დაკავშირებით კრიტიკული მოხსენების გამოქვეყნება იგეგმება, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს გავლენიანმა ჯგუფმა მოამზადა, აშშ-ს ყოფილი კონგრესმენის, რესპუბლიკელი ჯეკ კემპის და ყოფილი სენატორის, დემოკრატი ჯონ ედვარდსის ხელმძღვანელობით.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ ბოლო კვირის განმავლობაში ვაშინგტონი აქტიურ კონსულტაციებს მართავს რუს და დასავლელ პოლიტოლოგებთან, რათა რუსეთის მიმართ შეუცდომელი პოლიტიკა შეიმუშაოს. ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებას "ვაშინგტონ პოსტიც" აქვეყნებს. მაგალითად, ერთ-ერთის თანახმად, **"აშშ-მ თავი უნდა აარიდოს რუსეთზე ძლიერ ზეწოლას დემოკრატიის მიმართულებით, რადგანაც ასეთმა ზეწოლამ, შესაძლოა, უკუშედეგები გამოიწვიოს".**

შესაძლოა, სწორედ ასეთი მიდგომის გამოხატულება იყო ბუშის ადმინისტრაციის ნაბიჯი, შეემცირებინა რუსეთში დემოკრატიის მხარდაჭერის საბიუჯეტო პროგრამა. მაგალითად, წლევანდელი 44,2 მლნ აშშ დოლარის ნაცვლად, მომავალ წელს აშშ ამ მიზნით მხოლოდ 31,6 მლნ დოლარს გამოყოფს.

ორი კვირის წინ კონდოლიზა რაისმა ძალიან საინტერესო მოსაზრება დააფიქსირა. ტელეკომპანია "სი ბი ეს"-ის ეთერით გამოსვლისას აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა განაცხადა: **"ჩვენ არჩევანის წინაშე ვდგავართ – შეგვიძლია ვთქვათ: "კარგი, რუსეთში საქმეები ცუდად მიდის. ამიტომ, ვბრუნდებით წარსულში და მოვახდენთ რუსეთის იზოლირებას ისეთი ორგანოებისგან, როგორიცაა ნატო-რუსეთის საბჭო ან "დიდი რვიანი". ან პირიქით, ვეტყვით რუსეთს: "დიახ, ჩვენ გვინდა, ამ ორგანოებში იყოთ, მაგრამ მოველით, რომ ამ ორგანოების ღირებულებების შესაფერისადაც მოიქცევით".**

ასე რომ, არჩევანის მრავალფეროვნება დღეისათვის ნამდვილად არ არსებობს.

აქედან გამომდინარე, "დიდი რვიანის" არც ერთ წევრს სანკტ-პეტერბურგის სამიტის ბოიკოტირების სურვილი ჯერჯერობით არ გამოუთქვამს. თუმცა, უკვე ძალიან ბევრი ლიდერი წინასწარ შეხვედრებზე რუსეთს უბიძგებს, აღიაროს საკუთარი "ცუდი იმიჯის" პრობლემა და სანკტ-პეტერბურგის შეხვედრას არა მარტო საპროტოკოლო დატვირთვა შესძინოს.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ სანკტ-პეტერბურგის სამიტი მხოლოდ და მხოლოდ "საზეიმო ღონისძიებაა" და სხვა არაფერი. მით უმეტეს, რომ დასავლეთში, რუსეთის მიერ სანკტ-პეტერბურგის სამიტის თემად "ენერგოუსაფრთხოების" დასახელებას ბევრი უკვე ირონიულად მოიხსენიებს და აქტიურად ცდილობს, რუსული ენერგომატარებლების დამოკიდებულებისგან გათავისუფლდეს.

ვაშინგტონში კი ოფიციალური პირები იმ გზებზე მსჯელობენ, თუ როგორ უნდა გამოიხატოს შეშფოთება რუსეთის მიერ აღებული კურსის გამო (რაც მთავარია, ეს სამიტის წინ უნდა გაკეთდეს). შექმნილ ვითარებას კარგად გამოხატავს რუსეთის ექსპერტის ანდრეს ასლუნდის სიტყვები: **"ბუშის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ რაღაც უნდა მოიმოქმედოს, თუმცა, კონკრეტულად რა, ვერ ჩამოყალიბებულა."**

# თურქმენბაშიმ უკრაინა კუთხეში მიიმწყვდია

პირველი გვერდიდან

**"დღეს ევროპას უჭირს. ენერგომატარებლებზე ფასები იზრდება. ცოტ-ცოტას ჩვენც ვაძვირებთ. თუ აქამდე (გაზს) 44 დოლარად ვყიდდით, ახლა ვყიდით 65 დოლარად, მეცხრე-მეათე თვიდან კი ფასს 100 დოლარამდე გავზრდით. ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ,"** - ასეთი განცხადება თურქმენბაშიმ ადგილობრივი ტელევიზიით გააკეთა.

95 დოლარი (რა ფასადაც კონცერნ "როსუკრენერგომ" უკრაინაში გაზის მოწოდების ვალდებულება აიღო), "საშუალო არითმეტიკულია" რუსული "გაზპრომის" მიერ დაწესებულ 230 დოლარსა და თურქმენული გაზის ღირებულებას – 65 დოლარს შორის. ფასწარმოქმნის ამგვარი პრინციპი მას შემდეგ დაწესდა, რაც მიმდინარე წლის პირველ დღეებში უკრაინამ რუსული გაზის 230 დოლარად შეძენაზე უარი განაცხადა. "გაზპრომის" გაზის თურქმენული გაზით "გაზავებამ" და მიწოდების სქემაში საშუამავლო კომპანიის ჩართვამ მაშინ ორივე მხარის ინტერესები დააკმაყოფილა – უკრაინამ გაზი შედარებით იაფად მიიღო, ხოლო რუსეთმა, დათმობის მიუხედავად, ფორმალურად თავისი პრესტიჟი შეინარჩუნა. თურქმენეთის მიერ ფასის 100 დოლარამდე გაზრდის შემთხვევაში, "საშუალო" ფასი 120-130 დოლარს მიაღწევს.

**"თუ თურქმენეთთან რეალური მოლაპარაკებები არ წარიმართა, ფასი აიწევს და "როსუკრენერგოც" იძულებული იქნება, უკრაინას გაზი გაუძვიროს,"** - აღნიშნავს უკრაინელი ექსპერტი, კომპანია "ნაფტოგაზ უკრაინის" ყოფილი ხელმძღვანელი იური ბოიკო. მისი აზრით, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქმენეთი ცალმხრივ ზომებს გაატარებს და **"ისეთ წინადადებას შემოგვთავაზებს, რაზეც უკრაინა უარს ვერ იტყვის."** ბოიკო არ აზუსტებს, რა წინადადებაზე შეიძლება იყოს საუბარი, თუმცა თურქმენბაშის განცხადებებიდან გამომდინარე, იგი დირექტიული ზომებისთვისაც მზად არის. ძნელია თქმა, იქნება თუ არა ეს მორიგი გამორთვები, მაგრამ ცხადია, რომ კიევი ახალი ფასის დაწესებას წინააღმდეგობას გაუწევს.

რამდენიმე დღის წინ უკრაინელი პარლამენტარები გამოვიდნენ წინადადებით, რუსეთიდან შემოსული თურქმენული გაზის ზღვრული ფასი 100 დოლარით განესაზღვრონ. მაგრამ ცხადია, რომ ფასებზე ზემოქმედება უკრაინის უმაღლეს რადას არ შეუძლია.

გაუგებარია, რომელ "მოლაპარაკებებს" გულისხმობდა თურქმენბაში. შესაძლოა, მან ფასების ცვლილების შესაძლებლობა მოსკოვს უკვე შეუთანხმა. როგორც ჩანს, "გაზპრომს" სხვა გამოსავალი არ აქვს, გარდა აშხაბადის პირობებზე თანხმობისა, რადგან თავად "გაზპრომის" გაზის რაოდენობა უკრაინის უზრუნველყოფისათვის საკმარისი არ არის. და ამ გაზის ფასიც – 230 დოლარი - უკრაინისათვის მიუღებელია. ამ პირობებში გაუგებარია, როგორ უნდა დაიცვას მოსკოვმა 4 იანვრის შეთანხმება კიევთან.

თუმცა, მიმომხილველები არ გამორიცხავენ, რომ ფასების ეტაპობრივი ზრდა თავად უკრაინასა და თურქმენეთს შორის გაფორმებული კონტრაქტის "საიდუმლო" ნაწილითაა განსაზღვრული. მაგრამ ამ ინფორმაციას არც კიევში და არც მოსკოვში ოფიციალურად არ ადასტურებენ.

ექსპერტთა შეფასებით, 100 დოლარი ათას კუბურ მეტრში უკრაინის ეკონომიკისათვის გაზის კრიტიკული ფასია. ამ ზღვარის გადალახვის შემთხვევაში მეტალურგია არარენტაბელური გახდება და კიევს თავისი პროდუქციის ექსპორტში სერიოზული პრობლემები შეექმნება, რადგან მისი თვითღირებულება დასავლეთ ევროპის მაჩვენებლებს მიუახლოვდება.

აქამდე თურქმენბაში საკმაო გულუხვობას იჩენდა. მან უარი თქვა გაზის ტრანსპორტირების ალტერნატიულ მარშრუტზე კასპიის ზღვის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით და საკუთარ გაზს "გაზპრომს" საკმაოდ დაბალ ფასში აწვდიდა, რომელიც, თავის მხრივ, მას ევროპულ ბაზარზე გაცილებით ძვირად ჰყიდდა. ამით თურქმენბაშიმ "გაზპრომის" მონოპოლიური მდგომარეობაც გააძლიერა და მას დიდძალი ფინანსური მოგებაც მოუტანა.

დღეს კი მოსკოვს პირობებს თავად თურქმენეთის ძნელად პროგნოზირებადი ლიდერი კარნახობს. "გაზპრომს" თურქმენული გაზი თავისი კონტრაქტების შესასრულებლად სჭირდება. თურქმენეთს – "გაზპრომის" ქსელი და, როგორც აღმოჩნდა, უფრო მეტი ფული.

გულუხვობას თურქმენბაში გაზის მოწოდებაზე კონტრაქტების გაფორმებაშიც იჩენს. 2004 წელს თურქმენეთი წელიწადში 54 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მოიპოვებდა. აქედან 15 მილიარდზე მეტს თავად მოიხმარდა, თითქმის 40 მილიარდი კი ექსპორტზე მიდიოდა. წელს აშხაბადს რუსეთთან კონტრაქტი 40 მილიარდ კუბური მეტრის მოწოდებაზე აქვს დადებული, უკრაინასთან – 30 მილიარდზე. ექვსნახევარ მილიარდ კუბურ მეტრს თურქმენეთი ირანს მიაწვდის. საიდან მოიპოვებს თურქმენბაში ამ რაოდენობის გაზს ყველას დასაკმაყოფილებლად, არავინ იცის. გარანტია ნიაზოვის სიტყვაა, რომლის გუნება-განწყობის ცვლილებებზე დიდადაა დამოკიდებული გაზის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა და, შესაბამისად, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის ბედი.

# ევროკავშირი თურქეთს ალტერნატიულ ენერგეტიკულ წყაროდ განიხილავს

რუსულმა საინფორმაციო ანალიტიკურმა ინტერნეტგამოცემამ რუსი ანალიტიკოსის წერილი გამოაქვეყნა, სადაც ავტორი ღიად აცხადებს, რომ ევროკავშირი თურქეთს ალტერნატიულ ენერგეტიკულ წყაროდ განიხილავს. წერილში აღნიშნულია, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე წლის იანავარში გაზმომარაგების სფეროში მომხდარი ფაქტის შემდეგ, საექსპორტო-საიმპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციაზე ევროკავშირის ყველა ქვეყანამ ფიქრი დაიწყო. მათი ყურადღების ცენტრში თურქეთი აღმოჩნდა.

"რუსეთი ცდილობს, შეამციროს თავისი დამოკიდებულება უკრაინაზე, როგორც სატრანზიტო ქვეყანაზე, რომლის გავლითაც გაზს ევროპას აწვდის," - ნათქვამია წერილში. წერილის ავტორი ყურადღებას ამახვილებს თებერვლის დასაწყისში, "გაზპრომის" ხელმძღვანელის, ალექსი მილერის თურქეთის მთავრობასთან, მათ შორის, ენერგეტიკის მინისტრ ჰილმი გიულერთან გამართულ შეხვედრაზე. განხილვის თემას წარმოადგენდა გაზის ექსპორტის გაფართოება ევროკავშირის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი, იტალიასა და საბერძნეთში, რომელიც შავი ზღვის ფსკერზეა გაყვანილი მილსადენის გავლითაა შესაძლებელი. მათ ასევე განიხილეს, მილსადენზე დამატებითი განშტოებების მშენებლობის პროექტი, რათა ბუნებრივი აირის ექსპორტი შესაძლებელი იყოს ისრაელსა და ლიბიაშიც. მხარეებს შორის შესაბამის შეთანხმებას ხელი, შესაძლოა, მიმდინარე წლის აპრილში მოეწეროს.

"ზოგიერთ ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ მოსკოვის მცდელობა, გააფართოოს თავისი გავლენის სფეროები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, განპირობებულია იმით, რომ ასიმეტრიულად უპასუხოს აშშ-ს საომარი სტრატეგიული გავლენის სფეროების ზრდას შავი ზღვის რეგიონში, განსაკუთრებით კი საქართველოში," - ნათქვამია წერილში.

"თურქეთს მესამე ქვეყანაში გაზის ტრანზიტისთვის სანდო პარტნიორად მივიჩნევთ," - განაცხადა მილერმა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე. "უკრაინაში მომხდარმა საბოლოო მოვლენებმა გვიჩვენა, რომ საჭიროა ახალი მილსადენის გაყვანა შავ ზღვაში "ცისფერი ნაკადის" პარალელურად," - განაცხადა მან.

ამჟამად "ცისფერი ნაკადი", რომლის მთლიანი სიმძლავრე 16 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს წელიწადში, მხოლოდ მესამედი დატვირთვით მუშაობს. 2005 წელს აღნიშნული მილსადენით მხოლოდ 5 მილიარდი კუბური მეტრის გაზის ტრანზიტი ხდებოდა. "გაზპრომის" სწრაფვა, გააფართოოს თავისი ენერგეტიკული ურთიერთობები თურქეთთან, კარგად შეესაბამება კრემლის სტრატეგიას. კრემლი ცდილობს, აღადგინოს რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მკვეთრად დაეცა.

საბერძნეთისა და იტალიისათვის გაზის მიწოდებით, რუსეთი ცდილობს, ევროკავშირის თვალში აღიდგინოს იმიჯი, როგორც სანდო მიმწოდებელმა. მიუხედავად რუსეთის ძლიერი ენერგეტიკული პოზიციისა, კასპიის აუზში გაურკვეველი რჩება, შეძლებს თუ არა კრემლი საექსპორტო მარშრუტების კონტროლს. როდესაც მილერი ანკარაში შეხვედრას აწარმოებდა, თურქეთის პრემიერ-მინისტრი "ბაქო-თბილისი-ერზრუმის" გაზსადენის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებდა.

აღნიშნულ გაზსადენზე სამუშაოების დასრულება 2006 წლის ბოლოს იგეგმება და მისი წლიური სიმძლავრე 20 მილიარდი კუბური მეტრი იქნება. ბოლო თვეებში გაძლიერდა მოწოდებები, რომ ევროკავშირმა გადახედოს თავის ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკას.

ევროპის მისწრაფებამ დივერსიფიკაციისაკენ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ორი პროექტის განვითარებას. ერთ-ერთი პროექტი ითვალისწინებს მილსადენის "ნაბუკო" მშენებლობას კასპიისა და ახლო აღმოსავლეთის გაზის ტრანსპორტირებისათვის, სამხრეთ დასავლეთ აზიაში თურქეთის გავლით; ხოლო მეორე პროექტი - ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობას, რომელიც საშუალებას მისცემს თურქმენეთს, თავისი მძლავრი გაზის რესურსები აზერბაიჯანის სისტემაში ჩართოს.

თუ ერთ-ერთი პროექტი მაინც განხორციელდება, რუსეთის ენერგეტიკული გავლენა რეგიონზე სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. როდესაც თურქეთი სატრანზიტო ცენტრად გადაიქცევა, ანკარა დამოუკიდებელი გახდება ძვირადღირებული რუსული გაზისაგან.

როგორც ერთ-ერთი რუსი ექსპერტი ვლადიმირ მილოვი აცხადებს, "გაზპრომი" სერიოზულ რისკზე წავა, თუ ის კიდევ ერთ გაზსადენს ააშენებს თურქეთში. მისი აზრით, კასპიის ენერგეტიკული ოცნებები, შესაძლოა, კრემლს ეკონომიკურ კოშმარად შემოუბრუნდეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# დარჩება მაჰმუდ აბასი პოსტზე?

პალესტინის ავტონომიის მეთაური მაჰმუდ აბასი პოსტიდან გადადგება, თუ ის რადიკალური მოძრაობის "ჰამასის" მხრიდან ზეწოლას იგრძნობს. ამის შესახებ თავად აბასმა ერთ-ერთი ბრიტანული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. "ჩვენ შეიძლება ისეთ მდგომარეობას მივაღწიოთ, როცა მე ჩემი მოვალეობის შესრულებას ვერ შევძლებ," - თქვა მან.

პალესტინის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა "ჰამასმა" ავტონომიის მთავრობა უნდა ჩამოაყალიბოს. "ჰამასის" გამარჯვების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა აჰმედ კურეიმ, რომელიც ყოფილ მმართველ პარტიას "ფათჰის" წარმოადგენდა, თანამდებობა დატოვა. რადიკალურმა ორგანიზაციამ პრემიერ-მინისტრის პოსტზე ისმაილ ჰანიას კანდიდატურა წამოაყენა, რომელმაც უკვე პირობა დადო, რომ ახალი მთავრობის ფორმირებას ორ კვირაში დაასრულებს.

"ფათჰის" ლიდერი მაჰმუდ აბასი "ჰამასისგან" მოითხოვს, უარი თქვას ტერორისტულ საქმიანობაზე და აღიაროს ისრაელის სახელმწიფო. თუმცა, აბასის თქმით, ის პოლიტიკური პროცესიდან გამოვა, თუ მისი სამშვიდობო ინიციატივები დაჯგუფების მხრიდან მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს. ისმაილ ჰანიამ კი განაცხადა, რომ "ჰამასი" მზად არის, გარკვეული პირობებით აღიაროს ისრაელი. მისი თქმით, მთავარი პირობაა პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა 1967 წლის საზღვრებში, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირის და აღმოსავლეთ იერუსალიმის ჩათვლით.

*ინტერპრესნიუსი*

Pharmacological company "Abbott laboratories" is one of the leading in the world and actively developing in CIS. We are opening a vacancy of **Sales and Marketing Manager** in Caucasus.

*Main responsibilities*: to support and develop sales and promotional activities of "Abbott Laboratories" in Georgia, Azerbaijan and Armenia.

*Requirements*: fluent English; experience in the position of product manager or sales manager or sales force manager or business unit manager in pharmaceutical company; ability to plan own activities; high level of self-discipline and self-organization; *very desirable*: experience in rep cycle organization, experience in institutional and hospital business.

We offer a very interesting and dynamic work, stable and competitive reward, training and the career growth.

CV is to be sent within two weeks after publication of this announcement by e-mail: yuriy.snezhko@abbott.com

ფარმაკოლოგიური კომპანია "Abbott laboratories" წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას მსოფლიოში და იგი აქტიურად ვითარდება დსთ-ში. ვაცხადებთ კავკასიის რეგიონში **გაყიდვების და მარკეტინგის მენეჯერის** ვაკანსიას.

*ძირითადი მოვალეობები:* საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში "Abbott laboratories" გაყიდვების და პრომოციის მხარდაჭერა და განვითარება.

*მოთხოვნები:* ინგლისურის თავისუფლად ფლობა; მუშაობის გამოცდილება ფარმაცევტულ კომპანიაში პროდუქციის მენეჯერის, გაყიდვების მენეჯერის, გაყიდვების გუნდის მენეჯერის ან ბიზნესის ერთეულის მენეჯერის თანამდებობაზე; საკუთარი საქმიანობის დაგეგმვის უნარი; თვითდისციპლინის და თვითორგანიზების მაღალი დონე; *ძალზე სასურველია:* წარმომადგენლის ციკლის ორგანიზების გამოცდილება; ინსტიტუციონალურ ან საავადმყოფო ბიზნესში მუშაობის გამოცდილება.

ჩვენ გთავაზობთ ძალზე საინტერესო და დინამიურ სამუშაოს, სტაბილურ და კონკურენტუნარიან ანაზღაურებას, ტრენინგს და კარიერული ზრდის პირობებს.

ავტობიოგრაფია (CV) უნდა იქნას გაგზავნილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში ელ-ფოსტით შემდეგ მისამართზე: yuriy.snezhko@abbott.com

DEZA DDC DSC SDC COSUDE
DIREKTION FÜR ENTWICKLUNG UND ZUSAMMENARBEIT
DIRECTION DU DÉVELOPPEMENT ET DE LA COOPÉRATION
DIREZIONE DELLO SVILUPPO E DELLA COOPERAZIONE
SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION
AGENCIA SUIZA PARA EL DESARROLLO Y LA COOPERACIÓN

Staatssekretariat für Wirtschaft
Secrétariat d'Etat à l'économie
Segretariato di Stato dell'economia
State Secretariat for Economic Affairs
seco

**SWISS REGIONAL COOPERATION OFFICE FOR THE SOUTH CAUCASUS**
**Embassy of Switzerland**

## განცხადება

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".**

კურსი ჩატარდება 2006 წლის 29 აპრილიდან 13 მაისამდე ბაქოში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 21 მარტი. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

**http://www.cabir.org/news.htm**

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ პროექტის კოორდინატორს ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტში, ბატონ ალი არბიას ელექტრონული ფოსტით: cabirapplications@yahoo.com

მოკლედ

### ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ოქროს ნაწარმი აუქციონზე გამოაქვს

"საფინანსო სააგენტო" სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სხვადასხვა სინჯის ოქროს ნაწარმისა და ჯართის გასაყიდად აუქციონს აწყობს. აუქციონი ლოტების მიხედვით ჩატარდება. თითოეული ლოტის წონა 183,2- 369 გრამით, ხოლო საწყისი ღირებულება 3500-6300 ლარით განისაზღვრება. გასაყიდად სულ ექვსი ლოტია წარმოდგენილი აუქციონი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 27 თებერვალს 13:00 სთ-ზე გაიმართება. მონაწილეობის მსურველებს განცხადებით "საფინანსო სააგენტოსთვის" 24 თებერვლამდე უნდა მიემართათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოს საგადასახადო სისტემის საკითხებს შეხვედრა მიეძღვნება

საერთაშორისო საგადასახადო სისტემა "Visa International"-ის წარმომადგენლები დღეს თბილისში პირველ ღია შეხვედრას გამართავენ. მისი თემაა "ვიზას გაცნობა". შეხვედრა სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაიმართება. მას დაინტერესებული პირები და სპეციალისტები დაესწრებიან. ღონისძიება მსოფლიოსა და, უშუალოდ, საქართველოს საგადასახადო სისტემის საკითხებს მიეძღვნება.

"Visa International"-ის წარმომადგენლები დამსწრე საზოგადოებას ამ სისტემით გადასახადების გადახდის ტექნოლოგიებს გააცნობენ. გარდა ამისა, შეხვედრის ძირითადი ამოცანაა, ეკონომიკის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებს დაეხმაროს, უკეთ გაერკვნენ საგადასახადო რუკასთან დაკავშირებულ საკითხებში და გაეცნონ "Visa International"-ის საგადასახადო სისტემას.

"Visa International"-ის მხრიდან შეხვედრას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში ამ ორგანიზაციის რეგიონული მენეჯერი სვეტლანა გიორბელიძე, მენეჯერი ბიზნესის განვითარების საკითხებში ირინე ქამხაძე, დსთ-ს ქვეყნებსა და რუსეთში "Visa International"-ის წარმომადგენლობის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი კარინა გროშევა და ამავე წარმომადგენლობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ანტონინა გერფანოვა დაესწრებიან. **მედიანიუსი**

### ზურაб ნოღაიდელი ორდღიანი ვიზიტით აშშ-ში მიემგზავრება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ორდღიანი ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება.

ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენს მონაწილეობის მიღება ბიზნეს-ფორუმში "ინვესტ ინ ჯორჯია", რომელიც ნიუ-იორკში 2 მარტს გაიმართება. ზურაბ ნოღაიდელი ფორუმს გახსნის და ამერიკელი ბიზნესმენების წინაშე სიტყვით გამოვა. პრემიერ-მინისტრთან ერთად ფორუმის მუშაობაში მონაწილეობას სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე, ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე, ასევე ქართული ბიზნესისა და საბანკო სექტორის წარმომადგენლები მიიღებენ. იგეგმება პრემიერ-მინისტრის შეხვედრები მსხვილ ამერიკელ ბიზნესმენებთან.

ვიზიტის მეორე დღეს პრემიერ-მინისტრი გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს შეხვდება, სადაც განიხილავენ აფხაზეთის კონფლიქტის სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობას და გაეროს როლს ამ პროცესში. ზურაბ ნოღაიდელი საქართველოში 4 მარტს დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

### შპს "ზაჰესმა" ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია უვადოდ მიიღო

ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, შპს "ზაჰესზე" ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია უვადოდ გაიცა.

"ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციას ახორციელებს მოიჯარე კომპანია, ამიტომ ლიცენზიის პირობებში ჩაიწერა, რომ სადგურს ლიცენზია "ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" კანონის თანახმად უვადო ექნება, ხოლო მოიჯარე კომპანიას ლიცენზიის ვადა საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით განესაზღვრება," - განაცხადეს სემეკში. **ინტერპრესნიუსი**

### ავიაკომპანიებს ასაფრენი ბილიკის სარეაბილიტაციო სამუშაოების განრიგს დღეს წარუდგენენ

თურქული კომპანიების "ტავისა" და "ურბანის" გაერთიანება ავიაკომპანიებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენი ბილიკის სარეაბილიტაციო სამუშაოების განრიგს დღეს წარუდგენს. როგორც ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" პრეზიდენტმა გიორგი კოდუამ განაცხადა, ავიაკომპანიები მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ იმ რეისებისა და განრიგების შედგენასა და ურთიერთშეთანხმებას, რომელსაც ისინი ზაფხულის სეზონზე განახორციელბენ. როგორც მან აღნიშნა, თურქული კომპანია ასაფრენი ბილიკის რეაბილიტაციის დაწყებას აპრილიდან აპირებს და მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლომდე დაასრულებს. ასაფრენი ბილიკი, სავარაუდოდ, დილის 9-დან 4 საათამდე და საღამოს 6-დან 11 საათამდე დაიხურება. კოდუას განცხადებით, ავიაკომპანიებს საუკეთესო სეზონზე მუშაობა შეზღუდვებით მოუწევთ.

**"აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები თურქულ კომპანიასთან ერთი თვეა მიმდინარეობს, თუმცა სხვა შეთანხმებას ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ,"** - განაცხადა მან. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ოპოზიცია ხელისუფლებას დაპირების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს

ოპოზიცია ხელისუფლებას ინდმეწარმეებისთვის მიცემული დაპირების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს. კერძოდ, საუბარია გადასახადებისგან ორი წლით გათავისუფლებაზე. თუმცა, როგორც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი აცხადებს, ინდმეწარმეების გადასახადებისგან მთლიანად გათავისუფლება არასწორი იქნება. **"ზუსტად არ მახსოვს, ხელისუფლებას ასეთი დაპირება ჰქონდა თუ არა, მაგრამ თუ შეჰპირდა, მაშინ რატომ არ შეასრულა? თუმცა, უნდა გითხრათ, რომ გადასახადებთან დაკავშირებით რამდენიმე შეღავათი დაწესდა, მაგალითად, შემცირებულ ბრუნვასთან დაკავშირებით და ა.შ."** - განაცხადა ნიკო ლეკიშვილმა. **მედიანიუსი**

ა/წლის 28 თებერვალს დანიშნული ს/ს "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის" საერთო კრება ჩატარდება 19 მარტს, 1200 სთ-ზე.

**მისამართი**: ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის 32.

**დღის წესრიგი:**
1. სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებები;
2. საზოგადოების წესდების შეცვლა;
4. სხვადასხვა.

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 მარტიდან იწყებს განაცხადების მიღებას მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების, სახურავებისა და შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებლად.

დაძინანსების მოთხოვნით თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე www.tbilisi-corps.ge

მისამართი, ალმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული. ტელ. 95 20 34.

# "გაზპრომი" RosUkrEnergo-ის აქციების 50 პროცენტს ყიდულობს

*"გაზპრომი" RosUkrEnergo-ის აქციების 50 პროცენტს გაზპრომბანკისგან 2,3 მილიონ ევროდ გამოისყიდის. ამის შემდეგ, გაზის მონოპოლისტი პირდაპირ გააკონტროლებს კომპანიის ნახევარს, რომლის ღირებულებაც შვიდ მილიარდ დოლარამდეა. როგორც ჩანს, უკრაინულ "ნაფტოგაზს" კომპანიის დარჩენილი ნაწილის გამოსყიდვა საბაზრო ფასებით მოუწევს.*

"გაზპრომის" დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა, RosUkrEnergo-ს აქციათა 50 პროცენტი გაზპრომბანკიდან "გაზპრომის" პირდაპირ მფლობელობაში გადაიტანოს. "ინტერფაქსის" დირექტორთა საბჭოსთან დაახლოებული წყაროს ცნობით, "გაზპრომი" თავის შვილობილ კომპანიას 2,3 მილიონ ევროს გადაურიცხავს. "გაზპრომბანკის" დირექტორთა საბჭო გარიგებაზე მიმდინარე წლის იანვარში დათანხმდა. "გაზპრომის" მმართველობის თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრ მედვედევის განცხადებით, ეს გარიგება "გაზპრომბანკის" მოსალოდნელ პრივატიზაციას უკავშირდება. კერძოდ, აღნიშნული ბანკი თავისი აქციების 33,3 პროცენტს გერმანულ Dresdner Bank-ს მიჰყიდის. RosUkrEnergo-ს აქციების ბანკის ბალანსზე დატოვების შემთხვევაში კი, "გაზპრომი" მისი დამოუკიდებლად მართვის უფლებას დაკარგავდა.

**"ეს ფულის ერთი ჯიბიდან მეორე ჯიბეში გადატანას ჰგავს,"** - ასე ხსნის გარიგების უმნიშვნელო ღირებულებას რუსი ანალიტიკოსი დიმიტრი ანგილევი. **"გაზპრომს" შეეძლო, RosUkrEnergo-ს ფინანსური უზრუნველყოფისთვის საერთოდ არაფერი გადაეხადა,"** - მიიჩნევს კიდევ ერთი რუსი ანალიტიკოსი ანტონ რუბცოვი.

RosUkrEnergo-ს აქციების "გაზპრომის" ბალანსზე გადაყვანის მიუხედავად, კომპანიის მუშაობის სქემაში პრინციპულ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ, მიიჩნევენ რუსი ექსპერტები. ოდნავ ადრე "გაზპრომის" წარმომადგენლები RosUkrEnergo-ს გამჭვირვალობაზე საუბრობდნენ. **"გასული წლის იანვარ-სექტემბრის ანგარიშში "გაზპრომმა" RosUkrEnergo-ს ყველა მონაცემი გახსნა, მათ შორის, კომპანიის მოგებაც. მეტ გამჭვირვალობას აღარ უნდა ველოდოთ,"** - აღნიშნა რუბცოვმა.

ერთ-ერთი ანალიტიკური ჯგუფის შეფასებით, კომპანიის სამართლიან შეფასებას მისი გაუმჭვირვალობა უშლის ხელს. კომპანიის აქციათა 50 პროცენტის დაახლოებითი ღირებულება 2-3 მილიარდ დოლარს შეადგენს. "ინტერფინტრეიდში" კი მთლიანი კომპანიის ღირებულებას 1-2 მილიარდად აფასებენ.

"გაზპრომს" RosUkrEnergo-ს შეფასების თავისი ვარიანტი აქვს. გაზის მონოპოლისტის ანგარიშის თანახმად, გასული წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, კომპანიის 50 პროცენტს 55 მილიონ დოლარად აფასებდნენ. **"გაზპრომი" მზად არის, RosUkrEnergo-ს 50 პროცენტი ამ ფასად შეიძინოს. თუმცა მისი რეალური ღირებულება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სჭირდება ის "გაზპრომს,"** - ნათქვამია ანგარიშში.

ოდნავ ადრე, RosUkrEnergo-ს წილის გამოყიდვას "ნაფტოგაზში" გეგმავდნენ. თუმცა მოგვიანებით, უკრაინის სახელმწიფო კომპანიამ უარი თქვა ამ გეგმაზე.

**"შესაძლოა, არჩევნების შემდეგ უკრაინის მხარემ RosUkrEnergo-ს ბენეფიციარებზე ზეწოლა სცადოს..."** - აცხადებს "ინტერფინტრეიდის" ანალიტიკოსი რიფ ზეინალოვი.

დამოუკიდებელი ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ სკანდალურად ცნობილი RosUkrEnergo-ს ყიდვა "გაზპრომის" რეპუტაციაზე ნეგატიურად არ იმოქმედებს.

*24 საათი*

## "ინტელექტბანკის" კლიენტთა საყურადღებოდ

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
+
ინტელექტბანკი
INTELLECTBANK

ჩვენ ვართ:
- მძლავრი კომპანია ახალი ხედვით
- ყველაზე მეტი საკუთარი კაპიტალით - 94,5 მლნ. ლარი
- კომპეტენტური მენეჯმენტით
- მაღალკვალიფიციური პერსონალით

თქვენ ისარგებლებთ:
- ყველაზე დიდი, თანამედროვე ფილიალების ქსელით
- 40 - ზე მეტი უახლესი მოდელის ბანკომატით
- უმაღლესი ხარისხის მომსახურებით
- ინოვაციური საბანკო პროდუქტებით:

იპო+ ავტო+ მიკრო სესხი+ მოგზაური+ სტუდენტური სესხი+ ანაბარი+ სხვა +

დღეიდან თქვენ უკვე საქართველოს ბანკი გემსახურებათ

### „ინტელექტბანკის" მეანაბრეებისათვის!

„ინტელექტბანკის" მეანაბრეებს, რომლებსაც სურვილი აქვთ „საქართველოს ბანკში" გახსნან ახალი ვადიანი ანაბარი, 2006 წლის 1 აპრილამდე ისარგებლებენ სპეციალური პირობებით:

„ინტელექტბანკის" მეანაბრის მიერ „საქართველოს ბანკში" გახსნილ ანაბარზე, რომლის ვადიანობა ნაკლებია (ტოლია) 13 თვეზე, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა განხორციელდება შესაბამისი ვადიანობის ანაბრისთვის „საქართველოს ბანკში" განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთს + წლიური 0,5%

„ინტელექტბანკის" მეანაბრის მიერ „საქართველოს ბანკში" გახსნილ ანაბარზე, რომლის ვადიანობა აღემატება 13 თვეს, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა განხორციელდება შესაბამისი ვადიანობის ანაბრისთვის „საქართველოს ბანკში" განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთს + წლიური 1,0%

### "საქართველოს ბანკი" "ინტელექტბანკის" ყველა კლიენტს უზრუნველყოფს შეუფერხებელი, უმაღლესი დონის მომსახურებით

"საქართველოს ბანკის" მიერ "ინტელექტბანკის" აქტივებისა და პასივების შესყიდვასთან დაკავშირებით "ინტელექტბანკის" კლიენტებისათვის მოქმედებს შემდეგი ინსტრუქცია:

**ფიზიკური პირების ანგარიშების მომსახურება:**

**ანგარიშის არმქონე ფიზიკური პირების მომსახურება:**

- სწრაფი ფულადი გზავნილები (მანიგრამი/MoneyGram, ანელიკი/Anelik, კავკასიის ექსპრესი/Caucasus Express);

**ფიზიკური პირების პლასტიკური ბარათები:**

**ფიზიკური პირების ანაბრები:**

**იურიდიული პირების ანგარიშების მომსახურება**

**იურიდიული პირების ანაბრები**

**იურიდიული პირების პლასტიკური ბარათები**

- ბარათების ჩანაცვლება განხორციელდება ანალოგიური ტიპის ბარათებით (მაგ: თუ თქვენ სარგებლობდით VISA Electron-ით, მიიღებთ VISA Electron-ს და ა.შ);

**საქართველოს ბანკში ანგარიშის გასახსნელად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა**

**ფიზიკური პირებისათვის**

**იურიდიული ორგანიზაციებისათვის**

**ინდივიდუალური მეწარმეებისათვის**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
23 71 64; 23 71 65; 23 71 66
444 444

# სასამართლო დამოუკიდებელი არ არის

პირველი გვერდიდან

**"ვერ ვიტყვი იმას, რომ მსგავსის რამეები არ არსებობს, რადგან ასეთი შემთხვევები ხდება, მაგრამ სიტუაცია მაინც არ არის ისეთი, როგორც ამას ზოგიერთები წარმოაჩენენ. ამბობენ, თითქოს, სასამართლო პროკურატურის და ხელისუფლების ხელისშემწყობი და დამხმარეა - ეს აბსურდია. თუ ბოლოდროინდელ სტატისტიკურ მონაცემებს გადავავლებთ თვალს, უნდა ითქვას, რომ სასამართლოებში პროკურატურების მოთხოვნებიდან მხოლოდ 40 პროცენტი კმაყოფილდება. რაც შეეხება სასამართლოს სრულ დამოუკიდებლობას, ეს შეუძლებელია, რადგან ამისთვის დიდი დროა საჭირო" -** ამბობს კოტე კუბლაშვილი და დასძენს, **- მინდა, მოსამართლეებისგან გავიგო, პირადად, თუ რა პრობლემები აქვთ. სწორედ მოსამართლეების ერთიანობით და აქტიურობით უნდა მოხდეს ყველა არსებული პრობლემის მოგვარება, მიუხედავად იმისა, რომ იგი 2005 წლის დასაწყისში დაიწყო".** კუბლაშვილის თქმით, კახელი მოსამართლეების პრობლემა იგივეა, რაც თბილისელი მოსამართლეების.

"24 საათთან" საუბარისას კოტე კუბლაშვილმა ისიც განაცხადა, რომ სულ მალე, რეფორმის ფარგლებში, რაიონული სასამართლოების გაერთიანება იგეგმება. კუბლაშვილს იმედი აქვს, რომ სასამართლოების გაერთიანება ხელს შეუწყობს სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარებას.



*კოტე კუბლაშვილს დიდი სურვილი აქვს, ჩამოაყალიბოს მართლაც დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, მაგრამ...*

საგულისხმოა, რომ შეხვედრა მოსამართლეებსა და კოტე კუბლაშვილს შორის თელავის რაიონულ სასამართლოში დახურულ კარს მიღმა გაიმართა და, როგორც მოსამართლეებმა შეხვედრის შემდეგ განაცხადეს, კუბლშვილთან საუბარი სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ ახალ და სამომავლო ცვლილებებზეც მიმდინარეობდა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანამშრომლებთან შეხვედრები გუშინწინ დაიწყო. პირველი შეხვედრა მან თბილისის საქალაქო სასამართლოს და მცხეთა-მთიანეთის მოსამართლეებთან გამართა. დაგეგმილია შეხვედრები იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის და სამეგრელოს რეგიონების მოსამართლეებთან.

მოსამართლეების განცხადებით, ყველაზე სერიოზულ პრობლემას მათთვის განსახილველი საქმეების სიმრავლე წარმოადგენს. მათი განმარტებით, საქმეების დაგროვება გასულ წელს ჩატარებულმა რესტრუქტურიზაციამ განაპირობა, როდესაც, რაიონული სასამართლოების გაუქმების ხარჯზე, რამდენიმე მსხვილი სასამართლო შეიქმნა. რეფორმის გარდამავალ ეტაპზე სასამართლოებში მოსამართლეთა შტატებიც შემცირდა, რამაც დარჩენილი მოსამართლეების დატვირთვა გამოიწვია. მაგალითად, საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მხოლოდ 14 მოსამართლე იყო, რის გამოც, ისინი საქმეების განხილვას ვერ ასწრებდნენ. ასეთივე და ზოგან გაცილებით მძიმე საკადრო სიტუაციაა სხვა სასამართლოებშიც.

# საპარლამენტო საათი სამართალდამცველებისთვის

## საპარლამენტო ოპოზიციის შეკითხვები სანდრო გირგვლიანის მკვლელობას ეხება

*საპარლამენტო ოპოზიცია შს მინისტრს პარლამენტში კვლავ იბარებს. ვანო მერაბიშვილის გარდა, პარლამენტართა შეკითხვებზე პასუხის გაცემა საპარლამენტო საათზე მიწვეულ კიდევ ერთ სამართალდამცველს - გენერალურ პროკურორსაც მოუწევს. ფრაქციების - "დემოკრატიული ფრონტისა" და "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელთა შეკითხვები სანდრო გირგვლიანის მკვლელობას ეხება.*

პარლამენტარებმა წერლობითი შეტყობინება შს მინისტრსა და გენერალურ პროკურორს უკვე გაუგზავნეს, თუმცა გამოცხადდებიან თუ არა ისინი პარლამენტში, უცნობია.

შს მინისტრისა და გენერალური პროკურორის პარლამენტში მიყვანის ინიციატორების - "დემოკრატიული ფრონტისა" და "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლების, კობა დავითაშვილისა და კოკა გუნცაძის განცხადებით, ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტის გამოძიებასთან დაკავშირებით პარლამენტს ანგარიში უნდა ჩააბარონ. ოპოზიციას, ასევე, აინტერესებს, რატომ ინარჩუნებენ შს სამინისტროში მაღალ თანამდებობებს გარდაცვლილის ოჯახის მიერ მკვლელობასთან კავშირში ეჭვმიტანილები - ვასილ სანოძე, დათა ახალაია, გურამ დონაძე და ოლეგ მელნიკოვი.

კობა დავითაშვილის განცხადებით, პარლამენტში მიწვეულმა შს მინისტრმა უნდა განმარტოს, იყვნენ თუ არა დასახელებული პირები სანდრო გირგვლიანის გატაცების ორგანიზატორები, რასაც შედეგად მისი გარდაცვალება მოჰყვა. როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, გირგვლიანი და მისი მეგობარი ლევან ბუხაიძე კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის უფროსის დათა ახალაიას თანაშემწემ ოლეგ მელნიკოვმა გაატაცებინა.

შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი კი აცხადებს, რომ მზადაა, პარლამენტართა შეკითხვებს პასუხი გასცეს. ვანო მერაბიშვილის ინფორმაციით, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი. მისი თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით ბევრი გვარი გაჟღერდა და ყველა ვერსია მოწმდება. **"ჩვენი თანამშრომლების მხრიდან თუ გამოვლინდა კანონდარღვევის ფაქტები, ჩვენ მათ დასჯას არ მოვერიდებით,"** – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა. იგი მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, პოლიციის ავტორიტეტის შელახვა არ გამოიყენონ პოლიტიკური ქულების დასაწერად, რადგან, მისი თქმით, ეს არ გამოადგება არც პოლიტიკურ პარტიას, არც ქვეყანას და არც საზოგადოებას.

28 წლის სანდრო გირგვლიანი და მისი მეგობარი ლევან ბუხაიძე 27 იანვარს ლესელიძის ქუჩიდან გაიტაცეს, ოქროყანაში სასაფლაოზე აიყვანეს და ორივეს სასტიკად სცემეს. ინციდენტი სანდრო გირგვლიანის გარდაცვალებით დასრულდა. მისი ცხედარი მეორე დილით გარდაცვლილის მეგობრებმა სასაფლაოს მიმდებარე ტეროტორიაზე, ხევში იპოვეს. სანდრო გირგვლიანის ახლობლების განცხადებით, გატაცებამდე ნახევარი საათით ადრე, სანდრო გირგვლიანს "შარდენ ბარში" შს სამინისტროს მაღალჩინოსნებთან მოუვიდა კონფლიქტი.

როგორც ცნობილია, შს სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელის გურამ დონაძის თანამდებობიდან გათავისუფლება რამდენიმე დღის წინ საქართველოს სახალხო დამცველმაც მოითხოვა.

*24 საათი*

# თვითმკვლელობის მცდელობა პოლიციის საკანში

*აჭარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების სპეციალურ საკანში ყაჩაღობაში ეჭვმიტანილმა ზურაბ ქათამაძემ თვითმკვლელობა სცადა. ამჟამად ზურაბ ქათამაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია. გამომძიებელი ბადრი ბოლქვაძე კომენტარის გაკეთებაზე უარს აცხადებს. თუმცა, ამბობს, რომ საქმით პროკურატურა დაინტერესდა და იმასაც აღნიშნავს, რომ გამოძიება სწორ კვალს ადგას. საგამოძიებო ჯგუფის წევრები ინფორმაციის გაცემას ბათუმის N1 საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების მორიგე ექიმებსაც უკრძალავენ.*

შორენა გობიჩაიშვილი
*ბათუმიდან*

ყაჩაღობაში ეჭვმიტანილის ახლობლები აცხადებენ, რომ ზურაბ ქათამაძე ბათუმის პოლიციის მესამე ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს, შემდგომ აჭარის შინაგან საქმეთა სამმართველოს წინასწარი დაკავების სპეციალურ საკანში მიიყვანეს, საიდანაც უგონო მდგომარეობაში მყოფი ბათუმის №1 საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს.

ზურაბ ქათამაძის ოჯახის წევრების თქმით, მათ მომხდარის შესახებ 25 თებერვალს შეიტყვეს. **"ზურა 21 თებერვალს საღამოს ხუთ საათზე გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. მხოლოდ 25 თებერვალს გავიგე, რომ ის რეანიმაციაში იწვა და მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი მდგომარეობის შესახებ ჩემთვის არაფერი შეუტყობინებიათ",** – აცხადებს ეჭვმიტანილის მეუღლე ლია ქათამაძე. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ქათამაძის საქმის დეტალებს ასაიდუმლოებს, მაინც გაირკვა, რომ წინასწარი დაკავების საკანში შეყვანისას ეჭვმიტანილი ქათამაძის დაკავების ფაქტი დაკავების ჟურნალში არ აღურიცხავთ. წინასწარი დაკავების საკნის უფროსმა სულიკო ბერიძემ განაცხადა, რომ ქათამაძესთან ერთად საკანში ვინმე ჩიჩუა იმყოფებოდა. როცა ჩიჩუა საკნიდან დასაკითხად გაიყვანეს, ქათამაძემ თვითმკვლელობა სცადა - ზეწრის ნაგლეჯზე თავი ჩამოიკიდა. სულიკო ბერიძე თვითმკვლელობის მცდელობის დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა ამბობს, რომ ზურაბ ქათამაძე ნარკომანი იყო და "ლომკის" გამო ეცადა თავის ჩამოხრჩობას.

გამოძიების მასალებიდან ირკვევა, რომ ქათამაძე ერთხელ უკვე იყო დაკავებული - 2000 წელს ნარკოტიკების მოხმარებისთვის. ამჟამად კი მას ბრალად ედება მოქალაქე ზაურ ზაქარეიშვილის დაყაჩაღება. როგორც ირკვევა, დაცვის სპეციალური სამსახურის "ორიონის" თანამშრომლებმა იგი ყაჩაღობის მომენტში შეამჩნიეს, გამოედევნენ და ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სარდაფში დააკავეს. გამოძიების მასალებში ნათქვამია ისიც, რომ მას ახლდა ორი თანამზრახველი, რომლებმაც გაქცევა მოასწრეს. დაზარალებულის განცხადებით, მას წაართვეს 271 ლარი, რომლის ამოღება, "ორიონის" თანამშრომლების და საპატრულო პოლიციის თანდასწრებით, შემთხვევის ადგილზევე მოხდა. როგორც საგამოძიებო ნაწილში ამბობენ დაკავებულს არც ადვოკატი მოუთხოვია და არც – მოწმე. თუმცა, ამას დანამდვილებით ვერ გავიგებთ, ვიდრე ზურაბ ქათამაძე რეანიმაციულ განყოფილებაში შოკურ მდგომარეობაში იმყოფება. "გამომძიებელი არ მინახავს და ვერც საქმის დეტალებს გავეცანი. თავის ჩამოხრჩობის მცდელობასთან დაკავშირებით უნდა დაიკითხოს პატიმარი ჩიჩუა, რომელიც ამჟამად ბათუმის ციხეში გადაიყვანეს. ქათამაძის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, თუ მოგვეცემა საშუალება, სამედიცინო კვლევასაც ჩავატარებთ", – განაცხადა მოგვიანებით აყვანილმა ადვოკატმა პაატა ბოლქვაძემ. შეკითხვას, თუ რატომ არ შეატყობინეს ეჭვმიტანილის ოჯახს ქათამაძის დაკავების ფაქტი, გამომძიებელი ბადრი ბოლქვაძე ასე პასუხობს: "მან ვინაობა დაგვიმალა და საცხოვრებელი მისამართიც არასწორად მიუთითა". გამომძიებელი არაფერს ამბობს იმაზე, რომ სამართალდამცველებს დაკავებულის იდენტიფიკაცია და ახლობლების ინფორმირება, კანონით, 12 საათის განმავლობაში უნდა მოეხდინათ.

ზურაბ ქათამაძის მიერ თავის ჩამოხრჩობის მცდელობის ფაქტს მისი ადვოკატი და ახლობლები ეჭვით უყურებენ. საქმეში აჭარაში სახალხო დამცველის რწმუნებული გიორგი ჩარკვიანი ჩაერთო. მომხდარ ფაქტს ბათუმში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებიც გამოეხმაურნენ. არსებული ინფორმაციით, მომხდარის შესახებ საქმის კურსშია შს მინისტრი ვანო მერაბიშვილიც, რომელმაც ქათამაძის მიერ თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიების დაწყების მითითება გასცა. მომხდართან დაკავშირებით გავრცელდა ორი ვერსია. ერთის მიხედვით, ქათამაძემ თავის ჩამოხრჩობა პირადი პრობლემის გამო გადაწყვიტა, რადგან გავრცელებული ხმების მიხედვით, ციხეში გადაყვანის შემდეგ მას ძველი ნაცნობები "განაჩენს გამოუტანდნენ". მეორე ვერსიით კი, მას პოლიციაში სასტიკად სცემეს. სამართალდამცველები კი არც ერთ ვერსიას არ ადასტურებენ; მეტიც, საქმის დეტალები რატომღაც მკაცრად გასაიდუმლოებული აქვთ.

ზურაბ ქათამაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია - მას მიღებული აქვს თავის ტვინის ტრავმა და უგონოდ იმყოფება.

## მოკლედ

### კონტრაბანდისტების დაცვის მცდელობა

ფინანსური პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის განყოფილების თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ტერიტორიაზე გალის რაიონიდან გადმოტანილი დიდი რაოდენობით უაქციზო სიგარეტი დააკავეს.

ერთ-ერთი დამნაშავე - ენვერ ფარცვანია სამართალდამცველებმა მაშინ დააკავეს, როცა იგი გალის ტერიტორიიდან მდინარე ენგურამდე აფხაზური მილიციის წარმომადგენლებმა მიაცილეს. ფარცვანია ზუგდიდის რაიონში, დაახლოებით, 10 ათასი ლარის ღირებულების სიგარეტის გადმოტანას აპირებდა.

სოფელ რუხში სპეცოპერაციას ხმაური მოჰყვა. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ადგილობრივმა მოსახლეობამ წინააღმდეგობა გაუწია. ისინი სამართალდამცველებს ეჭვმიტანილის პოლიციაში გადაყვანის საშუალებას არ აძლევდნენ. ადგილზე გამოძახებულმა სპეცდანიშნულების რაზმმა ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა მოახდინა, რის შემდეგაც მოსახლეობა იძულებული გახდა, უკან დაეხია. ეჭვმიტანილი ენვერ ფარცვანია და კიდევ ორი პიროვნება, რომლებიც მასთან ერთად დააკავეს, პოლიციაში გადაიყვანეს. ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, სიგარეტის კონტრაბანდაში ეჭვმიტანილებს 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ცვლილებები სისხლის სამართლის რეფორმის პროექტში

კანონის უზენაესობის ექსპერტები თებერვლის ბოლოს დაასრულებენ მუშაობას "სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის პროექტზე". სწორედ ამ დროისთვის იგეგმება სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ექსპერტთა რეკომენდაციების ქართული მხარისთვის გადაცემა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში "საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის" პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, შექმნილია მმართველი ჯგუფი, რომელსაც იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე ხელმძღვანელობს.

მმართველ ჯგუფში არსებული ქვეჯგუფების ხელმძღვანელების მიერ წარდგენილ სამოქმედო გეგმაში ასახულია ცალკეული მიმართულებით ჩასატარებელი სამუშაო და მისი შესრულების ვადა. სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა მოიცავს პოლიციის ორგანოების, პროკურატურის, ადვოკატურისა და სამართლებრივი დახმარების სისტემის, სასამართლოს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, სასჯელაღსრულების სისტემის, სახალხო დამცველის ინსტიტუტისა და იურიდიული განათლების რეფორმას. სტრატეგიის რეალიზების პროგრამის შემუშავებაში მმართველ ჯგუფს ევროკავშირის ქართველი და უცხოელი ექსპერტები ეხმარებიან. სამოქმედო გეგმის პირველი ვარიანტი 30 მარტამდე უნდა იყოს მზად, ხოლო საბოლოო ვარიანტი 2006 წლის მაისისთვის იქნება მზად. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ინციდენტი სასამართლო დარბაზში

ფოთის საქალაქო სასამართლოს დარბაზში, პროტესტის ნიშნად, ვენები გადაიჭრა ბრალდებულმა გელა ღლონტმა, რომლისთვისაც წინასწარი პატიმრობა უნდა შეეფარდებინათ. ეჭვმიტანილი გელა ღლონტი ფოთის პოლიციის თანამშრომლებმა სამი დღის წინ დააკავეს. მას ბრალად ედება ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა. განსასჯელის ადვოკატის, ბადრი წითლიძის განცხადებით, გელა ღლონტი დაკავებისას რამდენჯერმე გაჩხრიკეს, თუმცა ვერაფერი აღმოუჩინეს, ნარკოტიკები კი დაკავების შემდეგ ჩაუდეს. ეჭვმიტანილის უდანაშაულობაზე საუბრობენ ღლონტის ოჯახის წევრებიც, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ დაკავებულს ნარკოტიკული საშუალებები არ გააჩნდა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, ეჭვმიტანილს 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ვენებგადაჭრილი გელა ღლონტი დარბაზიდან ფოთის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. **პრაიმ-ნიუსი**

### დაცვის სიტყვა რამიშვილის პროცესზე

დღეს განახლდება შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის სასამართლო პროცესი, სადაც დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა დაიწყება.

პროკურორებმა მოწმეთა დაკითხვა და მტკიცებულებების გამოქვეყნება გასულ სასამართლო პროცესზე დაასრულეს. 22 თებერვალს გამართულ სხდომაზე ის ვიდეოფირი აჩვენეს, რომელიც ეჭვმიტანილთა დაკავების დღეს კობა ბექაურმა ფარულად გადაიღო. თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე ფირის ხილვა დარბაზში მყოფი დამსწრეებისთვის შეუძლებელი იყო, რადგან მონიტორი მხოლოდ მოსამართლისკენ იყო მიმართული. მტკიცებულებების გამოქვეყნების შემდეგ სასამართლოს ჩვენებას განსასჯელები შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე მისცემენ.

როგორც ცნობილია, ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლები - შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე 2005 წლის 27 აგვისტოს დააკავეს. მათ პარლამენტარ კობა ბექაურისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ედავებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პატიმრობა საპროტესტო აქციისთვის

შაბათს დილიდან საპროტესტო აქცია გამართეს თბილისის შემოსასვლელში მდებარე ლილოს ბაზრობის მოვაჭრეებმა. ისინი საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს აპროტესტებენ, რომლის თანახმადაც, 1 მარტიდან ნებისმიერ სავაჭრო ობიექტზე სალარო-აპარატის გარეშე ვაჭრობა კატეგორიულად იკრძალება. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, სერიოზული საჯარიმო სანქციებია გათვალისწინებული. აქციის მონაწილეთა თქმით, მათ სალარო-აპარატების შესაძენად და ექსპლუატაციისთვის საკმარისი თანხა არ გააჩნიათ. მოგვიანებით მოვაჭრეებმა კახეთის ცენტრალური გზატკეცილი გადაკეტეს, რა დროსაც პოლიციამ ოთხი მათგანი დააკავა. თბილისის საქალაქო სასამართლომ კი იმავე საღამოს მათ 30-დღიანი პატიმრობა შეუფარდა. **პრაიმ-ნიუსი**



ტურინი 2006

# Ciao, Torino!

## ტურინის ოლიმპიური თამაშები ისტორიას ჩაბარდა

*ვერაფერს იტყვი, კარგი იყო ტურინის ოლიმპიური თამაშები. უფრო კარგი იყო იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ზამთრის სახეობათა გულშემატკივრებს კი ტურინის თამაშებზე ნოსტალგია მოეძალებათ. მართალია, საქართველოს ოლიმპიურმა დელეგაციამ ტურინი უმედლოდ დატოვა, მაგრამ ბობოლა ქვეყნების მარაქაში რომ გავერიეთ, ესეც საქმეა. ქართველთაგან უკანასკნელი, ვინც ოლიმპიურ ასპარეზზე გავიდა, სამთომოთხილამურე იასონ აბრამაშვილია. მანამდე კი დიდი სპორტული ქვეყნების მონაგარს გადავავლოთ თვალი.*



*ტურინის ოლიმპიურ თამაშებს ქართველთაგან იასონ აბრამაშვილმა წერტილი დაუსვა.*

გიგა გურასაშვილი

ერთნი მიიჩნევდნენ, რომ საერთო ჩათვლაში ნორვეგიელები ან გერმანელები გაიმარჯვებდნენ. ეს მოლოდინი გამართლდა და არც გამართლდა. სკანდინავიელებს აშკარად გაუჭირდათ. გერმანელებმა კი თავისი საქმე ხუთიანზე გააკეთეს. სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებზე 13 ოქროს მედალი ნორვეგიელებმა მოიპოვეს. გერმანელები ერთი ოქროთი ჩამორჩნენ ლიდერებს. მათი ახლანდელი უპირატესობა გასაგებიც არის და დამსახურებულიც, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ნორვეგია სამეულში, ხუთეულში ან, მით უფრო, ათეულში ვერ მოხვდებოდა. გათამაშებული მედლების 84 კომპლექტიდან სკანდინავიელები 19 მედალს დაეუფლნენ (2 ოქრო, 8 ვერცხლი და 9 ბრინჯაო) და ამ მხრივ მე-6 ადგილზე აღმოჩნდნენ, მაგრამ უმაღლესი სინჯის მედლების რაოდენობით გვარიანად ჩამორჩნენ. თუმცა, რამდენჯერმე ძალიან ახლო იყვნენ ჩემპიონობასთან. გერმანელებმა ოქროების მხრივაც მოიგეს და მთლიანად მოპოვებული მედლების (29) რაოდენობითაც (სოლტ ლეიკ სიტიში 36 მედალი მოიპოვეს). ამ მხრივ თავი გამოიჩინეს ბიატლონისტებმა, რომლებმაც 5 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. სპორტის ამ სახეობის გმირი გახდა მიხაელ გრეისი, რომელმაც, გარდა იმისა, რომ პირველმა დააგემოვნა ტურინული ოქრო, მოგვიანებით ეს მონაგარი სამამდე გაზარდა და გახდა ტურინის თამაშების სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რისთვისაც თანამემამულეები "მეფე მიხაელად" მოიხსენიებენ.

აშშ-ის ნაკრები რომ სამეულისთვის იბრძოლებდა, არც ამაში შეჰპარვია ვინმეს ეჭვი. ასევე კანონზომიერი იყო ავსტრიელთა წარმატება, რომლებმაც საერთო ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს. ავსტრიელთა წარმატებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს სამთომოთხილამურეებმა – გათამაშებული მედლების 30 კომპლექტიდან 14 მედალი (4 ოქრო, 5-5 ვერცხლი და ბრინჯაო) მოიგეს. აქედან სამივე ხარისხის მედალი – შაბათის სლალომში!

ასეთი რამ მესამედ მოხდა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში – კვარცხლბეკის სამივე საფეხური ერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა დაიკავეს. პირველად კორტინა დ`ამპეცოს (1956 წ.) ოლიმპიურ თამაშებზე გიგანტურ სლალომში (საუკეთესო სამეული მაშინაც ავსტრიელებმა შეადგინეს), ხოლო მეორედ ნორვეგიელებმა იგივე გააკეთეს კომბინაციაში ლილეჰამერის (1994 წ.) ოლიმპიურ თამაშებზე.

აღსანიშნავია, რომ ბენჯამინ რაიხი, რომელმაც გიგანტური სლალომის შემდეგ შაბათის სლალომიც მოიგო, გახდა პირველი ადამიანი ლეგენდარული იტალიელი ალბერტო ტომბას შემდეგ, რომელმაც ორივე ტექნიკურ დისციპლინაში გაიმარჯვა. მსგავს წარმატებას ტომბამ კალგარის ოლიმპიურ თამაშებზე (1988 წ.) მიაღწია.

შაბათის სლალომი ჩვენთვის იმითაც იყო საინტერესო, რომ აქ 17 წლის ქართველი იასონ აბრამაშვილი მონაწილეობდა. მართალია, წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო თასის ეტაპებზე გამობრძმედილ გიგანტებს შეეჭიდა, 97 მოთხილამურეს შორის დაკავებული 32-ე ადგილიც რაღაცას ნიშნავს. პირველ ცდაზე დაშვებული შეცდომა რომ არა, ალბათ უკეთესი შედეგი ექნებოდა. კარგი იქნება, თუ სტარტს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს, რადგან ძვირფას წამებს სწორედ აქ კარგავს (ასეთივე შეცდომა დაუშვა გასულ ორშაბათს გიგანტურ სლალომშიც, როდესაც საწყის მონაკვეთში დაკარგული ტრაექტორიის გამოსწორებას დაახლოებით 8 წამი მოანდომა). აბრამაშვილმა ასევე მძიმედ დაიწყო მეორე ცდა, თუმცა, ამჯერად უკეთ მოძრაობდა ჭიშკრებს შორის და პირველზე უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა.

ტურინის ოლიმპიური თამაშები დასრულდა თავისი გმირებით თუ ანტიგმირებით. ამობრწყინდნენ ახალი ვარსკვლავებიც. კარგია, რომ მათ შორისაა ქართველი ელენე გედევანიშვილი.

იმედი ვიქონიოთ, რომ 2010 წელს ვანკუვერის ოლიმპიურ თამაშებზე მედლებისთვის ბრძოლაში ქართველი ოლიმპიელებიც ჩაებმებიან.

რაგბი

# წავაგეთ!!!

პირველი გვერდიდან

ალბათ, გახსოვთ რამდენიმე წლის წინათ, მსოფლიო ჩემპიონატამდე ცოტა ხნით ადრე იტალიასთან გამართული მატჩი. მაშინ "ბორჯღალოსნებმა" ტოლი არ დაუდეს მეტოქეს და ბოლო წუთებამდე უგებდნენ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მაინც დავმარცხდით. იტალიელებმა ზუსტად ისევე სცადეს მოგება, როგორც ჩვენ გვჩვევია, ანუ შერკინებით, მაგრამ როცა დაინახეს, რომ ეს ხერხი არ ჭრიდა, ხაზზე გაშალეს თამაში და მოგვიგეს. ერთი სიტყვით, იტალიელთა არსენალში შერკინების გარდა სხვა იარაღიც აღმოჩნდა, რამაც მას ძალისმიერად თავის სწორ გუნდთან გამარჯვება მოაპოვებინა. სწორედ ამიტომ არის იტალია - იტალია, რომ მას საჭირო შემთხვევაში თამაშის გადაწყობა შეუძლია.

სამწუხაროდ, მაშინ საქართველოს ნაკრებს არ აღმოაჩნდა უნარი, "სკუადრა აძურას" მსგავსად, სასურველ რელსებზე გადაეწყო თამაში. მას შემდეგ ყოველთვის ასე ვმარცხდებით. ასე იყო შარშან პორტუგალიაში, როცა შერკინებაში დათრგუნვილმა პორტუგალიელებმა ხაზზე გაინავარდეს და მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაგვიტანეს ლელო. ასე მოხდა შაბათსაც რუმინეთში, როცა მასპინძლებს ვერაფერი მოვუხერხეთ შერკინებაში და მეტისმეტად უსუსურად გამოვიყურებოდით. მთელი ეს მონოლოგი იმ დასკვნას ემსახურება, რომ საქართველოს ნაკრებმა არ იცის შეტევაში თამაში და თუ "ბორჯღალოსნებს" კვალიფიციური სპეციალისტი არ დავახმარეთ, ჩვენი გუნდის პროგრესი ყოვლად შეუძლებელი იქნება. კლოდ სორელისა და პატრიკ ფორის ხელმძღვანელობით "ბორჯღალოსნები" ძალიან კარგად თამაშობდნენ დაცვას და არასოდეს მომხდარა, რომ საქართველოს ნაკრებს დიდი ანგარიშით წაეგოს თამაში. შაბათს კი რუმინეთმა, პირველად ჩვენი შეხვედრების ისტორიაში, 4 ლელო გვაკადრა. მოკლედ, დაცვაში თამაშიც დაგვავიწყდა და ვერც შეტევა ვისწავლეთ. ეს ადასტურებს ჩემს სიტყვებს, რომ ჩვენი გუნდი პროგრესს ვერ განიცდის და თუ დროზე არ მივაშველეთ თანამედროვე ყაიდის სპეციალისტი, ცოტა ხანში რეგრესიც თვალსაჩინო გახდება. ცუდი ის არის, რომ რუსები და რუმინელები მიხვდნენ: თანამედროვე ყაიდის რაგბის სათამაშოდ უცხოელი სპეციალისტია საჭირო, ჩვენ კი ამას ვერ ვხვდებით.



*"მუხის ფოთლებმა" შარშან თბილისში მარცხისთვის შთამბეჭდავი რევანში აიღეს.*

**რუმინეთი:** იულიან დუმიტრაში (დანუტ დუმბრავა, 57), იონ ტეოდორესკუ, კეტელინ ფერკუ, ჩაბა გოლი (იონუტ ტოფანი 75), რომეო გონტინეაკი, იონუტ ტიმოფტე, პეტრე მიტუ (ლუჩან სირბუ 79), პეტრუ ბალანი (იონ პაულიკე 71), მარიუს ტინკუ (ბოგდან ბელანი 68), პეტრიშორ ტოდერასკუ, სორინ სოკოლი (კაპ), კრისტიან პეტრე, ფლორინ კოროდეანუ, ალექსანდრუ მანტა (ვალენტინ ურსაკე 80), ოვიდიუ ტონიცა (ალექსანდრუ ტუდორი 80).
**4 ლელო:** სოკოლი, მიტუ, ტონიცა, დუმბრავა.
**3 გარდასახვა:** მიტუ (2), ტოფანი.
**3 საჯარიმო:** მიტუ.
**მწვრთნელები:** რობერ ანტონენი, დანიელ სანტამანი, ფილიპ ბერო (სამივე საფრანგეთი)
**საქართველო:** ოთარ ბარკალაია (თემურ სოხაძე 58), ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი მაჩხანელი, მახო ურჯუკაშვილი, ირაკლი გიორგაძე (გიორგი შკინინი 72), პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე (ბიძინა სამხარაძე 66), გოდერძი შველიძე (გიორგი კუთარაშვილი 60), ავქსენტი გიორგაძე, დავით ზერაქაშვილი (ავთო კაპალიანი 13-22, 60), ილია ზედგინიძე (კაპ), ლევან დადუნაშვილი (ვიქტორ დიდებულიძე 41), გია ლაბაძე, რატი ურუშაძე (ზვიად მაისურაძე 47), ბესო უდესიანი.
**ლელო:** მაისურაძე.
**გარდასახვა:** ჯიმშელაძე.
**საჯარიმო:** ჯიმშელაძე.
**მწვრთნელები:** მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი, პაატა ნარიმანიძე.
**მსაჯი:** ტიმ ჰეისი (უელსი).

რუს "დათვებთან" გამარჯვების შემდეგ ვწერდი, ჩვენი რეალური ძალა სწორედ რუმინეთში უნდა გამოჩნდეს-მეთქი. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ჩვენი შესაძლებლობები რუსების დარი გუნდების გვემას ვერ გასცდა. არადა, ქართველ მორაგბეებს თავისი ჟინის შესაბამისი ტაქტიკური ცოდნა რომ ჩაუსახო, "ბორჯღალოსანთა" თამაშის ხარისხი აუცილებლად გაიზრდება და იმ ზღვარს მიაღწევს, რომელიც მსოფლიო პირველობაზე თამაშისთვის არის აუცილებელი.

შაბათს "გენჩას" სტადიონზეც იყო მომენტი, როცა საქართველოს ნაკრებს შეეძლო თამაშის მსვლელობა თავისთვის სასურველ კალაპოტში გადაეყვანა, მაგრამ ისევ შეტევის უცოდინარობით ესეც ჩავიფლავდა. სამაგიეროდ საკუთარ ჩათვლის მოედანზე მივიღეთ ლელო.

მას შემდეგ, რაც მიტუმ პირველი ჯარიმა გაგვიტანა, "ბორჯღალოსნებს" რეალური შანსი მიეცათ ლელოს გატანისთვის. ისინი რუმინელთა ჩათვლის მოედნიდან ორ მეტრშიც იმყოფებოდნენ, მაგრამ ყოველი შერკინების შემდეგ ჯიქურ ცდილობდნენ გაერღვიათ მასპინძელთა შერკინების ხაზი, თუმცა პირისპირ შეჯახება ყოველთვის რუმინელთა სასარგებლოდ მთავრდებოდა. ბოლოს და ბოლოს, მასპინძლებმა შეტევა მოიგერიეს. ასეთი მომენტი პირველ ტაიმში ორი იყო. ჯერ ანგარიში გავათანაბრეთ, შემდეგ კი, როცა - 3:6 ვაგებდით, ლელოს დადება მტკიცედ გადავწყვიტეთ, მაგრამ ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა, რადგან ფლანგების გამოყენება არც გვიცდია.

სამაგიეროდ, რუმინელთა სწრაფი შეტევა პირველი ლელოთი დაგვირგვინდა. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი, რომელმაც მთლიანად გატეხა საქართველოს ნაკრები. ნათელი გახდა, რომ შერკინებით "მუხის ფოთლებს" ვერ ვაჯობებდით. ფლანგების გამოყენება კი ვერ შევისწავლეთ. საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ ძალები არარაციონალურად გავანაწილეთ. შეტევებს პირველ ნახევარში მთელი ძალ-ღონე შევალიეთ და ამით მასპინძლებს კიდევ უფრო დიდი უპირატესობა ვარგუნეთ (ესეც ტაქტიკური შეცდომა). მეორე ტაიმში მასპინძლებმა კიდევ სამი ლელო დაგვიდეს და ჩვენი შეხვედრების ისტორიაში პირველად გაგვაწნეს ასეთი სამარცხვინო სილა.

ახლა საქართველოს ნაკრებს კიდევ შერჩა პირველ ადგილზე გასვლის შანსი. ამისთვის 11 მარტს თბილისში პორტუგალია უნდა დავამარცხოთ, ხოლო პორტუგალიამ საკუთარ კედლებში უნდა სძლიოს რუმინეთს. მაშინ გამარჯვებულის ბედს ბურთების სხვაობა გადაწყვეტს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 7 | 5 | 0 | 2 | +147 | 17 |
| რუმინეთი | 6 | 5 | 0 | 1 | +166 | 16 |
| პორტუგალია | 6 | 4 | 1 | 1 | +38 | 15 |
| რუსეთი | 8 | 2 | 1 | 5 | +44 | 13 |
| ჩეხეთი | 7 | 3 | 0 | 4 | -55 | 13 |
| უკრაინა | 6 | 0 | 0 | 6 | -340 | 6 |

ფეხბურთი

# საქართველოს ნაკრები მალტაზე დაისეტყვა

მიხეილ აბაიშვილი

ხვალ მალტის დედაქალაქ ლა ვალეტაში, სტადიონ "ტა ქალზე", საქართველოს ეროვნული ნაკრები თავის პირველ მატჩს გამართავს ახალი მთავარი მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით.

მალტაზე ჩვენი ნაკრები 23 თებერვალს ჩავიდა და საწვრთნელი შეკრება დაიწყო. წესით, გუშინ პირველი მატჩი უნდა გამართულიყო მალტის ოთხთა ტურნირის ეგიდით, მაგრამ იმის გამო, რომ ლიბიის ნაკრებმა უარი თქვა მონაწილეობაზე, 25 თებერვალს საქართველოს ნაკრები "თამაშგარე მდგომარეობაში" დარჩა. ამიტომ მთელი მოსამზადებელი გეგმა შეიცვალა. 24 თებერვალს ტოპმიოლერმა ერთხელ ავარჯიშა გუნდი, საღამოს კი ლა ვალეტაში ექსკურსია მოეწყო.

როგორც ნაკრების პრესატაშემ სანდრო ცნობილაძემ გვაცნობა, ტოპმიოლერმა ვარჯიში ტაქტიკური სქემებისა და კომბინაციური თამაშის დამუშავებას მიუძღვნა. ფეხბურთელების მიმართ მთავარი მოთხოვნა იყო ყველა ელემენტის (დრიბლინგი, გადაცემა, მეტოქის მეურვეობისგან თავის დაღწევა, "გახსნა"...) მაქსიმალურად სწრაფად შესრულება. ყურადღება გამახვილდა ასევე ფიზიკურ დატვირთვებზე. ქართველები ხომ სწორედ ამ ორი კომპონენტით – სისწრაფით და ფიზიკური მომზადებით ჩამოვრჩებით თანამედროვე ფეხბურთს. ამ თვალსაზრისით ეროვნული ნაკრების ფეხბურთელთა შორის არიან გამონაკლისები. კონკრეტულად ლეგიონერები, რომლებიც დასავლეთევროპულ ლიგებში თამაშობენ. თუმცა, მათი დიდი ნაწილი ნაკრებს ჯერ არ შეერთებია – ეროვნული გუნდი სრულად დღეს შეიკრიბება.



*ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები პირველ მატჩს დღეს გამართავს.*

მიკროტრავმები აწუხებდათ ჭელიძეს და ფოფხაძეს, თუმცა, ექიმებმა ჭელიძეს დართეს ვარჯიშის ნება, ფოფხაძე კი ეს ორი დღე უსაქმოდ იყო. 24 თებერვალს წვრთნის პროცესში ამინდიც ჩაერთო. თავსხმა წვიმას სეტყვაც დაემატა, რის გამოც ვარჯიში 15 წუთით შეწყდა. გამოდარების შემდეგ ტოპმიოლერმა გუნდი ორ ნაწილად გაყო და ორმხრივად ათამაშა. ვარჯიშის შემდეგ მწვრთნელმა მცირე კომენტარი გააკეთა.

"დღევანდელ ვარჯიშზე ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ. ადრეც მითქვამს, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები სანთლით საძებარი არ გვყავს. იგრძნობა, რომ მათ დიდი პოტენციალი აქვთ, მაგრამ რეალიზაციისთვის დიდი შრომაა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ მალტის ტურნირი "შეკრეჭილი რეგლამენტით" ტარდება, მას ჩვენთვის მაინც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია. ამ დღეებში ლეგიონერებიც შემოგვიერთდებიან და უფრო ნაყოფიერად ვიმუშავებთ", - თქვა ტოპმიოლერმა.

25 თებერვალს ეროვნულ ნაკრებს მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველი მალხაზ ასათიანი შეუერთდა. ამავე დღეს მალტაში ჩავიდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი. გუშინ ქართულ დელეგაციას ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავაც შეუერთდა.

მალტის ტურნირი დაიწყო. 25 თებერვალს პირველი მატჩი გაიმართა მასპინძლებსა და მოლდოვას ნაკრებს შორის. ამ შეხვედრას ქართველი არბიტრი ლევან სილაგავა მოემსახურა.

მატჩი სტუმრების უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა. მოლდოველებმა ორი გოლი გაუტანეს მეტოქეს. ორივე მეორე ტაიმში გავიდა: პირველივე წუთზე შორეული ლამაზი დარტყმით ნამასკომ გახსნა ანგარიში, 74-ე წუთზე კი ბუგაიოვმა სწრაფი კონტრშეტევისა და მეკარესთან პირისპირ გასვლის შედეგად გაიტანა გოლი.

დღეს საქართველოს ნაკრები მოლდოვას გუნდს დაუპირისპირდება.


# განცხადება

## ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი N144) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს სააგენტოს საჭიროებისათვის საწვავის შესყიდვაზე შემდეგი ლოტების მიხედვით:

***ლოტი 1.*** ბენზინი პრემიუმი - 2 700 ლიტრი;
ბენზინი რეგულარი - 37 300 ლიტრი.
***ლოტი 2.*** დიზელი - 3 000 ლიტრი.

***2. საქონლის მიწოდების სასურველი ვადები -*** 2006 წლის აპრილიდან 15 დეკემბრამდე.

***3. მიწოდების ადგილი:*** მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურები.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 მარტის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

b) იურიდული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

g) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

d) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

e) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბენზინგასამართი სადგურების შესახებ (ადგილმდებარეობის მითითებით);

გ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 უნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი N220101107, ანგარიშის N200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი N300023133 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 27 თებერვლიდან 20 მარტამდე, შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

8. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ოდიშარია, თამუნა შალამბერიძე, მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). ტელ: 698485.

***E-mail:*** **sales@saesa.gov.ge**

# ორმაგი მასკარადი

სოფო კილასონია


ბალ-მასკარადი "მარკო პოლოში".

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯუზეპე ვერდის "ბალ-მასკარადის" დირიჟორ გოგი ჭიჭინაძის მიერ აღდგენილი წარმოდგენა მიმდინარეობს. წამყვან პარტიებს საოპერო დასის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ასრულებენ. უკვე განვლილი სამი სპექტაკლიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც პირველი უნდა ჩავთვალოთ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის პირველი იყო.

21 თებერვალს ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელობამ და GMC ჯგუფმა მემორანდუმი გააფორმეს. მემორანდუმის თანახმად, ბიზნეს-კომპანია გარკვეულ წვლილს შეიტანს ახლი სპექტაკლების განხორციელებაში და ზოგადად თეატრის ცხოვრებაში. პირველი მოქმედების შემდეგ "წითელ დარბაზში" შეკრებილ მაყურებელს თეატრის დირექტორმა დავით საყვარელიძემ რამდენიმე სიტყვით გააცნო მემორანდუმის მიზნები და ზოგადად ინვესტორების წვლილსა და მათი არსებობის აუცილებლობაზე ისაუბრა. ამის შემდეგ GMC ჯგუფის წარმომადგენლებმა საპრემიერო სპექტაკლზე მიწვეული სტუმრები ბალ-მასკარადის გასაგრძელებლად "მარკო პოლოში" მიიწვიეს. თუმცა, სანამ თეატრიდან რესტორანში გადასვლის დრო დადგებოდა, კიდევ ორი მოქმედება ჰქონდათ მოსასმენი.

ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ სპექტაკლი ახლოს იყო სრულყოფილებასთან. იმის გარდა, რომ "ბალ-მასკარადის" დადგმა, რომელიც მიხეილ თუმანიშვილს ეკუთვნის, მოძველებული და უინტერესოა, ხარვეზები მუსიკალურ გადაწყვეტაში აშკარა იყო – ეს ეხება ორკესტრის ავტორობასაც და შემსრულებელთა ხელწერასაც. ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ თავდაპირველად სპექტაკლი არ ტოვებდა მთლიანის შეგრძნებას, არ იყო შეკრული მუსიკალური თვალსაზრისით, თუმცა, ეს უკანასკნელი ნელა-ნელა გამოსწორდა და უკვე მესამე მოქმედებაში ყველაფერი "დალაგდა". ეს იმის ნიშანი იყო, რომ შემდგომი სპექტაკლები, რომლებიც პრემიერის განცდისგან დაიცლებოდა, ბევრად უფრო დახვეწილი იქნებოდა და, შესაძლოა, ასეც არის.

ვერ ვიტყვით, რომ რესტორან "მარკო პოლოში" ნამდვილი ბალ-მასკარადი გაიმართა, მაგრამ სასიამოვნო საღამო ნამდვილად იყო, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი თეატრის ხელმძღვანელობამ შეიტანა. შეკრებილი საზოგადოება იმ საღამოს თეატრის ორკესტრში ჩამოყალიბებული სიმებიან საკრავთა კვარტეტის დებიუტის მომსწრეც გახდა. ფურშეტს მათ მიერ შესრულებული მუსიკა მოჰყვა. საღამოს კულმინაცია ერთი უცნაური სიურპრიზით აღინიშნა. როგორც დავით საყვარელიძემ გვამცნო, საქართველოს პრეზიდენტის ერთი თვის ხელფასი - ათასი დოლარი - თეატრში გადმოიგზავნა. ეს მართლაც უჩვეულოდ საინტერესო თანხა იმ ადამიანს უნდა გადასცემოდა, ვისაც ღირსად ჩათვლიდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ზაზა აზმაიფარაშვილი. ასეთად დირიჟორი ზაზა კალმახელიძე დასახელდა.

დაჯილდოების შემდეგ კიდევ ბევრი საინტერესო რამ მოხდა. როგორც აღმოჩნდა, ნომინაცია, რომელსაც ფორმალურად "პრეზიდენტის ხელფასის მფლობელი" შეიძლება ვუწოდოთ, სისტემატურ სახეს მიიღებს. რაც შეეხება ვერდის "ბალ-მასკარადს", მისი წარმოდგენები თეატრში გრძელდება. წინ ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის "მინდიას" ახალი დადგმის პრემიერა გველის. ამ სპექტაკლის განსახორციელებლად თეატრის ხელმძღვანელობა ბატონ გიზო ჟორდანიას მასპინძლობისთვის ემზადებოდა, მაგრამ რეჟისორი მარჯანიშვილის თეატრში ყოფილა დაკავებული. ამიტომ, შესაძლოა, "მინდიას" ჩვენთვის უცნობი, მაგრამ უკვე ნომინირებული უცხოელი რეჟისორი მოეკიდოს. აპრილში კი ოპერის თეატრი ვერდის კიდევ ერთ ქმნილებას "მაკბეტს" წარმოგვიდგენს. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის განახლებამდე "მაკბეტი" გურამ მელივასა და ჯანსულ კახიძის ვერსიით იდგმებოდა. თუმცა, ამჯერად სულ სხვა წარმოდგენას გვპირდებიან. ახალი სპექტაკლი რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას მიერ განხორციელებული "მაკბეტით" იხელმძღვანელებს. სადადგმო ჯგუფის შემადგენლობასა და მთავარი პარტიების შემსრულებლებზე საუბრი ამ ეტაპზე ალბათ ნაადრევია. ასე რომ, ეს საქმე ცოტა ხნით უნდა გადავდოთ.

## ყველას, ვისაც აღელვებს საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟი

მადრიდში, ტისენის მუზეუმში გაიხსნა რუსული ავანგარდული გამოფენა, სადაც გამოფენილია ნიკო ფიროსმანის, როგორც რუსი მხატვრის საქართველოდან გატანილი შედევრები.

ჩემი, კერძო პირის პროტესტი არ არის საკმარისი და ამიტომ გთხოვთ, გაავრცელოთ ეს ინფორმაცია, რომ შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმაც გააპროტესტონ. დეტალებისთვის ნებისმიერს შეუძლია დამიკავშირდეს მადრიდში ტელეფონით: 652354783.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით

*დათო ტურაშვილი*

## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სადებიუტო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის**
წარმოების დასაფინანსებლად.

გამარჯვებული პროექტი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75 პროცენტით. კინოცენტრიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 7 ათას ლარს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ კინოსარეჟისორო ფაკულტეტების კურსდამთავრებულ, დებიუტანტ რეჟისორებს.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 მარტი, 17:00 სთ.

*კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე*
*საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი*
*0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,*
*ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: www.filmcenter.ge*

## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**მხატვრული ან დოკუმენტური ფილმის**
გადაღების შემდგომი პერიოდის (პოსტ-პროდუქციის) სამუშაოების დასაფინანსებლად.

კონკურსის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 30 ათას ლარს.

კინოცენტრი არ განიხილავს იმ პროექტებს, რომლებმაც გაიმარჯვეს და დაფინანსდნენ 2005 წელს კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 მარტი 17:00 სთ.

*კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე*
*საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი*
*0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,*
*ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: www.filmcenter.ge*

# არომატი ხელოვნებაა

## მსოფლიო ცხვირების გამარჯვება

სოფო კილასონია




როგორც იქნა, საფრანგეთის სასამართლომ მსოფლიო პარფიუმერიისთვის ძალზე სასიხარულო გადაწყვეტილება გამოიტანა. სურნელება და მისი არომატები საბოლოოდ დაემორჩილება საავტორო უფლებებს.

თითქოს ევროპაში ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ სურნელებაშიც შეიძლება შეიქმნას ხელოვნების ისეთი ძვირფასი და მნიშვნელოვანი ნიმუშები, როგორიც იქმნება მუსიკაში თუ მხატვრობაში. მიუხედავად ამისა, სასამართლოსთვის ეს მთლად ბოლომდე გასაგები რამ არ იყო. პარფიუმერული პლაგიატისთვის წამოწყებული პროცესი მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ სამარკო ნიშნების ხელშეუხებლობის კანონის ჭრილში განიხილებოდა.

ყალბი სუნამოების მწარმოებელთა გასამართლება მხოლოდ იდენტური შეფუთულობისა და დასახელების მითვისების გამო იყო შესაძლებელი. მაგრამ მრავალწლიანი მცდელობის შედეგად სასამართლო დაარწმუნეს, რომ სუნამოთა შემადგენლობა-რეცეპტები საავტორო უფლებების ობიექტია. პარფიუმერულმა გიგანტმა "ლორეალმა", როგორც იქნა, არომატების შემქმნელების უფლებების დაცვის მექანიზმებს მიაღწია. ამიერიდან სურნელების შექმნიდან 70 წლის განმავლობაში სუნამოს მთავარ ფორმულას სასამართლო დაიცავს. ფაქტია, რომ ასეთი კანონი დღეს ძალიან აქტუალურია, რადგან პარფიუმერიაში ძალიან ცოტა საიდუმლო დარჩა.

თუ ვიცით ფორმულა, თურმე ძალიან ადვილია სასურველი არომატის მქონე სითხის მიღება. ყველაფერი სულ რაღაც წუთებში ხდება გაზქურასთან. ამ საქმეში დაოსტატებული პატარა და მიჩუმათებული კომპანიების პროდუქციას ჩვენი, ანუ მომხმარებლის ცხვირები ხშირად ვერ განასხვავებენ ორიგინალისგან. "ლორეალის" კონცერნმა რამდენიმე სასამართლო პროცესი "ბელურის" კომპანიასთან ერთად გაიარა. ეს უკანასკნელი, რომელიც არაბეთის ემირატებშია მოკალათებული, "ლორეალის" საკუთრების, "ლანკომის" ბრენდის სუნამოების იდენტურ ცამეტი სახეობის სუნამოს უშვებდა.

უწინ ასეთი ნამუშევრები ორიგინალის მსგავსი შეფუთვითა და დასახელებაში პატარა შეგნებული ცდომილებით იყიდებოდა. მაგალითად, Chanel-ის ნაცვლად Chenal-ს ვხედავდით. Samsara -ს ნაცვლად - Samara, Japador-ს ვკითხულობდით J'adore-ის მაგიერ და ა.შ. დღეს პლაგიატორები ბევრად უფრო მეტ "დახვეწილობას" ამჟღავნებენ. განსხვავებული სახელწოდების უკან და სულ სხვაგვარ კოლოფში მოპარული სურნელება იმალება. ასეთი ხერხით მათ სამარკო ნიშნის ქურდობაში ბრალს ვერავინ დასდებდა. რაც შეეხება არომატს, მაშინ (1975 წელს) სასამართლო ამ არაჩვეულებრივ მიგნებებს მხოლოდ ქიმიურ ნარევებად აღიარებდა და არა ხელოვნების ნიმუშებად.

2004 წელს სასამართლომ "ლორეალის" ნაწილობრივი გამარჯვება აღიარა მხოლოდ. მაშინ ითქვა, რომ ორიგინალური "ბუკეტის" შექმნა ესთეტიკურ მიზნებს ემსახურება და შემოქმედებითი აქტის ტოლფასია. მაგრამ მოსამართლეებმა სასტიკი უარი განაცხადეს კომპანიის კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. თქვეს, რომ არ არსებობს კონკრეტული დადასტურება იმისა, რომ "ბელურის" სუნამოები "ლორეალის" არომატების ზუსტი ასლია. ფრანგულმა კომპანიამ მარცხი არ აღიარა და კონკრეტული დამადასტურებელი ანალიზები ჩაუტარა პლაგიატ ნაწარმს. ფორმულების უმრავლესობა ორიგინალს დაემთხვა და ნანატრი გამარჯვების დღეც დადგა. იანვარში სასამართლომ "ბელურს" "ლორეალისთვის" ერთი მილიონი ევროს გადახდა დააკისრა.

ამ ფაქტს მსოფლიოს "ცნობილი ცხვირები" გამოეხმაურნენ. "გერლენის" პარფიუმერმა სილვენ დელაკურტმა გაზეთ "ტელეგრაფს" განუცხადა: "ჩვენ ორი წლის განმავლობაში ვმუშაობთ და ვწვალობთ, რათა მუდამ განსაკუთრებული არომატები შევქმნათ. ამიტომაც უნდა გავუფრთხილდეთ საკუთარ მიღწევებსა და ჩვენი კომპანიების სახელს. მართლაც, რომ ნანატრი გადაწყვეტილება მივიღეთ".

## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის**
წარმოების დასაფინანსებლად.

გამარჯვებული პროექტი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75 პროცენტით. კინოცენტრიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 500 ათას ლარს.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს პროექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ

2005 წლის 8 სექტემბერს გამოცხადებულ კონკურსში (N 06) და ვერ მოაგროვეს 45 ქულაზე მეტი.

პროექტების შემოტანის ბოლოო ვადაა 2006 წლის 22 მაისი 17:00 სთ.

კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებ-გვერდზე.

*კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე*
*საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი*
*0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,*
*ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: www.filmcenter.ge*

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი N144) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს სააგენტოს საჭიროებისათვის საკანცელარიო ნივთების შესყიდვაზე შემდეგი ლოტების მიხედვით:

***ლოტი 1.*** ქაღალდის შესყიდვა
***ლოტი 2.*** საქაღალდეების შესყიდვა
***ლოტი 3.*** საკანცელარიო საქონლის შესყიდვა
***2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:***
***ლოტი 1: ქაღალდის შესყიდვა***

| N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ქაღალდი A4 | 2 100 შეკვრა |
| 2 | ქაღალდი A3 | 200 შეკვრა |

*ლოტი 2: საქაღალდეების შესყიდვა*

| N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | საქაღალდე A4 (სწრაფჩამკერით) | 90 000 ცალი |
| 2 | ქაღალდი A4 (ბაფთიანი) | 3 000 ცალი |

*ლოტი 3: საკანცელარიო საქონლის*

*შესყიდვა*

| N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მაგიდის ნაკრები (საშუალო) | 200 ცალი |
| 2 | ბაინდერი დიდი | 400 ცალი |
| 3 | ბაინდერი პატარა | 200 ცალი |
| 4 | ფაილი | 3 000 შეკვრა |
| 5 | დირაკოლი დიდი | 10 ცალი |
| 6 | დირაკოლი პატარა | 20 ცალი |
| 7 | სტეპლერი დიდი | 70 ცალი |
| 8 | სტეპლერი პატარა | 100 ცალი |
| 9 | ტყვიები (სტეპლერის დიდი) | 80 კოლოფი |
| 10 | ტყვიები (სტეპლერის პატარა) | 100 კოლოფი |
| 11 | საკანცელარიო ჟურნალი | 600 ცალი |
| 12 | საწერი კალამი | 8 000 ცალი |
| 13 | ფანქარი საშლელით | 700 ცალი |
| 14 | კლიპ-სამაგრი | 100 ცალი |
| 15 | ტექსტმარკერი | 600 ცალი |
| 16 | საკანცელარიო ჟურნალი სქელყდიანი | 3 ცალი |
| 17 | წებო-მშრალი | 300 ცალი |
| 18 | სანიშნი ფურცელი (უბრალო) | 300 შეკვრა |
| 19 | სანიშნი ფურცელი (წებოვანი) | 5 000 შეკვრა |
| 20 | საშლელი | 300 ცალი |
| 21 | ჭიკარტი (ჩვეულებრივი) | 300 კოლოფი |
| 22 | კალკულატორი სამაგიდე | 50 ცალი |
| 23 | სკრეპი (სხვადასხვა ზომის) | 500 კოლოფი |
| 24 | ფაქსის ქაღალდი | 60 ცალი |
| 25 | ბლოკნოტი 2006 წლის | 300 ცალი |
| 26 | კომპიუტერის დისკეტა | 20 კოლოფი |
| 27 | ბლოკნოტი ზამბარიანი | 300 ცალი |
| 28 | ფლიფჩარტის ქაღალდი | 30 შეკვრა |
| 29 | საკანცელარიო ჯამი | 50 ცალი |
| 30 | სანიშნი ფურცელი (ფერადი) | 50 კოლოფი |
| 31 | თითის დასასველებელი ბალიში | 130 ცალი |
| 32 | საწერი კალამი (კარგი ხარისხის) | 1 000 ცალი |
| 33 | ბეჭდის მელანი (ლურჯი) | 30 ცალი |
| 34 | კალენდარი კედლის | 40 ცალი |
| 35 | კალენდარი მაგიდის | 20 ცალი |
| 36 | საკანცელარიაო დანა | 20 ცალი |
| 37 | მაგიდის ნაკრები (დიდი) | 30 ცალი |
| 38 | სკოჩი პატარა | 300 ცალი |
| 39 | სკოჩი დიდი | 50 ცალი |
| 40 | ბეჭდის ბალიში | 20 ცალი |
| 41 | ფლიფჩარტის მარკერი | 48 ცალი |
| 42 | Bეიჯი | 300 ცალი |
| 43 | შტრიხი ფუნჯით | 200 ცალი |
| 44 | შტრიხი ლენტით | 50 ცალი |
| 45 | საოფისე გილიოტინა A4 | 1 ცალი |

***3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადები -*** 2006 წლის აპრილიდან 15 დეკემბრამდე.

***4. მიწოდების ადგილი:*** ქ. თბილისი, სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 მარტის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

b) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება:

| N | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>3. | | | |

დ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი N220101107, ანგარიშის N200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი N300023133 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 27 თებერვლიდან 20 მარტამდე, შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

9. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადებები.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ოდიშარია, თამუნა შალამბერიძე, მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). ტელ: 698485.

*E-mail:*sales@saesa.gov.ge

# ნოდარ ანდღულაძე: თუ ასე გაგრძელდა, ათიოდე წელიწადში ყველაფერი წაიშლება

ნოდარ ლადარია

*თითქოს ცივილიზებულ ქვეყნად ვიქეცით — ყველა კომპონენტი გვაქვს. მაგრამ არის ერთი არსებითი განსხვავება: მაგალითად, დიდი ბრიტანეთში ჟურნალისტის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ლონდონის მერს უფლებამოსილება შეუწყვიტეს ერთი თვით, საქართველოში კი ჟურნალისტის სასტიკად ცემისთვის გუბერნატორი ეროვნული გვარდიის სარდლად დანიშნეს. ხულიგანი გუბერნატორი იქით იყოს და ოპერისა და ბალეტის თეატრიც ხომ ცივილიზაციის აუცილებელი კომპონენტია. იქნებ ესეც მხოლოდ "პოტიომკინის სოფელია", გარეგნულად ლამაზად დეკორირებული, შიგნით კი უშინაარსო? — ამგვარი ეჭვი იმ დღიდან გამიჩნდა, როცა ტელევიზიით ვნახე სიუჟეტი ოპერაში დაგეგმილი მასშტაბური რემონტის შესახებ. ერთმა ჭორმაც მოაღწია ჩემამდე: თითქოს მშენებლმა უთხრა ოპერის ხელმძღვანელობას, რომ მანამ არ დაიწყებს სამუშაოებს, სანამ თეატრისთვის შესაფერ შენობას არ გამოძებნიან, რათა ტრადიცია არ შეწყდეს. მშენებლის გამჭრიახობასთან შედარებით ოპერის მესვეურთა სიყრუემ თავზარი დამცა და ამიტომაც ვთხოვე ინტერვიუ ნოდარ ანდღულაძეს — სახელოვან ქართველ მომღერალს...*





*ნოდარ ლადარია და ნოდარ ანდღულაძე.*

**- მაესტრო, გაკვირვებული დავრჩი, რომ თბილისის ოპერის ადმინისტრაცია დღეს სკამებისა და ფარდის შეცვლაზე ფიქრობს. ნუთუ სხვა, უფრო არსებითი ელემენტები უკვე წესრიგშია მოყვანილი?**

- ფარდა მართლაც საჭიროა. 1973 წლის ხანძრის შემდეგ, როცა ქობულაძის ფარდა დაიწვა, ოპერის ფარდის შექმნა ვეღარ მოხერხდა, გაქრა ჩვენი თეატრის სიმბოლო. მართალია, მე არაფერი გამიგია ამის შესახებ: რატომღაც თეატრში ყველაფერი ისე წყდება, რომ არავინ არაფერი იცის. წინათ ასეთ საკითხებზე კონკურსები იმართებოდა, ახლა კი, როგორც ეტყობა, ვიღაც ერთპიროვნულად მოქმედებს. ჩვენ ყოველთვის რომელიმე ხელმძღვანელის ინდივიდუალური ინიციატივის წინაშე აღმოვჩნდებით ხოლმე მოულოდნელად. საზოგადოდ კი უნდა ითქვას, რომ თეატრმა თეატრალური სახე დაკარგა — ამის სიტყვებით ახსნა ძნელია — გაქრა ის, რაც ქმნის თეატრს: მაყურებელთან კავშირი, კოლექტივში არსებული ურთიერთობები, ერთი სიტყვით, თეატრალური ატმოსფერო.

**- გასაგებია, რომ ოპერამ, თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიულმა ჟანრმა, დღეს მთელ მსოფლიოში შეიძინა ელიტური ხასიათი...**

- ჩვენში ამას ელიტურობას ვერ დავარქმევთ. ელიტურობა უსათუოდ მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს. მე ახლა არ ვსაუბრობ შინაარსზე — ის შეიძლება ყველასათვის მისაღები არ იყოს და ეს ბუნებრივია. მე ვლაპარაკობ სწორედ პროფესიონალიზმზე, რომელიც ძალიან ზუსტი და საყოველთაო კრიტერიუმებით ფასდება. დღეს ჩვენი თეატრი არსებობს ორ ცნებას შორის — დილეტანტიზმი და თვითმოქმედება.

**- მაინც რა გვაძლევს ასეთი მკაცრი შეფასების საბაბს? იქნებ ეს არაპროფესიონალიზმი კი არა, შემოქმედებითი მარცხია?**

- უპირველეს ყოვლისა, რეპერტუარის ეკლექტურობა, რეპერტუარის პოლიტიკის არქონა, შემთხვევითობა. უფრო ზუსტად, არ ჩანს, როგორ პასუხობს თეატრში არსებული შესაძლებლობები და პროფესიული დონე მაინცდამაინც იმ სპექტაკლების არჩევას, რომელიც დღეს გადის. მაგალითად, ხანდახან იდგმება სპექტაკლები, რომელთა მთავარი პერსონაჟის შემსრულებელი თეატრს არა ჰყავს. ახლა ლაპარაკია "ტრუბადურის" დადგმაზე, მაშინ როცა თეატრში არ არის მანრიკო; სურთ "სამსონისა და დალილას" დადგმა, მაგრამ არც სამსონია და არც დალილა. რამდენადაც ვიცი, არც მოწვევაზე ფიქრობს ვინმე. ამავე დროს, თეატრში არიან ვირტუოზი მომღერლები და ისეთი სპექტაკლების დადგმა შეიძლება, რომ ევროპასაც გაუკვირდება.

**- დასკვნა ალბათ ასეთია: არ არსებობს რესურსების რაციონალურად გამოყენების უნარი... მაგრამ ვინ უნდა წყვეტდეს ამ საკითხებს თეატრში?**

- დირექცია და სამხატვრო საბჭო. ამის ნაცვლად არის მხოლოდ არცთუ კომპეტენტური დირიჟორებისაგან შედგენილი რაღაც კოლეგია. თუმცა მე ხელი არ მიმიწვდება ამ პროცესების ანალიზზე, მე მხოლოდ შედეგების მიხედვით შემიძლია მსჯელობა. აი, მაგალითად, ისეთი არაპროფესიული სპექტაკლი, როგორიც იყო "სოფლის ღირსება", არ შეიძლება გამეორებულიყო ახალ პირობებში. ეს არაა სპექტაკლი — არც წაკითხვის თვალსაზრისით, არც ღირსებებით, არაფრით.

**- შემიძლია დაგეთანხმოთ. ჩემი შთაბეჭდილებით, აქ ყურადღება გადატანილი იყო მრავალ უმნიშვნელო და კულტურული კონტექსტიდან ამოვარდნილ დეტალზე, ხოლო ძირითადი დრამატული ღერძი დაიკარგა.**

- და, რაც მთავარია, სასცენო სიტუაციის აბსოლუტური გაუგებრობა, მისი არაადეკვატურობა თვით ნაწარმოების მიმართ. წარმოსადგენია, რომ ერთაქტიან ოპერაში სცენები ასე დაუკავშირებელი იყოს, მოქმედება კი დაქუცმაცებული? მაგრამ ეს მხოლოდ მაგალითია. საზოგადოდ კი ყველგან ვლინდება არათანმიმდევრულობა და უმეცრება იმისა, რისთვის რას ვაკეთებთ.

**- ალბათ ასეც შეგვიძლია შევაჯამოთ შექმნილი ვითარება: უგულებელყოფილია სინთეზი, რომელიც საოპერო ხელოვნების არსებით თვისებას წარმოადგენს...**

- მართალია, მაგრამ ასეთი შეჯამება ვერ გვიქმნის რეალურ სურათს. აი, თუნდაც ასეთი მაგალითი ავიღოთ: კონსერვატორიის საოპერო სტუდიისთვის ასე თუ ისე მისაღები სპექტაკლი "დონ პასკუალე" უცვლელად გადმოიტანეს საოპერო სცენაზე. გადმოიტანეს, ასე ვთქვათ, ვაკუუმის შესავსებად. ეს სასწავლო სპექტაკლი იყო, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა სტუდენტების საოპერო მომღერლებად ჩამოყალიბებაში, მაგრამ დიდ საოპერო სცენაზე უკვე სხვა პრეტენზია უნდა არსებობდეს: აქ ლაპარაკია მაყურებლისთვის ესთეტიკური განცდის სისრულის უზრუნველყოფაზე.

**- საინტერესო ვითარება იქმნება: აქამდე დასახელებულ ნაკლოვანებათაგან ვერც ერთის მიზეზად ვერ დავასახელებთ უსახსრობას. ვერ ვიტყვით, რომ ამ დღეში უფულობის გამო ვართ.**

- ზუსტად არ ვიცი, ვინ და ვის წინაშე აგებს ამაზე პასუხს, მაგრამ, რამდენადაც ვხედავ, თეატრს ამ მხრივ მზრუნველობა არ აკლია. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ გადმოიყვანეს უდიდესი ბალერინა **ნინო ანანიაშვილი** და შეუქმნეს შესაბამისი სამუშაო პირობები. ოპერას ასეთი სიუხვე არა აქვს, როგორც ბალეტს და, სხვათა შორის, ეს მეტად უარყოფითად მოქმედებს მორალურ ატმოსფეროზე თეატრში. არ შეიძლება არსებობდეს ფინანსური დისკრიმინაცია საოპერო და საბალეტო დასებს შორის.

**- მაშინ საკონტროლო კითხვა დავსვათ: საბალეტო ნაწილშიც შეინიშნება ის ხარვეზები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი?**

- დაწვრილებით ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ვხედავ, რომ ქალბატონი ნინოს მიერ ჩატარებული შემოქმედებითი ძიებები ძალიან საინტერესოა. აქ მართლაც ვართ საერთო ევროპული ხედვის დონეზე, საოპერო ნაწილში კი საგრძნობი პროვინციული ჩამორჩენა გვაქვს. სამწუხაროდ, ეს მომღერალთა, ასე ვთქვათ, "კასტაში" არსებული უთანაბრობის ბრალიცაა: აქ ბევრია ოსტატიც და ისეთი მომღერალიც, რომლის არაპროფესიონალიზმი თვალშისაცემია. თანაც მომღერალთა ნიჭიერებისა და ოსტატობის მაყურებლისადმი მიწოდების სტილი ხშირად ხასიათდება ცუდი გემოვნებით, რაც კი არ ზრდის შემსრულებელს, არამედ ამახინჯებს მის შემოქმედებით სახეს.

**- კვლავ დაკონკრეტებას მივმართოთ. ავიღოთ ერთი სპექტაკლი, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ ეტაპებზე იდგმებოდა, და ვნახოთ, რას დაემსგავსა ის დღეს...**

- უკვე ნახსენები, საერთაშორისო აღიარების მქონე "სოფლის ღირსება" დღეს აღარაფერს ჰგავს. ამ ოპერას ვმღეროდით მოსკოვში, ლენინგრადში, დასავლეთ გერმანიაში, პოლონეთში. რეჟისურა სხვადასხვა იყო, მაგრამ ყოველთვის ხეირიანი. თანაც ამას დიდი დირიჟორები ედგნენ სათავეში: ჯერ **ოდისეი დიმიტრიადი** და შემდეგ **ჯანსუღ კახიძე**. მსოფლიოშიც ცნობილი იყო, რომ თბილისური "სოფლის ღირსება" ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ან თუნდაც "დონ კარლოსი" ავიღოთ. ახალგაზრდა გამოუცდელი მომღერლისთვის მეფე ფილიპეს პარტიის დავალება გარკვეული პასუხისმგებლობაა ხელოვნების წინაშე. უნდა ვიცოდეთ **ფრიდრიხ შილერი** — ოპერის პირველწყარო, უნდა ვიცოდეთ, რა ადგილი უჭირავს ამ ოპერას თვით **ჯუზეპე ვერდის** შემოქმედებაში. არსებულ პირობებში კი ამ ოპერის დადგმა, სხვა თუ არაფერი, დათვური სამსახურია თვით ახალგაზრდა მომღერლისთვის.

"აიდას" შემთხვევაში, ძალიან ვეცადე, მხარი დამეჭირა ახალი ხელმძღვანელობისათვის. თუმცა აქაც ბევრი შენიშვნაა გამოსათქმელი როგორც მუსიკალური ინტერპრეტაციის, ასევე დადგმის მიმართ. მაგრამ ეს პირველი ცდა იყო და ვეცადე, ჩემს ინტერვიუებში, საგაზეთო სტატიებში, მხარი ამება ამ ცდისთვის...

**- ეს კი უცნაურად მიმაჩნია. ნუთუ თქვენი მხარდაჭერა საგაზეთო სტატიებსა და სატელევიზიო ინტერვიუებში უნდა გამოიხატებოდეს? მანამდეც აღნიშნეთ, რომ სადღაც ხელი არ მიგიწვდებათ. ნუთუ თქვენ წაგართვეს თეატრთან უშუალო ურთიერთობისა და გამოცდილების უშუალოდ გადაცემის საშუალება?**

- მე არ მქონია დამდგმელებთან უშუალო ურთიერთობის საშუალება. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ სამი რადამესიდან სამივე ჩემი მოწაფეა, აიდებიდან საუკეთესოც და ერთადერთი ამნერისიც ჩემი მოწაფეები არიან. მათთან შინ ვმუშაობდი და არც ერთ რეპეტიციას არ დავსწრებივარ.

**- ეს მით უფრო გასაკვირია იმ დეკლარაციის შემდეგ, რომლის თანახმად ჩვენ მერიტოკრატიულ საზოგადოებად უნდა ვიქცეთ. ამის მაგიერ კი ვხედავთ, რომ ისინი, ვისაც გადაწყვეტილების უფლება აქვს, სრულიად გულგრილნი არიან მათ მიმართ, ვისაც რაღაც გაეგება. მერიტოკრატიულ საზოგადოებაში ეძებენ სპეციალისტებს...**

- მეც ვგრძნობ, რომ სრულიად უგულებელყოფილი ვარ. თუ არ ჩავთვლით მოსაწვევ ბილეთებს, რომელთა მოწოდებაც ამ ინტერვიუს შემდეგ საკმაო ეჭვს იწვევს.

**- ალბათ არა მარტო თქვენ... მეც მგონია, რომ ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, არცთუ უსარგებლო ვიქნებოდი სპექტაკლების მომზადებაში. ოპერის ხელმძღვანელთაგან ბევრმა იცის ეს, მაგრამ არც ერთს არაფერი არ უკითხავს...**

- ჰო, ეს მართლაც მნიშვნელოვანი სფეროა. არც რეჟისორმა და არც დირიჟორმა არ იციან ენა, რომლებზედაც იდგმება სპექტაკლების უმრავლესობა. ამის გამო ვღებულობთ მრავალ და ხშირად სასაცილო შეუსაბამობას.

**- მახსოვს, რიგოლეტო მიმართავდა გრაფ ჩეპრანოს, რომელიც კარგა ხანია გასული იყო სცენიდან... მართალია, ეს წინა ხელმძღვანელობის დროს იყო, მაგრამ ამგვარი და უფრო დიდი რისკი დღეს მოხსნილი არაა.**

- მე კი ვცდილობდი ლიტერატურის მიწოდებას: მუსიკის ფილოსოფიის, საოპერო ხელოვნების ისტორიის, დიდი შემსრულებლების მემუარების... ამის გარდა, იყო გადაწყვეტილება ოპერის მოყვარულთა კლუბის შექმნაზე... ყველაფერი უშედეგოდ დამთავრდა. ერთ მაგალითს მოვიყვან: მე და **გოგი ნიჟარაძემ** მოვამზადეთ ვიდეომასალით გამდიდრებული საღამო უდიდესი ტენორის, **ფრანკო კორელის** შემოქმედების შესახებ. მართალია, დღეც გამოყვეს და ეკრანიც მოამზადეს, მაგრამ დარბაზში სულ 24 კაცი ისხდა: არც თეატრში და არც მის გარეთ არც ერთი აფიშა არ ეკიდა. ისინიც კი, ვინც ამ საღამოს გამართვას გვთხოვდნენ, არ აღმოჩდნენ ინფორმირებულნი.

**- და მაინც ძალიან ძნელია, ამაში ბოროტი განზრახვა დაინახო...**

- არა, არავითარი... ეს რაღაც შინნაზარდი თავკერძობაა მხოლოდ.

**- მიჭირს ამის ახსნა, მაგრამ ვიცი, რომ თქვენ ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ბრძანდებით. ჰოდა, ანალოგია რომ გამოვიყენოთ და წარმოვიდგინოთ, რომ უცხოეთიდან ვინმე საქმიანი კაცი მოიწვიეს ჩვენი ოპერის გზაზე დასაყენებლად?**

- რაღაც ხმამ გამოაღწია, რომ "ტრუბადურზე" აპირებენ რეჟისორისა და მხატვრის მოწვევას. მათ ვერდის ოპერის მოქმედება XX საუკუნეში უნდა გადმოიტანონ ესპანეთის სამოქალაქო ომის ვითარებაში.

**- ალბათ გრაფი დი ლუნა ფრანკისტი პოლკოვნიკი იქნება...**

- აზუჩენა კი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც დოლორეს იბარური... სერიოზულად კი ფეხბურთთან ანალოგია აქ სხვანაირად ვლინდება: უცხოეთიდან მოწვევა, როცა არსებობს **რევაზ ძოძუაშვილი**, ცოტა არ იყოს, უცნაურია. მაგრამ საოპერო თეატრში, მოწვევასთან დაკავშირებით, უნდა გავითვალისწინოთ გარკვეული დაბრკოლებები. მახსოვს, ჯანსუღ კახიძემ მოიწვია ბალტიიდან პირველხარისხოვანი ქორმაისტერი გვარად **დუგინი**. მაგრამ აქაურებმა იძულებული გახადეს, სამშობლოში დაბრუნებულიყო. ქართველები თუ ვინმეს შეუჩნდებიან, კარგ დღეს დააყრიან? თვითონ ჯანსუღ კახიძე იმიტომ დაინიშნა ოდისეის წასვლის შემდეგ მთავარ დირიჟორად, რომ ყველამ უარი თქვა. მერე კი, მათ, ვინც უარი თქვეს, საშინელი ობსტრუქცია მოუწყვეს ჯანსუღს. მახსოვს, მარცხენა ხელში ტრომბოფლებიტით იდირიჟორა შვიდი პრემიერა — არავინ დახმარებია.

მაგრამ არის უფრო ობიექტური დაბრკოლებაც: ჩვენი ორკესტრი არაა მზად, უპასუხოს დირიჟორის მოთხოვნებს. მუსიკის გაგება დაიყვანება რაღაც რაოდენობრივ მაჩვენებლებზე: ენერგია მხოლოდ ტემპის სისწრაფეს ნიშნავს, ძალა მხოლოდ გამოცემული ბგერის დეციბელებით განისაზღვრება. მაგრამ რა მხატვრული დატვირთვა ახლავს თან ამ ენერგიასა და ძალას, როგორ უნდა მღეროდეს ეს ყველაფერი, ამაზე არავის არ ძალუძს ფიქრი. მართალია, გუნდის მდგომარეობა შედარებით კარგია. ერთადერთი შესამჩნევი წარმატება იყო ჩვენი გუნდისა და სოლისტების მონაწილეობით ვერდის "რეკვიემის" დადგმა **ზაზა აზმაიფარაშვილის** დირიჟორობით.

**- საბოლოოდ იქნებ ერთგვარ გონებრივ ექსპერიმენტს მივმართოთ: ვცადოთ რეპერტუარის შედგენა ისე, რომ არსებული რესურსები მაქსიმალური სიძლიერით გამოჩნდეს... რას დადგამდით დღევანდელ ოპერაში?**

- გამორიცხვის წესით უფრო ადვილი იქნება ამ შეკითხვაზე პასუხი... ოპერები რუსული ბანის მონაწილეობით — არა... ვერდის "ოტელოს" ტიპის ნაწარმოებებიც — არა. რა თქმა უნდა, არც ვაგნერი. უფრო წარმატებულები ვიქნებით იტალიურ ადრეულ რომანტიზმში — დონიცეტი, ბელინის ზოგი რამ. როსინის ზოგი ოპერაც შეიძლება ვცადოთ. ვერდის რომანტიკული პერიოდი. ფრანგული ლირიკული ოპერა. პუჩინიდან — "ბოჰემა". პუჩინიდან "ტრიპტიქსაც" დავდგამდი. ოღონდ არა ისე, როგორც "ჯანი სკიკი" დაიდგა ქართულ ენაზე და ისიც უაზროდ და შეუგნებლად.

ამ რეპერტუარზე შევძლებდით უკეთ გამოგვეჩინა ჩვენი ძალები, მით უმეტეს, რომ დადგმების დონე ყველგან დაეცა. პარიზის "ბასტილიისა" და ნიუ-იორკის "მეტროპოლიტენ ოპერის" გარდა. ამის მიზეზი ფულია: ანუ ის, რომ არ ჰყოფნით დრო ნაწარმოებზე სამუშაოდ.

**- გასაგებია, პარიზის "ბასტილია", "კომედი ფრანსეზისა" არ იყოს, კონსერვატიული სულის მატარებელია, ნიუ-იორკში კი ფული პრობლემა არაა. ჩვენთვის კი აქ საინტერესო პერსპექტივა იკვეთება: რადგან საქართველოში სამომხმარებლო საზოგადოება ჯერ არ ჩამოყალიბებულა და დრო და ფული არაა ერთმანეთთან გაიგივებული, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ შეგვიძლია ამ მცირე სახსრებითაც საკუთარ თავს ნაწარმოებში ჩაღრმავების ფუფუნება მივცეთ.**

- დიახ, მაგრამ ამისათვის საჭიროა სწორედ პროფესიონალიზმი. სინამდვილეში კი გამოდის, რომ ჩვენი ოპერის თეატრი კულტურულ ფუნქციას არ ასრულებს. და ეს მაშინ, როცა საზოგადოებაში შეინიშნება დიდი წყურვილი. ადამიანები ისწრაფვიან ოპერისკენ, ცდილობენ მის სამყაროში შემოსვლას. თეატრი კი, რომელიც ყველანაირად სათბურის პირობებში იმყოფება, ყოველ შემთხვევაში, წინა პერიოდებთან შედარებით, მიუხედავად ამისა, მინავლებულია და მხოლოდ სუსტად ღვივის.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობდით ორკესტრზე და მომღერლებზე, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ ორაზროვნების გამოსარიცხად: ადმინისტრაციაა ძალიან არაპროფესიული — მისი ყოველი რგოლი და საფეხური. მოწვევა, დაბინავება, სპექტაკლის ორგანიზება, აფიშები, რეკლამა — ყველაფერი ეს ძალიან დაბალ დონეზეა. მაგალითად, "ბალ-მასკარადის" აფიშას არ აწერია, რომ სპექტაკლის რეჟისურა **მიხეილ თუმანიშვილს** ეკუთვნის. და ეს იმ ქვეყანაში, სადაც საოპერო ხმათა ამოუწურავი სიმდიდრე არსებობს. ამ სიმდიდრეს ვერ ვუვლით. ახლა კიდევ ისპობა ინსტრუმენტული მუსიკის ტრადიცია, უქმდება ტექნიკუმები, მუსიკალური სკოლები. თუ ასე გაგრძელდა, ათიოდე წელიწადში ყველაფერი წაიშლება...

მაინც მინდა ვთქვა, რომ ყველაფრის მიზეზი ჩვენში მუსიკალურ შესაძლებლობათა დეფიციტი კი არაა, არამედ ის, რომ კულტურული განვითარების ირგვლივ არავითარი დისკუსია არ მიმდინარეობს. მათი ხმა, ვისაც სასარგებლო აზრის მოწოდება შეუძლია, სრულიად არ ისმის.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" სამძიმარს უცხადებს ბატონ გელა ჩარკვიანს და მის ოჯახს შვილის ირაკლი ჩარკვიანის გარდაცვალების გამო.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახური სამძიმარს უცხადებს ბატონ გელა ჩარკვიანს და მის ოჯახს შვილის, ირაკლი ჩარკვიანის გარდაცვალების გამო.

**"24 საათის"** რედაქცია თანაუგრძნობს ჟურნალისტ ნატო ონიანს მამის

**გიორგი (ჟორა) ონიანის**

გარდაცვალების გამო.

**პანაშვიდი:** სამშაბათს და ოთხშაბათს (28 თებერვალი, 1 მარტი) 16 საათზე.

**მისამართი:** შატბერაშვილის ქ.№2, პირველი სადარბაზო.
**დაკრძალვა** ხუთშაბათს, 2 მარტს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

## ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებების დამატება:

შ.პ.ს. "საქაერონავიგაციის" მიერ 2006 წლის 22 თებერვლის გაზეთ "24 საათში" გამოცხადებული ტენდერების განცხადებებს ბოლო აბზაცად დაემატოს:

- დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე საკონტაქტო პირები: გიორგი ედიშერაშვილი და გოჩა ნადირაძე (ტელ: 27-43-27)


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## ყურადღება!

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207

თვალსაზრისი

# ხმადაბალი ფიქრები

## ეროვნებაზე, „ენოვნებაზე“, ქუჯურ მენტალიტეტსა და ფეხშიშველა კაცზე

თამაზ კვაჭანტირაძე

*ნანა კვარაცხელიას* ეძღვნება

### 1. წინათქმა

მცირე განმარტებით დავიწყებ:

ფიქრი, კაცმა რომ თქვას, ყოველთვის ჩუმია, „ხმადაბალი“, მაგრამ როდესაც საჯაროდ, პრესით ხმოვანდება, იგი უკვე „ხმამაღალ ფიქრებად“ იქცევა ხოლმე... უფრო ზუსტად – „ხმაურიან ფიქრებად“. ამგვარ ხმაურსა და პათეტიკას სათაურშივე მინდა განვერიდო და ენაზე, ერზე და სხვა მაღალ მატერიებზე მკითხველს ჩემი მოკრძალებული ანუ „ხმადაბალი“ ფიქრი გავუზიარო.

სათაურისეული „ქუჯური“ კორექტურულ შეცდომად არ ჩამითვალოთ – არც ***ქუჩურ*** და არც ***ქაჯურ*** მენტალიტეტზე არ ვაპირებ ამჯერად საუბარს...

ზოგს, შესაძლოა, სათაურშივე გამოტანილი „ენოვნებაც“ ეხამუშოს – რას გვეკეკლუცება თავისი გამონაგონი სიტყვებით ეს კაციო, მაგრამ „ენოვანი“ ჩვეულებრივი, სადაგი სიტყვაა, განსაკუთრებით, კომპოზიტების მეორე ნაწილად: „ქართულენოვანი“, „ფრანგულენოვანი“... სიტყვა „ეროვნების“ თანაჟღერადი ეს „ენოვნება“ თითქოს შინაარსობრივ ანალოგიასაც გვივლენს მასთან: კაცი არა მარტო ამა თუ იმ ეროვნებას, არამედ ამა თუ იმ „ენოვნებასაც“ მიეკუთვნება – თუ ქართულია მისი დედაენა, მაშინ ქართულენოვანი იქნება, თუ ჩინური – ჩინურენოვანი... მოკლედ, „ენოვნება“ უარსებითესად წარმოაჩენს პიროვნებას და, ვინძლო, ზოგჯერ უფრო უპრიანიც იყოს მოკირკიტე ჩაძიებას – რა ეროვნებისაა მავანი? – ჩავუნაცვლოთ: რა „ენოვნებისა“ არის იგი?

და აქვე დავძენ: ამ „ნეოლოგიზმით“, ცხადია, არც ეროვნების შევიწროება მინდა და არც ეროვნებასთან „ენოვნების“ სრული გათანაბრება; მე მხოლოდ ამ ორ ურთიერთშეწმახნილ მოვლენასა და ცნებაზე მსურს შენთან აზრის აღებმიცემობა (ილიას სიტყვებია!), ჩემო მკითხველო.

### 2. ეროვნება

*„ეროვნებავ, ღვთის ნიჭი ხარ, არც საპოვნი, ვერც საყიდი“...*

ეს აკაკი გახლავთ...

მონახულია უზუსტესი გამოთქმა – „ღვთის ნიჭი“, ღვთიური საჩუქარი, წყალობა, ანუ მადლი – და ამ მადლს, აკაკის აზრით, ვერც შემთხვევით გადააწყდები და ვერც ფულად დაახურდავებ.

და მაინც – რა არის ის ერთი, განმსაზღვრელი სიტყვა-ცნება, რომელიც ეროვნების არსს გამოხატავს? აკაკისეული „ღვთის ნიჭი“ უფრო შემფასებლური ცნებაა, მე კი ამჯერად არსითი მხარე მაინტერესებს, რის მიხედვითაც ერთი ეროვნების ადამიანები თავს ერთმანეთს უიგივებენ...

რა არის ეს სიტყვა-ცნება: სული? ენა? ისტორია? კულტურა?

ებრაული წარმომავლობის პოლონელი პოეტი **იულიან ტუვიმი** მეორე მსოფლიო ომის დროს წერს წერილს „ჩვენ, პოლონელი ებრაელები“ და პირველ კითხვას – „რატომ – ებრაელი?“ – ასე ჰპასუხობს: **„ებრაელი ვარ სისხლით“...** და იქვე განმარტავს: **„არა იმ სისხლით, ძარღვებში რომ დამიდის, არამედ იმ სისხლით, ვარშავის ქუჩებში რომ იღვრება“...**

ახლა ყველაფერი ნათელია: ძარღვებში მოარული სისხლის შემადგენლობით ადამიანთა სრულფასოვნებას როზენბერგები და გებელსები ადგენენ, პოეტი კი მარადიული ზვარაკია და ტუვიმიც სწორედ ამ ომის ზვარაკებს, ებრაელობას, უიგივებს თავს.

ხოლო კითხვას – „რატომ – პოლონელი?“ – ტუვიმი უპასუხებს: **„პოლონელი ვარ „ჩემიანობის“ გამო: ვერავითარი ლოგიკით ამას ვერ აგიხსნით, მაგრამ შოპენი უფროა ჩემი, ვიდრე ბეთჰოვენი“.**

ისევ სისხლს დავუბრუნდეთ, რადგანაც ჩვენშიაც გააქტიურდნენ ფაშიზმთან მოკეკლუცე ყვარყვარეები... ნუ მოვეტყუებინებით ქართველთა „წმინდასისხლიანობის“ ამ ცრუდამცველებს; პაპის პაპა ქართველი არა გყოლია და ნაღდი ქართველი ვერც შენ იქნებიო – მე, პირადად, სწორედ წინაპართა წარმომავლობაში ამგვარი ჩაკირკიტება მიმაჩნია არაქართულ, მეტიც – ანტიქართულ პოზიციად.

ოდენ სისხლისმიერი წარმომავლობა ეროვნების განმსაზღვრელი ვერ იქნება – ადამიანი, შეიძლება, გაქართველდეს, ან, პირიქით, გადაქართველდეს; თანაც – გადაქართველდეს ის, ვისაც, თუნდაც, წინა ხუთ თაობაში წვეთი არაქართული სისხლისა არა ჰრევია, ხოლო გაქართველდეს ის, ვისაც, თუნდაც, მშობლები ჰყავს არაქართველი.

ყველაფერს რომ დავეხსნათ, მარტო ჩვენი წმინდანებისა და მეფეების წარმომავლობის გახსენებაც იკმარებს: ნინოსი, შუშანიკისა, მირიანისა, გორგასალისა, თამარის...

ასე იყო ყოველთვის, ასე იყო ყველგან; განსაკუთრებით – სასახლის კარზე, სადაც წესად ჰქონდათ სხვა ქვეყნების სამეფო დინასტიებთან დამოყვრება.

ახლა სხვა ავტორის, ამჯერად – ქართველის, ციტატას მოვიხმობ:

**„ვინ არ იცის, რომ ეროვნება ნებაყოფლობის ამბავია, ისე ეგებ ჩვენ ყველანი ზოგი არაბი ვიყოთ, ზოგიც – ესკიმოსი“.**

ამ ზოგადი დებულების რეალური „თარგმანება“ ავტორის სათქმელს უფრო დაგვიკონკრეტებს: ქართველი ისაა, ვინც თავისივე ნებითა და შეგნებით თავს ქართველად მიიჩნევს, თორემ – თუ წინაპართა წარმომავლობას მივსდიეთ, ზოგიერთი ქართველი, შესაძლოა, არაბი აღმოჩნდეს, ზოგიც – ესკიმოსიო.

ოთხსაუკუნოვან არაბობას თუ გავიხსენებთ ჩვენში, არაბის გაქართველებას ისტორიული საფუძველი დიახაც გააჩნია (მაგალითად, ჩვენი წმინდანი არაბი აბო!), ესკიმოსი კი ირონიისათვის „შეაწუხა“ ავტორმა: სისხლისმიერი წინაპრის ძიებამ კაცი, შეიძლება, ყინულეთში მიიყვანოს.

ისე, საირონიე მასალად „ესკიმოსი“ გალაკტიონმაც გამოიყენა:

*„ეს – გიორგის, ეს – იოველს,*
*ეს – ივანეს, ეს კი – მოსეს...*
*ჯერ კიდევ ვართ ქართველები,*
*თუ არ გაგვაესკიმოსეს“...*

ძირითად აზრს დავუბრუნდეთ: **„ეროვნება ნებაყოფლობის ამბავია“...**

თამამი, მეტიც – უაღრესად სარისკო ნათქვამია.

საქართველოში – მაინც...

ეს რომ ჩვენს ეგზალტირებულ მიტინგებზე ვისმე დასცდენოდა, ერთი ყაიდის ქალბატონებს, ალბათ, ხელიდან ვერ გამოვსწიწკნიდით ამის მთქმელს.

არადა, ამ აზრის ავტორი გამორჩეულად ეროვნული მწერალი გახლავთ ქართველთა შორის – **კონსტანტინე გამსახურდია.**

ხოლო წერილი, რომელშიც ეს აზრია გაჟღერებული, საოჯახო არქივიდან მისმა ვაჟმა გადმომცა გამოსაქვეყნებლად და დავბეჭდე კიდეც ჩვენს ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (1982 წ. №3).

უკიდურესად თამამი აზრია–მეთქი, ამას მე მოგახსენებთ, თორემ, რა ეროვნებისადაც ჩათვლის პიროვნება საკუთარ თავს, ეს რომ ნებაყოფლობის ამბავი ყოფილა, ამას თვითონ ბატონი კონსტანტინე – „ვინ არ იცისო“ – ცხადზე უცხადესად მიიჩნევს.

გავბედავ და ერთს „ჩავუხველებ“ დიდ მწერალს: არ უნდა იყოს ეს ამბავი ცხადზე უცხადესი და ყველასათვის ანბანური ჭეშმარიტება. ამას ბრბოს შიში როდი მალაპარაკებს – არ გახლავართ ის კაცი, ვისმე დუდუკზე რომ დავროკდე; მეტიც, თავად პრინციპს – ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება თავისი თავი თავადვე მიაკუთვნოს ამა თუ იმ ეროვნებას – ვეთანხმები... ოღონდ აქ ზოგი რამ დასაზუსტებელი მგონია; ნებაყოფლობაც არის და ნებაყოფლობაც; ნებაყოფლობა ეროვნების არჩევაში სხვა გახლავთ და ნებაყოფლობა, ვთქვათ, საკუთარი გარდერობის შერჩევაში – სხვა. მოკასინით ივლით თუ შტიბლეტით, ეს მხოლოდ თქვენი (ჰა, ჰა, მეუღლის!) გადასაწყვეტია, მაგრამ გარუსდებით თუ გათათრდებით, ეს უკვე მხოლოდ თქვენი და თქვენი მეუღლის გადასაწყვეტი ვერ იქნება თუნდაც იმ მიზეზისა გამო, რომ, ვთქვათ, გარუსება, პირველ ყოვლისა, სწორედ იმას გულისხმობს, რომ თვითონ რუსებმა მიგიჩნიონ რუსად. მახსენდება გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილიდან პოეტის გაგულისებული წამოძახილი რუსებზე – რომ ვერაფრით დავაჯერეთ ეს მამაცხონებულები, მათზე მეტად რუსები რომ ვართო!

ვერაფრით დავაჯერეთ... არ დაიჯერეს – და ძაღლის თავიც სწორედ აქაა დამარხული!



ეს ჩვენი „ნებაყოფლობითი არჩევანი ეროვნებისა“ სხვა ფაქტორებითაც იზღუდება. ამ არჩევანის გაკეთება შეუძლია:

არა – ყველას...

არა – ყოველთვის...

არა – განურჩევლად...

და ისიც, ალბათ, ანგარიშგასაწევია, რომ ხალხის უდიდესი ნაწილი ასეთი არჩევანის წინაშე არც არასდროს დავმდგარვართ: ბევრნი მივიჩნევთ, რომ ამ მხრივ ჩვენი წილი უკვე ნაყარია ჩვენ გარეშე და ჩვენ მაღლა – **ეროვნებას ვღებულობთ, როგორც ბედისწერას.**

ვგონებ, ისევ აკაკის მივუბრუნდი: „ეროვნებავ, ღვთის ნიჭი ხარ“...

და მაინც, იულიან ტუვიმის მეორე მტკიცებას ჩავუღრმავდეთ: **„პოლონელი ვარ იმიტომ, რომ შოპენი უფროა ჩემი, ვიდრე ბეთჰოვენი“.**

უფრო ჩემია!

„ჩემია“-ს განცდა ადამიანს ჩასახვისთანავე თან დაჰყვება. დასაკუთრების ლტოლვა ოდენ საგანს, სხეულს, ნივთს, არსებას – ეს საზრდო ჩემია, ეს ძუძუ, ეს ქალი, ეს დედა ჩემია – როდი სჯერდება და არც „ეს მთა ჩემია, ეს ცა ჩემია“-თი იფარგლება; იგი უფრო ღრმად ჩაფესვილა ჩვენს სულში და უკვე სხვა სფეროებსაც ეპატრონება: ჩემია ეს ფერი, ეს – გემო, ეს – სურნელი; ჩემია ეს ხმიანობა ანუ ჰანგი ანუ მოტივი ანუ სიმღერა ანუ მუსიკა...

სწორედ მუსიკის – ამ არაცნებისმიერი, უნივერსალური მსოფლიო „ენის“ – ჩემიანობის ხარისხით („უფრო ჩემია!“) განსაზღვრავს პოლონელი პოეტი თავის ეროვნებას.

ცხადია, ბეთჰოვენიც მისია... არც შეიძლება, გენიოსი მისიც არ იყოს... ტუვიმის ქართველი კოლეგისთვის კი „მეცხრე სიმფონიის“ ავტორი იმდენად თავისია, რომ დაუჯერებელში გვაჯერებს:

*„ქართული მოტივი – მეცხრე სიმფონია!“...*

ბეთჰოვენის მუსიკით გალაკტიონი კი არ გაგერმანელდა – ამ მუსიკით გალაკტიონმა გაიქართველა ბეთჰოვენი.

და ისიც მჯერა, ბეთჰოვენს რომ ქართული სცოდნოდა და გალაკტიონი დედანში წაეკითხა, თვითონ კი არ გაქართველდებოდა – გალაკტიონს გაიგერმანელებდა.

საერთოდაც, გენიოსს არავინ გადაჰყავს თავის ეროვნებაზე: ბახს არ გავუგერმანელებივართ, შექსპირს არ გავუინგლისელებივართ, ჰომეროსს არ გავუბერძნებივართ...

პირიქით, გენიოსი გარდაგვესახება ხოლმე ჩვენი ეროვნებისად: ქართველს – გაგვიქართველდება, სომეხს – გაუსომხდება, ფრანგს – გაუფრანგდება...

ანუ – იქცევა სამთელქვეყნო, საკაცობრიო საკუთრებად!

ბეთჰოვენი ტუვიმმაც გაიპოლონელა: მარტო შოპენი – არა, ბეთჰოვენიც ჩემიაო... ოღონდ მთელი მუღამი ამ „ჩემია“-ს ინტენსივობაშია: ერთი უფრო მეტად არის ჩემი, ვიდრე – მეორე.

რატომ?

და აქ უკან იხევს ცოდნა, განსჯა, გონება... აკი თავად აღიარებს პოეტი: ვერავითარი ლოგიკით ვერ აგიხსნით, რატომ არის შოპენი ბეთჰოვენზე უფრო ჩემიო.

მართლაცდა, რატომ არის, პირადად ჩემთვის, „ჩაკრულო“ „აპასიონატაზე“ უფრო ჩემი? არ ვამბობ – უკეთესი ან უდიდესი... უბრალოდ – უფრო ჩემი?

ამაზე, შეიძლებოდა, ყოფითი, მიწიერი, ჭეშმარიტებასთან მიახლოებული პასუხიც გამეცა: უფრო ჩემია სიახლოვის გამო, ისტორიის გამო, ცხოვრების გამო, კულტურის გამო.

ამაოდ ვირჯები – ყოველი პასუხის უკმარისობას თავადვე ვგრძნობ.

თუ რატომ თვლის ადამიანი თავს ამა თუ იმ ეროვნებისად – ამისი პასუხი რწმენის სფეროში ძევს და არა – ცოდნისა.

ეროვნება უნდა იწამო.

მე, სიტყვამ მოიტანა და, მწამს, რომ ქართველი ვარ.

### 3. „ენოვნება“

ეროვნებისა და „ენოვნების“ ცნებები ერთმანეთს ეწმახვნისმეთქი, ზემოთ მოგახსენებდით...

ცნობილია, ძველად სიტყვას „ენა“ შეეძლო „ხალხი“-ს, „ერი“-ს მნიშვნელობაც გამოეხატა. როცა ძველ ტექსტში ვკითხულობთ, ბიბლიური ნოეს შვილებისაგან წარმოიშვა 73 ენაო, ცხადია, აქ „ენა“ ხალხის, ერის, ტომის გაგებასაც ითავსებს.

ცნებათა ამგვარ „გაიგივებას“ საფუძველი რეალობაში უძევს: ხალხის მეობას სწორედ მისი ენა წარმოაჩენს. ენავე გვივლენს თავის „ორგემაგე“, დიალექტიკური წინააღმდეგობებისაგან ნაქსოვ ბუნებას: იგი პიროვნულიცაა და საზოგადოც, კიდეც აერთიანებს და კიდეც თიშავს... ბაბილონის გოდოლის ბიბლიური ამბავი გავიხსენოთ: ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს უფალი სხვადასხვა ენაზე აალაპარაკებს და ამით განსხვავებულ ტომებს, ხალხებს, ერებს უყრის საფუძველს. ბიბლიის მიხედვით, ერთი ენის სხვადასხვა ენებად „დაშლამ“ ფაქტობრივად წარმოშვა შესაბამისი ხალხები; მოკლედ – ენამ შვა ერი.

ენაა ის, რაც აიგივებს...

ენავეა ის, რაც განასხვავებს...

აიგივებს – კრებულს შიგნით.

განასხვავებს – კრებულს გარეთ.

ეროვნული თვითშეგნება სწორედ ამ იგივეობა-განსხვავებას ეყრდნობოდა და, მეტწილად, ახლაც ეყრდნობა; რაც ჩემი მსგავსია, ის ჩემიანია.

ჩემი ენა – ჩემი ხალხი... ისევ იმ „ჩემია“-ს განცდას დავუბრუნდით, ეროვნულობის საზომად რომ გამოიყენა პოეტმა.

მაგრამ „ჩემი“ თავის თავშივე გულისხმობს, რომ არსებობს „არაჩემი“, „სხვა“, „უცხო“.

ამ „ჩემია“-დან იწყება ყოველგვარი უბედურება: ომი, ნგრევა, სისხლისღვრა, გაპარტახება.

იგივე „ჩემია“ გახლავთ განვითარების, ბედნიერების, ადამიანობის საფუძველთა საფუძველიც... განსაკუთრებით, „ჩვენია“-ში გადაზრდილი „ჩემია“.

და სწორედ ენაა ის, რაც შეუძლებელია „ჩვენი“ არ იყოს: მარტო „ჩემი“ ენა, ენა – როგორც კერძო კაცის პირადი საკუთრება – არ არსებობს.

როგორ, ჯოისის ენაზე, ვაჟას ენაზე ხალხი წიგნებს წერს და, რა გამოდის, არარსებულ მოვლენებზე იწერება მეცნიერული შრომებიო, გაიკვირვებს, ალბათ, ზოგი.

ცხადია, არა მხოლოდ ენობრივად უნიკალურ ამ მწერლებზე ვიყენებთ ამგვარ გამოთქმებს – თითქმის ყოველ მწერალზე ამბობენ, მავანისა და მავანის ენაო. „ვაჟას ენა“ – ეს გამონათქვამი მეტაფორულად უნდა გავიგოთ, თორემ პირდაპირი გაგებით ეს ენა ჩვენი საერთო ენაა, ჩვენი ქართული, ოღონდ – ვაჟათი გაცხადებული, ვაჟას მიერ ამოქმედებული შესაძლებლობა ჩვენი დედაენისა.

გენიოსებს დავეხსნათ – ყოველ ჩვენგანსა გვაქვს ჩვენ–ჩვენი ენა... გვაქვს იმიტომ, რომ – ენა, მართალია, საზოგადო საკუთრებაა, მთელი ხალხის საერთო „ინსტრუმენტი“, მაგრამ მასზე ყველანი ჩვენებურად „ვუკრავთ“ ხოლმე – ენას ჩვენი ინდივიდუალური შესაძლებლობით მოვიხმართ.

ქართულ ენას იყენებდა შოთა რუსთაველიც და ფეშანგი ფაშვიბერტყაძეც.

და როგორც ცალკეულ პიროვნებათა მეტყველება ინდივიდუალურად გვივლენს საერთო ენას, ცალკეული ენებიც ასევე ინდივიდუალურად წარმოგვიჩენენ ერთიან, უნივერსალურ სამყაროს.

ენა, ცხადია, მარტო „ჩემი“ არაა, იგი „ჩვენია“, მაგრამ ამ „ჩვენის“ საზღვრებიც ფრიად განსხვავებულია: ბაცბურ ენაზე, მაგალითად, ნახევარი სოფელი მეტყველებს, ჰინალუღურზე – ორი აული, ესპანურად და ინგლისურად კი – ლამის ნახევარი მსოფლიო... და ყოველი ენა, ასობით კაცს ემსახურება თუ მილიონობით, ერთი მხრივ, საერთო უნივერსალური ნიშნებით ხასიათდება, მეორე მხრივ, მაინც განსხვავებულია – მეტ-ნაკლებად განსხვავებული.

უფრო მეტიც: ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი გვიმტკიცებს, ენა მსოფლხედვის წესიაო; ანუ – სამყაროს ადამიანი აღიქვამს ენის „ცხაურში“ გამოტარებულს, კერძოდ, დედაენის „საცერგამოვლილს“. ხედავთ, საით გაუტია ამ გენიალურმა კაცმა: რამდენნაირი ენაცაა, თურმე იმდენნაირი სამყარო ყოფილა... უფრო ზედმიწევნით – იმდენნაირად აღქმული სამყარო.

ენის იდეა, ანუ გამაერთიანებელი „ჩვენის“ იდეა, მაღალი რანგის იდეაა, მაგრამ არსებობენ მასზე უმაღლესი იდეებიც, უფრო მრავლის, იდეალში კი – ადამის მთელი მოდგმის შემკვრელ-გამაერთიანებელნი.

ასეთია სიყვარულის იდეა.

ასეთია სიყვარული-ღმერთის იდეა ანუ –

ასეთია ქრისტიანობის იდეა.

როდესაც მოზამბიკელი იესოს შავკანიანად აღიქვამს, იაპონელი კი – ჭუტალად, ეს აშკარა „სიცრუე“ სიღრმისეულ სიბრძნესა და ჭეშმარიტებას ეფუძნება: მაცხოვარი ყველასია და ყოველ მოდგმას შეუძლია მისი გათავისება. ქრისტესათვის არ არის იუდეველი და არ არის წარმართი, არ არის ელინი და არ არის ბარბაროსი... უფრო ზედმიწევნით – ყველა თანაბრდება სიყვარულში, ყველა ერთიანდება ქრისტეში.

ზემოთ რომ ბეთჰოვენის მუსიკის „გაქართულებაზე“ მოგახსენებდით („ქართული მოტივი – მეცხრე სიმფონია!“), ეს კიდევ უფრო სარწმუნოდ ითქმის სიყვარულის ამ ზეალმტაცი იდეის ანუ ქრისტიანობის შესახებ – **ქართველი არა მარტო გაქრისტიანდა, მან ქრისტიანობა გაიქართველა.** ასე მხოლოდ ჩვენში არ მომხდარა: ქრისტიანობამ ეროვნება კი არ გააუქმა და ეროვნებას კი არ ჩაენაცვლა, იგი ამ რწმენის ჭეშმარიტად აღმსარებელ ყოველ ხალხს გაუეროვნულდა და ამით ყველა ისინი სიყვარულში გააერთიანა. რელიგიის ამგვარ გაეროვნულებას ყოველი ენა თავისებურად გამოხატავდა და ამა თუ იმ რელიგიურ იდეას ან მიმდინარეობას სხვადასხვა ეროვნებას უკავშირებდა: მაგალითად, ქართულში „გათათრება“ გამუსულმანებას ნიშნავს, „გაფრანგება“ – გაკათოლიკებას, „გასომხება“ – გამონოფიზიტებას... და ამ კონტექსტშია გასახსენებელი: **როცა კავკასიაში ვინმე გამართლმადიდებლდებოდა – გაქართველდაო, იტყოდნენ.**

ქართველმა არა მარტო იდეურ-ინტელექტუალურ დონეზე გაითავისა ქრისტიანობა, მან იგი შეისისხლხორცა ხელშესახებ-საგნობრივადაც: საქართველოში, თავის საცხოვრისში, გადმოიტანა ბიბლიურ-ქრისტიანული გარემო და გადმოიყვანა იქაური პერსონაჟები. მიმოიხედეთ, რამდენი **სიონი, ბეთლემი, ბეთანია** და **თაბორი** გვართყია, რამდენი **დავითი, თამარი, ილია** და **მარიამი** გვახვევია ირგვლივ... გაიხსენეთ პოეტური თვალით აღქმული ქართლი – უფრო ზუსტად, ნიკო სამადაშვილის გასაოცარი ხილვა:

*„ვით უკვდავება, წყარო ანკარა*
*აცისკროვნებდა ირმების*
*ფერდობს...*
*ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა*
*და ღვთისმშობელი უგვიდა*
*ეზოს“.*

დიახ, იესომ ბავშვობა ატენის სიონთან გაატარა...

მოკლედ, საქართველო „ენოვნებითაც“ გაქრისტიანდა; შესაბამისად, ქრისტიანობა ჩვენში არა მარტო გაქართველდა, გაქართულდა კიდეც.

ისტორიული გამოცდილება გვიდასტურებს ქართველთა ეროვნული და „ენოვნური“ განცდის განუყოფლობას. ისევ ვაჟას ავტორიტეტს მოვიხმობ: ენა დედაა ერისაო... სხვისა რა მოგახსენოთ, ქართველი ერი კი მართლაც ქართული ენის საშოში გამოშუშდა. იგივე ითქმის ქართულ სახელმწიფოზეც – ფარნავაზმა, ქართული მწიგნობრობისა და ქართულის სახელმწიფო ენად დაკანონებით *(„და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“)*, სათავე ქართულ სახელმწიფოებრიობასაც დაუდო. ქართულმა ენამვე დასაზღვრა ეს სახელმწიფო, რაც შემდგომ ფორმულად ჩამოქნა გიორგი მერჩულემ: *„ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“.*

მაგრამ ის, რაც ჩვენთვის განუყოფელია, სხვა ხალხისათვის, შესაძლოა, ასე არც იყოს. შემენდოს ამ მაღალ მატერიებზე მსჯელობისას ამგვარი „მიწიერ-სპორტული“ მაგალითის მოხმობა, მაგრამ – ეჭვი მეპარება, კვებეკელმა კანადელმა ჰოკეის მატჩში, როცა ფრანგები კანადელებს ეთამაშებიან, მხარი ფრანგებს დაუჭიროს... იგი კანადელებს უქომაგებს მიუხედავად იმისა, რომ მისი დედაენა ფრანგულია. ასევე – შვეიცარიელი, გერმანულენოვანი იქნება იგი თუ იტალიურენოვანი, თავს შვეიცარიელად მიიჩნევს და არა გერმანელად ან იტალიელად. ეგევე ითქმის ესპანურენოვან ლათინური ამერიკის ქვეყნებზე...

მიუხედავად ამისა, ენა მაინც რჩება ეროვნების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად. იგი ერთგვარი „პასპორტია“, ადამიანის სადაურობა-წარმომავლობას რომ გვიდასტურებს. მარტო ენა – არა, ერთი და იმავე ენის შიგნით რომ კაცი ამა თუ იმ კილოზე უქცევს, ამით თავის წარმომავლობას ავლენს. დიალექტურ-ენობრივი ჩვევა ძვალსა და რბილში უჯდება ადამიანს და მის შეცვლას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება. გავიხსენოთ ბიბლიის „მსაჯულთა წიგნიდან“ (თავი 12) ერთი ეპიზოდი: ერთმანეთს ებრაულად მოლაპარაკე ისრაელის ორი შტო, ორი ტომი დაუპირისპირდა – ეფრემელები და გალაადელები. ეფრემელები დამარცხდნენ, გალაადელებმა მათ თავიანთ მშობლიურ ქალაქში გადასასვლელი ფონი მდინარე იორდანეზე გადაუჭრეს. თუ ვინმე მოითხოვდა, ეფრემელი არა ვარ და გაღმა გადამიშვითო, გალაადელები უბრძანებდნენ: აბა, „შიბოლეთ“ თქვიო („შიბოლეთ“ ებრაულად თავთავსა ჰქვია). ეფრემელი ამ სიტყვას თავის „სლიფინა“ კილოზე ამბობდა – „სიბოლეთ“ და უმალ მახვილით იგმირებოდა... უამრავი ეფრემელი გაიჟლიტა იორდანესთან, ამ – ერთი შეხედვით – მარტივი ხერხით ამოცნობილნი. მარტივი თვითონ ხერხი იყო, თორემ ეფრემელებისთვის რთული, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა მეყსეულად გადაეწყოთ თავიანთი სამეტყველო აპარატი მათი კილოსათვის უჩვეულო ბგერის გამოსათქმელად.

■ ■ ■

საქართველო ტერიტორიულად პატარაა, ენობრივად – დიდი. მე აქ იმდენად ქართული ენის სიდიადეს არ ვგულისხმობ, რამდენადაც – ჩვენს ტერიტორიაზე მოქმედ ენათა, დიალექტთა ნაირგვარობასა და სიმრავლეს.

ზოგადად თუ ვიტყვით, ერთგვარობა სიმწირეა, ნაირგვარობა – სიმდიდრე... ოღონდ – მოწესრიგებული ნაირგვარობა.

სიმდიდრეა ჩვენი მეგრული და სვანური ენები... სიმდიდრეა ჭანური, ანუ – ლაზური ენაც, ვაგლახ, სხვაგან განფენილი და ჩვენში ამჟამად მხოლოდ სარფშიღა შემორჩენილი; სიმდიდრეა ჩვენი ნაირგვარი კილოები.

მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ უფრო უნდა მოაწესრიგოს ამ სიმდიდრის არა მარტო დაცვისა და სარგოდ გამოყენების, არამედ მისადმი მართებული სახელმწიფოებრივი მიდგომის საკითხიც.

დედაენის გადასარჩენად ჩვენ ზოგჯერ გვჭირდებოდა – და, იქნებ, ახლაც არ იყოს ზედმეტი – ხაზგასმა, რომ ეროვნება და „ენოვნება“ განუყოფელია (ქართველთათვის ეს ასეცაა!), მაგრამ ამის საფუძველზე სწორხაზოვანი მსჯელობით თუ იმას გამოვიყვანთ, რომ ენა უდრის ეროვნებას, მაშინ სწორედ ეროვნული თვალსაზრისით გაგვიჩნდება პრობლემები.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ „ევროპულ ქარტიაზე“, რომლის მიხედვით ევროპულმა სახელმწიფოებმა ეროვნულ უმცირესობათა ენების უფლებები უნდა დაიცვან. ჩვენში ამ საკითხს რატომღაც დაუკავშირეს მეგრული და სვანური ენები... არადა, მეგრულ–სვანური აქ მოსატანი არ გახლავთ – არც ერთი ქართველური ენა საქართველოს ტერიტორიაზე არავითარ „უმცირესობის ენას“ არ წარმოადგენს! ქართული კუთხეებისა და ტომების ყოველი წარმომადგენელი, მათ შორის მეგრელიცა და სვანიც, სწორედ ის „უმრავლესობა“ გახლავთ, რომელსაც „ქართველი“ ჰქვია საქართველოში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „ქარტიაში“ ლაპარაკია არა უმცირესობის, არამედ „მცირე“ ენებზე ანუ „შინაურულ“, „შინ სახმარ“ არასახელმწიფო ენაზე, მაშინ მეგრულისა და სვანურის ამ კატეგორიის ენებად მიჩნევისასაც ზოგი რამ გასათვალისწინებელი ჩანს; კერძოდ:

რეალობაა, რომ მეგრული და სვანური ენებია, ოღონდ – შინაურობაში სახმარი; ამავე დროს მეგრელებისა და სვანების დედაენა იყო და არის ქართული, რომელსაც დანარჩენი სხვა ქართული ტომები ასევე ძველთაგანვე იყენებდნენ სახელმწიფო ენად; შინაურობაში კი ეს ტომებიც, ცხადია, თავ-თავიანთ დიალექტებზე უქცევდნენ.

ასე იყო ძველად, ასეა ახლაც – მიუხედავად იმისა, რომ მასმედიის ეპოქაში კილოები სალიტერატურო ენასთან ნიველირდება.

გაგრძელება B2 გვერდზე

# ხმადაბალი ფიქრები

## ეროვნებაზე, „ენოვნებაზე“, ქუჯურ მენტალიტეტსა და ფეხშიშველა კაცზე

B1 გვერდიდან

მაგრამ სვანური და მეგრულ-ჭანური, ერთი მხრივ, და სხვა ქართული კილოები, მეორე მხრივ, დიდად სხვაობენ თავიანთი ისტორიითაც და თავიანთი წვლილითაც ქართულის სახელმწიფო ენად ფორმირებაში. დღეს არსებული დიალექტური ფორმები, ჩვეულებრივ, ძველი სამწერლობო ქართულის ნორმათა კონტროლიდან გამოსვლისა და „თავისუფალი“ განვითარების შედეგია, აქედან გამომდინარე – შედარებით ახალი. სვანურისა და მეგრულ-ჭანურის ენობრივი ფორმები კი უშუალოდ ქართულიდან კი არა, ქართულთან საერთო წინაპარი ენიდან გამოიყვანება, რომელსაც ქართველურ ფუძეენას ვეძახით და რომლის სავარაუდო სახე ქართული, სვანური და მეგრულ-ჭანური ენების ურთიერთშედარება-შეპირისპირებით აღდგება. ამ ქართველური ფუძეენის წიაღში თანაარსებობდნენ ქართულიც, სვანურიც და მეგრულ-ჭანურიც დიალექტების სახით და მერე ჩამოყალიბდნენ ენებად. ასე რომ, დღეს მოქმედი დიალექტები ქართული ენის შვილები არიან, სვანური და მეგრულ-ჭანური კი – ქართული ენის ძმები. მშობლის, ქართველური ენის, იერ-სახე ზოგჯერ ქართულმა უკეთ შემოგვინახა, ზოგჯერ – სვანურმა და ზოგჯერაც – მეგრულ-ჭანურმა.

მაგალითად, ავტორიტეტული ენათმეცნიერების აზრით, ჩვენი წინარე ფუძეენის ხმოვანთა სისტემა უფრო ქართულმა შეინარჩუნა, თანხმოვანთა სისტემა კი – მეგრულ-ჭანურმა: მათი ვარაუდით, ქართული ***კაც*** და მეგრულ-ჭანური ***კოჩ*** ძირების შეპირისპირებით ქართველურ ენაში „ადამიანის“ აღმნიშვნელად აღდგება ძირი, რომელიც სამი ათასწლეულის წინ, ვიდრე ეს ფუძეენა დაიშლებოდა ქართულ, სვანურ და მეგრულ-ჭანურ ენებად, მიახლოებულად ასე ჟღერდა – ***კაჩ.***

სწორედ ერთ-ერთს ამ ძმა-ენათაგან, ქართულს, გარკვეულ ისტორიულ-კულტურულ ვითარებათა გამო, მოუწია ძირითადი როლი ეტვირთა ქართველთა ყველა ტომისათვის საერთო სახელმწიფო ენის ფორმირებაში... ძირითადი – მაგრამ არა ერთადერთი; მისი ტვირთი მართლაც რომ ძმურად გადაინაწილეს ეგროსიანელთა ენებმა: სვანურმა და მეგრულ-ჭანურმა. საერთოდაც, ლეონტი მროველს თუ ვერწმუნებით, ქართველ ტომთა ეთნარქები ანუ მესაფუძვლენი **ქართლოსი** და **ეგროსი** ღვიძლი ძმები იყვნენ.

ასე რომ, **საერთო-ქართული სახელმწიფო ენა მარტო ძველი ქართულიდან კი არა, სვანურ-მეგრულ-ლაზური წიაღიდანაც იშვა.**

ამიტომაც არა ჰქონიათ ჩვენს ეგრისელ წინაპრებს ქართულის მიმართ გაუცხოების განცდა... მით უმეტეს არა აქვთ იგი მათს დღევანდელ შთამომავლებს – სვანებსა და მეგრელებს. მაგრამ დანარჩენი საქართველოც არ უნდა უყურებდეს ალმაცერად სვანურსა და მეგრულს და არც „გაფუჭებულ“ ქართულად უნდა აღიქვამდეს ამ ენებს.

რა უნდა მოვიმოქმედოთ საამისოდ?

ადრეც დამიწერია და ახლაც გავიმეორებ: სკოლაშივე უნდა შევუქმნათ ბავშვს ქართველურ ენებსა და ქართულის დიალექტებზე მართებული წარმოდგენა, უკვე დაწყებით კლასებში უნდა „გავუხედნოთ“ ყური მეგრული და სვანური ფოლკლორის ნიმუშებით: წარმოიდგინეთ ბარისახოელი პატარა ხევსური, დიდის ეშხით რომ ამბობს: „*ბჟა დიდა რე ჩქიმი*“ („მზე დედა არი ჩემი“)... მერე და მერე ისეთი ლექსიკური მასალაც უნდა ვუჩვენოთ და შევასწავლოთ, ქართულ-სვანურ-მეგრულის საერთო წარმომავლობასა და ერთიანობაზე რომ მეტყველებს.

მოკლედ, **ბავშვს სკოლაშივე უნდა გავაცნოთ და შევასწავლოთ სვანურისა და მეგრულის ელემენტები.**

ნურავინ დამწამებს ენობრივი სეპარატიზმის ქადაგებას: სკოლაში სვანურისა და მეგრულის ელემენტების სწავლება სხვაა და, სვანურად და მეგრულად სწავლება სკოლაში – სულ სხვა, „შუა უზის დიდი მზღვარი“.

ისე, რუსეთის იმპერიამ, ცარისტულმაც და კომუნისტურმაც, ქართველთა გარუსების სტრატეგიულ გეგმას ლღვის ფოთლად მეგრელ გლეხკაცზე „ზრუნვა“ააფარა: აქაოდა, უბირ ხალხს ქართული არ ესმის, სამეგრელოში სწავლება მეგრულ ენაზე უნდა გადავიყვანოთო.

პირველ ჯერზე, XIX საუკუნეში, ეს არ გამოუვიდათ – იაკობი და ძმანი მისნი აღუდგნენ წინ იანოვსკი–ვოსტორგოვის მზაკვრულ გეგმას.

მეორე ჯერზე, XX საუკუნის ოცდაათიან წლებში, კომუნისტ–“მაფალუისტებს“ სამეგრელოს მხარიდან გამოსულმა ინტელიგენციამ ჩააკმედინა ხმა: თედო სახოკიამ, შალვა დადიანმა, კონსტანტინე გამსახურდიამ... ის ფრაზაც, ეროვნება ნებაყოფლობის ამბავიაო, კონსტანტინე–ბატონმა სწორედ „მაფალუისტთა“ სამხილებელ წერილში ბრძანა.

იმპერია ქართულ ენას მარტო სკოლიდან კი არა – ეკლესიიდანაც უპირებდა გამოძევებას: მისი გეგმით, სამეგრელოში ღვთისმსახურების ენად ქართულს მეგრული უნდა ჩანაცვლებოდა. აქ კი ხმა სამეგრელოს სამღვდელოებამ აღიმაღლა და, მერე როგორ!

* * *

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ბატონმა **არნოლდ ჩიქობავამ**, უკვე ლოგინად ჩავარდნილმა, თავის ბიბლიოთეკაში საგულდაგულოდ გადანახული მასალა მომაძებნინა – შინ წაიღეთ, წაიკითხეთ და დამიბრუნეთო. XIX საუკუნის გაყვითლებული ფოლიანტები აღმოჩნდა – 1895 წლის მარტ–ივნისის ნომრები ეგზარქატის რუსულენოვანი გამოცემისა „Журнал“... ეგზარქოსს დაუვალებია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის მეუფე გრიგოლისათვის (ერისკაცობაში – გრიგოლ დადიანი) კომპეტენტური კომისიისათვის გაეცნო მეგრულ ენაზე თარგმნილი რამდენიმე ნიმუში ლოცვებისა და გაერკვია, როგორ ზემოქმედებას მოახდენდა მრევლზე მღვდელმსახურების დროს მათი გამოყენება.

გრიგოლს მოუწვევია კომისია – სამეგრელოს სამღვდელოება, აგრეთვე განსწავლული საერო პირები ნიკო ტარიელის ძე და დავით გიორგის ძე დადიანები – და მოუსმენია მათი მოსაზრებანი...

სწორედ ეს მასალა დაიბეჭდა ზემოაღნიშნულ „Журнал“-ში.

წანაკითხმა გამაოგნა: „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი“-ო, სამეგრელოს სამღვდელოებაზე აღმოჩნდა ზედგამოჭრილი. ასეთი სიღრმითა და სიმართლით ამ საკითხზე დაწერილი არაფერი წამეკითხა... არ ვაჭარბებ, წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც დღეს დაწერილი გეგონებოდათ – აღარაფერს ვამბობ მოქალაქეობრივ პოზიციაზე. ცხადია, მეგრული ენის დიალექტად მიჩნევამ მაშინვე შემაცბუნა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ამასაც სარჩულად სასულიერო პირთა პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა სდებია. ისე, სიტყვამ მოიტანა და, თავის ნაშრომებში არც პავლე ინგოროყვა მოიხსენიებდა მეგრულსა და სვანურს ენებად – ამ დიდ ეროვნულ კაცს, ჩვენი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ეს პოლიტიკურად სახიფათოდ მიაჩნდა.

სამეგრელოს სამღვდელოება შესანიშნავი რუსულით გამოხატავდა თავის პოზიციას. მათი ნააზრევი ქართულენოვანმა მკითხველმაც უნდა იცოდეს. ამიტომაც ვთარგმნე ეს ყველაფერი და მოკლე კომენტარებიც დავურთე.

თუმცა, სჯობს თავად შენ დაიგემოვნო, მკითხველო, ეს მასალა, რომელსაც იმ პიროვნების ხოტბას წარვუმძღვარებ, ვისი „გორისანიც“ სამეგრელოს ეს უსახელო მღვდლები იყვნენ.

### 4. ქუჯური მენტალიტეტი

უძალო კაცს რომ პოლიტიკურ პირველობას დაათმობინებენ, ეს იძულების აქტია.

ძალმოსილი კაცი რომ თვითონ დათმობს პირველობას – ეს ზნეობრივი აქტი გახლავთ.

ქუჯიმ, ეგრისის ერისმთავარმა, ამგვარი ზნეობრივი, მე ვიტყოდი, ქრისტიანული ქმედების მაგალითი გვიჩვენა ქრისტეს მოვლინებამდე სამი საუკუნის წინ.

როცა ფარნავაზი, ქართლოსის ჩამომავალი, და ქუჯი, ეგროსის ჩამომავალი, შეითქვნენ აზონის, ბერძენთა დასმული მმართველის, წინააღმდეგ, იმ მომენტში რეალურ სამხედრო-პოლიტიკურ ძალას ქუჯი, თუ მეტს არა, ფარნავაზზე ნაკლებს არ ფლობდა.

მაგრამ ქუჯი ათასწლეულებით აზროვნებდა და არა – მომენტებით ან, თუნდაც, წლებით: გარდასული ჟამით იგი მომავალს ჭვრეტდა... აკი ქართლოსი უფროსი ძმა იყო ეგროსისა. არ ეგებოდა მისი პირველობა და ასე შესთავაზა ქუჯიმ ფარნავაზს, მცხეთის სახელისუფლო სახლის შვილს: ვძლიოთ აზონს და მთელ ქართველთა მოდგმას შენ უმეფებ, მე კი შენს თანამდგომად მიგულე აწ და მარადისო.

ხელმწიფობაზე უარის თქმა მხოლოდ სახელმწიფო კაცს შეუძლია.

ასე აზროვნებდა და მოქმედებდა დიდი ქუჯი...

ანუ – ასეთია ქუჯური მენტალიტეტი.

მაგრამ საქართველოს მარტო ქუჯი არ ჰყოლია – ჰყავდა თადა აშორდიაც, ვისაც უმაღლესი ხელისუფლება თვალს უხუჭავდა ყალბისმქნელობაზე, ანგარებაზე, აფერისტობაზე... ამას, ყველაფერს, მთავრობა წვრილმანად მიიჩნევდა იმ მსხვილი შეკვეთის შესრულებასთან შედარებით, რასაც ერქვა „ტუზემცების“ ხელითვე ქართული „ენოვნებისათვის“ საფუძვლის შერყევა, ქართველთა გარუსება.

ქუჯი უკვდავია – მას კვალში ლეგიონები უდგანან... მაგრამ, ვაი, რომ უკვდავია თადაც: ლეგიონები – არა, მაგრამ თითო-ოროლა აშორდია საქართველოს ყოველთვის ჰყავდა... და – დღესაცა ჰყავს: საზოგადოება ხედავს, რომ ჩოხოსან თადას ჰალსტუხიანი აშორდიები შეენაცვლნენ და გასაიდუმლოებულ სამსახურთა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ დაკვეთას ასრულებენ.

„იუბკიანი“ თადაც გვყავს – ჟურნალისტობას იჩემებს...

დღევანდელ პრესაში მკითხველს უფრო ისინი ეჩხირებიან თვალში, ვიდრე ქუჯის „გორისანი“, ამიტომაც გთავაზობთ ერთგვარ გამონაკრებს ქუჯის კვალში ჩამდგარ სასულიერო პირთა გამონათქვამებიდან: როგორც თავის დროზე ქუჯიმ, ამ მღვდლებმაც პიროვნულ-კუთხური ინტერესები საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს დაუქვემდებარეს.

### მეგრულ ენაზე წირვა ლოცვის შესახებ

გურია–სამეგრელოს ეპისკოპოსი ***გრიგოლი (დადიანი)***

კავკასიის სასწავლო ოლქის ზედამხედველი საიდუმლო მრჩეველი იანოვსკი სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის მეგრულით ჩანაცვლებას ასე ასაბუთებდა: მეგრული ქართულთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც – პოლონური ან ჩეხური რუსულ ენასთან, მათ კი სწავლებაც და ღვთისმსახურებაც თავ–თავიანთ ენებზე აქვთო. ეს მეუფე გრიგოლს მცდარ ანალოგიად მიაჩნია.

*„სლავური ჯგუფის ეს სამი მონათესავე ენა საუკუნეთა მანძილზე დამოუკიდებლად ჩამოყალიბდნენ სამწერლობო ენებად და ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურით გამოხატავენ თავ–თავიანთ ეროვნულ თვითშეგნებას. განსხვავებული ვითარებაა ქართულსა და მეგრულს შორის: აქ ჩვენ გვაქვს მკაფიოდ გამოხატული დაქვემდებარება, სლავურ ენებში კი – სრულიად დამოუკიდებელი პარალელური განვითარება. უსამართლობა იქნებოდა ვინმემ ამ საკითხებში არაკომპეტენტურობა დამწამოს, ძირძველი მეგრელი გახლავართ და ქართულიცა და მეგრულიც კარგად ვიცი: მეგრელები უკვე 15 საუკუნეა ქართულ ენაზე ლოცულობენ და ევედრებიან უფალს; მე, როგორც მათი მღვდელმთავარი, ვადასტურებ, რომ ისინი კარგი ქრისტიანები არიან და სათანადოდ შეიმეცნებენ საღმრთო გამოცხადებას. მეგრელებმა სხვა ქართველებთან თანადროულად დაიწყეს ქართულად წერა-კითხვა და, ქართული საეკლესიო ტრადიციით, მათ, იმიერქართველებმა, ამიერქართველებზე ადრეც კი განადიდეს ქართულ ენაზე ჭეშმარიტი შემოქმედი“.*

გრიგოლი ამტკიცებს, რახან მეგრელები მღვდელმსახურებისთვის ქართულს იყენებდნენ, მეგრული აღარ განვითარებულა საეკლესიო ენადო:

*„ქართულიდან მეგრულად სამღვდელმსახურო მიზნით ლოცვების გადათარგმნის საკითხი იმ მარტივი მიზეზით არ დამდგარა არასოდეს, რომ მეგრელი ქართულ ენას ყოველთვის თავის ღვიძლ ენად, დედაენად აღიქვამს“...*

მღვდელი ***კაპიტონ გაწერელია***

მასაც მიაჩნია, რომ მეგრული (ავტორი მას ერთ-ერთ ქართულ კილოდ მიიჩნევს და არა – ენად), არასოდეს ხმარებულა საღვთისმსახურო დანიშნულებით და ამ მაღალ მისიას იგი ვერც დღეს შეასრულებს – ასეთ საეკლესიო ენად ჩამოყალიბებას, სხვა პირობებს რომ დავეხსნათ, საუკუნეები სჭირდებაო. თანაც:

*„წმინდა წერილისა და ლოცვათა თარგმნა – ეს წმიდათაწმიდა საქმე – მოითხოვს ღვთაებრივ ზეშთაგონებას ზემოდან, უფლისაგან... სწორედ ასეთ მოწოდებას აღასრულებდნენ ძველად წმინდა წიგნების მთარგმნელები, ამიტომაც შემოგვრჩა მათი ტექსტი შეურყვნელად ჩვენცა და სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებსაც... გარდა ამისა, მარტო ლიტერატურული ტრადიციებიც კი საკმარისი ვერ იქნება საღვთისმსახურო წიგნების სათარგმნად – თვითონ ენას უნდა ახასიათებდეს ეგრეთ წოდებული „ეკლესიურობა“. მეგრული, გასაგები მიზეზების გამო, ყოველივე ამას მოკლებულია.*

*არც წინათ და არც ახლა მეგრულად მღვდელმსახურების აღსრულება არ გვჭირდება, ვინაიდან ქართული და მეგრული ფაქტობრივად ერთი ენაა და მათს ლექსიკონებში უამრავი საერთო ძირის მქონე სიტყვებია. მეგრელს წირვა–ლოცვის ტრადიციული ენა კარგად ესმის და, თუ აქ გაგებინების თვალსაზრისით რაიმე სირთულე იჩენს თავს, ამის მიზეზი ის კი არ გახლავთ, რომ მეგრელს ქართული ცუდად ესმოდეს, – საეკლესიო ტექსტებს ასევე ძნელად აღიქვამს არამეგრელი სხვა ქართველობაც, მათ შორის, განათლებული ხალხიც, – თავი და თავი პრობლემისა ამ საეკლესიო ენის არქაულობაშია... აგრეთვე – ღვთისმსახურების დროს წმინდა ტექსტის სწრაფად ჩათავება–“მიფუჩეჩების“ სამწუხარო ტრადიციაში... ამიტომაც ეს საკითხი ქართული მოსახლეობის – მეგრელებისაც და არამეგრელებისაც – ცოდნა-განათლების ამაღლებით გადაიჭრება და არა – ღვთისმსახურებისთვის მეგრული კილოს გამოყენებით. სხვა ხალხებსაც აქვს განსხვავებული დიალექტები, მაგრამ საღვთისმსახუროდ ყველას როდი იყენებენ: მაგალითად, მალოროსიული არანაკლებ განსხვავდება რუსული ენისგან, ვიდრე მეგრული ქართულისგან, მაგრამ მღვდელმსახურება მალოროსიულად კი არ აღესრულება, არამედ საეკლესიო-სლავურ ენაზე... მეგრელებს არასოდეს გვქონია დამწერლობა მეგრულ ენაზე იმიტომ, რომ ამის საჭიროება არ ყოფილა: სამეგრელოს ხალხს ქართული დამწერლობაცა და ქართული ენაც თავის ღვიძლ ანბანად და თავის დედაენად მიაჩნია და ამავე ენაზე აღავლენდა და აღავლენს უფლისადმი ხოტბას“.*

მღვდელი ***კლიმენტი ჭანტურია***

*„ქართულს და მეგრულს იმდენი რამ აქვთ საერთო, რომ მეგრელი ქართულს თავის დედაენად* (родной язык) *მიიჩნევს. მეგრული ენა ქართული ენის საგანძურად ითვლება: ბევრმა სიტყვამ ქართულში დაკარგა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა, მეგრულში კი ისინი ძველებურად შეურყვნელი სახით შემოგვრჩნენ. ამრიგად, მეგრული და ქართული ორ განუყრელ ძმად გვესახება. ეს განცდა მარადიულია, დანარჩენ საქართველოსთან თავის ენობრივ ერთობას სამეგრელო ყოველთვის გრძნობდა, ქართულს ყოველთვის დედაენად თვლიდა, მას მიიჩნევდა სახელმწიფო ენად, მიიჩნევდა მწერლობის ენად – ამ ენაზე ლაპარაკობდნენ და წერდნენ მეგრელთა წინაპრებიც... მეგრელები ქართულად განადიდებდნენ უფალს; ამ ენაზე ლოცულობდნენ მათი მამა–პაპანი. შესაბამისად, სამეგრელო ქართულად მოლაპარაკე დაიბადა და ღვთის წინაშეც ამ ენაზე მოლაპარაკე წარსდგება...*

